ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **საქართველოს ისტორია**

ბიბიჩაძე თორნიკე

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მონღოლთა ბატონობის დასრულების წინაპირობები - საქართველოს XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე

ხელმძღვანელი: ლერი თავაძე
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

თბილისი
2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

BA Program in **History**

Bibichadze Tornike

Thesis is prepared for obtaining

MA Degree in History

Research Supervisor:
PhD in History. TSU Assistant Professor

Tbilisi
2019

შინაარსი

შესავალი

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე საქართველო აღარ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს. იგი დანაწევრებული და უკიდურესად დასუსტებული იყო მონღოლ-თათართა უღლისაგან. ვითარებას ამწვავებდა ის გარემოებაც, რომ ვასალსა და სიუზერენ სახელმწიფოს შორის არსებობდა . მონღოლთა იმპერია, რომელიც წარმოადგენდა

XIII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მახლობელ აღმოსავლეთში მდგომარეობა, მსგავსად წინა წლებისა, კვლაავაც არასტაბილური იყო.

მონღოლთა დასუსტების მიზეზები

XIII საუკუნის მიწურულისათვის მონღოლთა ძლიერება შეირყა. მართალია ილხანთა საყაენო გარეგნულად კვლავაც ინარჩუნებდა ოდინდელ ტერიტორიებს, თუმცა მათი ძალაუფლება რეგიონში ძალზე მცირდებოდა, ჰულაგუიანთა დინასტიის ძლიერება ინერციით დაღმასვლისკენ მიდიოდა.

აშკარა რღვევისა და დეგრადაციის ტენდენციების მიუხედავად, XIV საუკუნის დამდეგს საილხნოს საზღვრები უზარმაზარ ტერიტორაზე იყო გადაჭიმული. აღმოსავლეთიდან ხორასნიდან მოყოლებული დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე და ჩრდილოეთით კავკასიონის ქედიდან სამხრეთით სპარსეთის ყურემდე ჰულაგუანთა გავლენა ვრცელდებოდა.

მონღოლთა იმპერიის დაშლისა და საყაენოს დასუსტების მიზეზების კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორი ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენდა ეს იმპერია და

მონღოლთა იმპერია და მისი დაშლის საფუძველზე ჩამოყალიბებული ილხანთა საყაენო წარმოადგენდა სამხედრო-ნომადური ტიპის სახელმწიფოს, რომლის მმართველი წრეების მომთაბარე ცხოვრების წესი წინააღმდეგობაში მოდიოდა დაპყრობილი ხალხების მეურნეობის ინტენსიურ წესთან. ამასთან, მათი წარმატებული სამხედრო კაპანიების ჩატარების შემდეგ

ვახტანგ II

დემეტრე II-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ვახტანგ II (1089-1092) ნარინის ძე ავიდა, რომლის გამეფებაშიც დიდი როლი ხუტლუბუღამ შეასრულა. არღუნ ყაენმა ვახტანგს „მოსცა მეფობა ყოვლისა საქართველოსი და დაი თვისი ოლჯათ - ცოლად, და წარმოგზავნა და მოვიდეს ტფილისს“. ნარინის სახლეულობის აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დასმა კარგად აწონ-დაწონილი გეგმის ნაწილი იყო. ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ არღუნ ყაენი ამ ქმედებით ცდილობდა ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას: პირველი, რომ მას დავით ნარინის გულს მოიგებდა სურდა, რომელიც მრავალი წელი ებრძოდა მონღოლებს და ქედს არ უხრიდა მათ მეორე მიეღწია იმ მიზნისთვის რაც

ვახტანგ II-ის აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დასმას არ მოჰყოლია პროტესტი ადგილობრივი ფეოდალების მხრიდან, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ იქმნებოდა პერსპექტივა საქართველოს მომავალი გაერთიანებისა და მონღოლთა მრავალწლიანი ბატონობის დასასრულისა. „ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი შემოკრბეს და ყვეს ფიცი და სიმტკიცე ერთგულობისა“. ვახტანგის ლეგიტიმურობას ამყარებდა ის ფაქტიც, რომ იგი ლიხთ-იმერეთის მეფედ უკვე იყო ნაკურთხი. უფრო ზუსტად იგი თანამოსაყდრე იყო დავით ნარინისა. 1287-88 წლებით დათარიღებულ თუალაისძეთათვის შეწირულობის სიგელში ვახტანგი დავით

ნარინთან ერთად მეფედ იხსენიება. „*ნებითა და შეწევნითა ღთისაითა,* ***დავითისაგან*** *ბაგრატუნიანისა, ძისა* ***რუსუდანისა*** *და თანამეცხედრისა ჩუენისა* ***მარიამისა*** *და ძისა ჩუენისა* ***ვახტანგ მეფისაი...***"[1]

ვახტანგ II, რომელიც ხუტლუბუღა სადუნის ძისგან დავალებული იყო, იძულებული გახდა ამირსპასალარობასთან ერთად ათაბაგის თანამდებობაც ებოძებინა. „მიუბოძა ორივე ხელი და განგება სამეფოთა". როგორც ჩანს არღუნ ყაენის დასნეულებით ისარგებლა შეთმულთა ერთმა ჯგუფმა. შეთქმულთა ამ ჯგუფში, თანამოაზრეები იყვნენ ხუტლუბუღა მანკაბერდელი, ტაჩარ ნოინი და დავით დემეტრეს ძე. ამ

გამეფებიდან მალევე, წყაროებიდან ჩანს, რომ ვახტანგ II აღარ ემორჩილება ილხანთა ულუსს. ამის მიზეზი იყო ერთი მხრივ ის ფაქტიც, რომ არღუნ ყაენი ქმედუუნარო გახდა, „შეედვა სალმობა ბოროტი ყაენსა არღუნს, რამეთუ გახმეს ყოველნი ასონი მისნი და მოლპეს ხორცნი". 1290 წლის მიწურულს ყაენი დასნეულდა, რამაც გააქტიურა ნოინები და განიზრახეს შეთქმულება მის წინააღმდეგ. ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ ყაენი ნოინებმა „კარავთა შინა მოშთობისა მისა სიკუდილასა მისცეს" არ შეესაბამება რეალობას. არღუნის დასნეულებით მართლაც ისარგებლეს ნოინებმა ტაღაჩარ (ჟამთააღმწერელთან - ტაჩარ) ნოინის მეთაურობით, რომლის მფარველობაშიც იმყოფებოდა დავით დემეტრეს ძე, და მოკლეს პირველი ვეზირი საად ალ-დავლა. რაც შეეხება ყაზან ყაენს იგი გარდაიცვალა მძიმედ დასნეულებული არრანს, 1291 წლის 10 მარტს.

ქეღათუს (1291-1295) გაყაენებისთანავე რუმში განდგომას ჰქონდა ადგილი. „დაჯდა რა ქეღათუ ტახტსა ზედა, განდგა ქალაქი ტუნღუზალო". აღმოსავლურ წყაროებში ამ განდგომას ტაღაჩარ ნოინის სახელს უკავშირებენ. ჟამთააღმწერლის თხრობა ამ ამბებთან დაკავშირებით ბუნდოვანია. ამ საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქციეს

[1] საბუთს აქვს თარიღი: დავით რუსუდანის ძის 56-ე და მისი ძის ვახტანგის მეფობი მე-10 ინდიკტიონი. ს. კაკაბაძე საბუთს 1291-92 წლებით ათარიღებდა. კორპუსში მიაჩნიათ, რომ გამეფების თარიღებად მიჩნეულია თანამოსაყდრეობის თარიღები. დავით ნარინი 1232 წელს რუსუდანმა აკურთხა თანამოსაყდრედ. ამრიგად საბუთი დაწერილია 1287-88 წლებში და აქედან გამომდინარე დავით ნარინს ვახტანგი თანამოსაყდრედ უკურთხებია 1277-78 წლებში.

მ. ბროსემ და, მოგვიანებით, ი. ჯავახიშვილმა. ორივე მიიჩნევდა, რომ ტუნღუზალოს ამბოხსა და რაშიდ ად-დინთან ტაღაჩარის შეთქმულებას კავშირი ჰქონდა. მათ ეს ტოპონიმი არასწორად, ტაღაჩარის დამახინჯებულ ფორმად მიიჩნიეს. რეალურად ტუნღუზალო მართლაც ტოპონიმი იყო და ეს დასტურდება სომეხი ანონიმი სებასტაცის ქრონიკაშიც „ტონღუზლუს“ ფორმით. სინამდვილეში ეს იყო სახელწოდება ქალაქისა, რომელსაც ანტიკური წყაროების მიხედვით ლაოდიკეა ერქვა, ხოლო მისი თანამედროვე სახელი - დენიზლია.

ამ მოვლენებში, საინტერესოა, რომ ჟამთააღმწერელი არსად იხსენიებს ვახტანგ ნარინის ძეს. „მოუწოდა ... დიმიტრის ძესა დავითს და მთავართა ქართლისათა“. ოქროს ურდოს თავდასხმის შიშით მას ხუტლუბუღა და „მთავარნი ქართლისანი“ მუღანს დაუტოვებია, ხოლო რუმში მხოლოდ დავით დემეტრეს ძე იახლა.

ი. ჯავახიშვილი გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუმის ლაშქრობაში ქეღათუმ უფლისწული დავითი წაიყვანა თან, ხოლო ვახტანგ მეფეს საერთოდ არ იხსენიებს ამ ამბებში. რ. კიკნაძე ამ გაუგებრობას ხსნიდა იმ გარემოებით, რომ, თითქოს, ქეღათუს საქართველოდან ჯარი საერთოდ არ გაუწვევია და არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ დავითიც, ხუტლუბუღაცა და ფარეჯანიც ქეღათუს თან ახლდა ურდოში. თუმცა ჟამთააღმწერელი გარკვევით მიუთითებს, რომ ყაენმა დავითთან ერთად იხმო „მთავარნი ქართლისანი“.

ამ გაურკვევლობის ასახსნელად, ვფიქრობთ, ჟამთააღმწერლისვე ცნობა დაგვეხმარება. ამ ამბებამდე მემატიანე დასძენს, რომ „შეედვა რამე სენი ვახტანგ მეფესა“. ქეღათუს ლაშქრობა რუმზე 1291 წლის აგვისტოს მიწურულს დაიწყო. როგორც ჩანს ვახტანგი ამ დროს დასნეულებულია და არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შორეულ ლაშქრობაში. მეფის დაუძლურებაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ სწორედ ამ დროს დაიწყეს ოსებმა ქართლში გადმოსვლა და დაიკავეს ქალაქი გორი.

ჟამთააღმწერლის თხრობაში გაურკვევლობას ქმნის ისიც, რომ ავტორი ტუნღუზალოს აჯანყებას ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ იხსენიებს. თუმცა ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ ვახტანგი ამ დროისთვის (1291 წლის ბოლოს)

გარდაცვლილი ყოფილიყო, რადგან ჟამთააღმწერლისავე თქმით, მეფე ვახტანგი მიიცვალა „ სამ წელს მეფეყოფილი“, ანუ 1292 წელს. სწორად შენიშავს ვ. კიკნაძე, რომ ვახტანგი დავითის ტუნღუზალოდან დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა, რადგან ვახტანგის ცხედარი თვითონ დავითმა „წარგზავნა გელათს, სამარხოსა მეფეთასა“.

ქეღათუს გაყაენებამ და ვახტანგის მოულოდნელმა გარდაცვალებამ დავით დემეტრეს ძეს ტახტისკენ გზა გაუხსნა. ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არსებობს დავით VIII-ის გამეფების თარიღზე ერთანი აზრი. ვახუშტი ბატონიშვილი დავითის ტახტზე ასვლას 1294 წლით ათარიღებს. საინტერესოა, რა წყაროზე დაკვირვებით დაადგინა მან აღნიშნული თარიღის შესაბამისობა. მისი თქმით „აკურთხეს მეფედ ტფილისს დავით ქრისტესა ჩსჟდ“ (1294 წ.) და იმეფა „ივ“ (16) წელი, შესაბამისად გარდაიცვალა 1310 წელს, თუმცა დოკუმენტური წყაროებიდან ირკვევა, რომ დავითი 1311 წელსაც ცოცხალია.

ი. ჯავახიშვილი დავით VIII-ის გამეფებას 1293 წლით ათარიღებს. მას არგუმენტად მოჰყავს რაშიდ ად-დინის ცნობა, რომ ქეღათუ ყაენმა დავითს მეფობა უბოძა გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე (ქეღათუ მოკლეს 1295 წლის 24 მარტს). მ. ბროსე კი დავითს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე 1292 წლიდან მოიაზრებდა.

დავითის გამეფების თარიღის დასადგენად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის 1297-98 წლებით დათარიღებული წყალობის სიგელი ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიასშვილისადმი. სიგელის შინაარსიდან დგინდება, რომ დავითი უკვე აჯანყებულია მონღოლთა წინააღმდეგ და გამაგრებულია მთიანეთში. აქ იგი ვენმე გრიგოლ ჭაჭნიასშვილს უწყალობებს „ჟინოვნის პირს სოფელ ლაუშაის“. საბუთში შედგენილია დავითის მეფობის მეხუთე ინდიკტიონს (1292/1293) წელს.

ქეღათუ ყაენმა დაუფასა დავითს თანადგომა, მეფობა დაუმტკიცა „წარმოგზავნა ტფილისს და დასუა ტახტსა მამისა მისისასა“. ცოლად შერთო ვახტანგის ქვრივი ოლჯათი. დავითს ყაენმა გამოატანა ქართველთა ლაშქარი და თან აახლა ხუტლუბუღა და შანშე ივანეს ძე. თბილისში მოსვლის შემდეგ გაიმართა მისი მეფედ კურთხევის ცერემონიალი და

ვახტანგ II-ის დროს დაწყებულმა ოსთა პერმანენტულმა თავდასხმებმა შიდა ქართლზე დავითის მეფობის დასაწყისში უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ცენტრალურ ხელისუფლებას არ შესწევდა ძალა აღეკვეთა ეს გამანადგურებელი თავდასხმები. ერთადერთი ძალა ქვეყანაში, რომელიც ოსთა ... დაუპირისპირდა სურამელთა საგვარეულო იყო, რომელთა პირად ინტერესებში შედიოდა საკუთარი მამულებიდან ოსების თარეშის ალაგმვა.

მდგომარეობას ამწვავებდა ისიც, რომ „დავით უმეტესთა ჟამთა იყვის წინაშე ყაენისა“. ამგვარად უპატრონოდ დაგდებული ქვეყანა შეიქნა გადამთიელთა თუ განდიდების მსურველ ფეოდალთა რბევა-აწიოკების ასპარეზად. დავითის ურდოში ყოფნით ყველაზე მეტად ისარგებლა ხუტლუბუღამ, რომელმაც შეძლო და ხელთ იგდო ათაბაგობა და ამირსპასალარობა.

მიუხედავად იმისა, რომ XIII საუკუნის მიწურულის საქართველოს ისტორიის შესასწავლად ჟამთააღმწერლის თხზულება უპირველესი წყაროა, კონტექსტიდან ჩანს, რომ ის ტექსტი რომელმაც ჩვენამდე მოაღწია

აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ „ასწლოვანი მატიანის“ ერთ ეპიზოდზე. დავითის გამეფების შემდეგ ჟამთააღმწერელი ყვება ოსებთან დაპირისპირების და რატი სურამელის ბრძოლას ამბებს მათ წინააღმდეგ. ამის შემდეგ კი განაგრძობს „ხოლო მოვიდა მწოდებელი ყაენ თუქალისი წინაშე დავით მეფისა. და წარვიდა დავით წინაშე თუქალისა, რომელი იდგა მთასა არარატისასა ... დაამტკიცეს ერთობა, და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა დმანისი, რომელ აქუნდა ხუტლუბუღასა, ძმასა მანგასარისსა“.

ამ კონკრეტულ ეპიზოდზე დაკვირვება გვიჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ მან ჩვენამდე დამახინჯებული და ნაკლულოვანი სახით მოაღწია. ზემოთ მოტანილ ცნობაში რამდენიმე უზუსტობაა. მაგ. წყაროში ნახსენები თუქალი არასდროს ყოფილა ყაენი. იგი ილხანთა ერთ-ერთი ნოინი იყო და მხარს უჭერდა ტახტზე ქეღათუს ნაცვლად

ბაიდუს დასმას. ასევე კითხვის ნიშანს აჩენს ის ფაქტი, თუ რამ აიძულა ჟამთააღმწერელი ხუტლუბუღას პიროვნების დასაკონკრეტებლად მოეყვანა აქამდე უცნობი პიროვნება - მისი ძმა მანგასარი (და არა მაგალითად „ძე სადუნისა“). აღწერილი ამბები ემთხვევა ქეღათუ ბაიდუს ბრძოლას ტახტისათვის 1295 წელს.

„ ასწლოვანი მატიანის“ ამ ნაკლოვანებას პირველად ყურადღება მიაქცია რ. კიკნაძემ, რომელიც ცდილობდა ეს ხარვეზი გამოესწორებინა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მიხედვით.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებული იყო შეხედულება, თითქოს ფ. გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე.წ. მეორე ნაწილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ემყარება და XII საუკუნის დამლევისა და XIII ს.-ის საქართველოს ისტორიას გადმოგვცემს, მოკლებული იყოს ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას. მაგრამ როგორც ირკვევა, ფარსადანს, როცა ისფაჰანში წერდა თავის თხზულებას, ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ისეთი ნუსხა, რომელიც რიგ ადგილებში უფრო ვრცელი, სრული და უკეთ შენახული ყოფილა, ვიდრე ამჟამად ცნობილი ნუსხებია. გამორიცხული არ არის აგრეთვე, რომ მას დამატებით სხვა წყაროებით ესარგებლა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჟამთააღმწერლის თხზულების დღეს ცნობილი ტექსტის ზოგიერთი აშკარად ნაკლული ადგილი ფარსადან გორგიჯანიძესთან უფრო სრულად არის შემონახული.

ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, „სუნბატ ბუღა (ყუთლუბუღა) ნამეტნავად გამდიდრებულიყო, ვითაც მეფენი იქცეოდა. მრავალი სოფლები და ქვეყანანი მეფის დავითისაგან [მიეღო, ყაენ] მანც მისცა“. დავითი ხედავდა, რომ დღითიდღე ხუტლუბუღა უდიდეს ქონებას და მიწებს იხვეჭდა, რაც მის მეფობას საფრთხეს უქმნიდა, ამიტომ ამ ფაქტით შეშფოთებულმა მეფემ ყაენს საჩივრით მიმართა „დავანებე ყოველი სამეფო ჩემი ხუტლუბუღასა, მოველი ყაენისაგან, რომ ჩემი მეფობა მას უბოძოს და მე მას ვემსახურები“. ამდენად მეფე ყაენს ულტიმატუმს უყენებს და სთხოვს მისცეს თავისუფლად მოქმედების საშუალება, რადგან „ყაენის შიშითა ვერა სცვლიდნენ მეფენი ერისთავთა“. ქეღათუმ სწორად განსაჯა, რომ

მედროვე და ვერცხლისმოყვარე ხუტლუბუღასაგან ნაკლებ ხეირს ნახავდა, ამიტომ გადაწყვიტა ურდოში გაერჩია მათი დავა. ხუტლუბუღას პოზიციას იცავდა აღბუღა ნოინი.

ხუტლუბუღა ხედავდა, რომ ყაენი მის შეწყალებას არ აპირებდა და აღბუღა ნოინის დახმარებით საქართველოში გაქცევა მოახერხა. საბოლოოდ იძულებული გახდა ხლებოდა ყაენს, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მას. ფ. გორგიჯანიძის თქმით, ბრძანება სისრულეში თვითონ დავით მეფემ მოიყვანა.

ხუტლუბუღას სიკვდილით დასჯას ადასტურებს რაშიდ ად-დინიც, რომლის მიხედვითაც „სადუნ-ქართველის ვაჟი ხუტლუბუღა სიკვდილით დასაჯეს 692 წლის შაბანის თვის მიწურულს (1293 წლის აგვისტოში).”

მალევე ყაენმა დავითს დაუმტკიცა „ყოველი საქართველო“, მათ შორის ხუტლუბუღას მამულები, და საქართველოში გაისტუმრა. ფ. გორგიჯანიძის თხრობის მიხედვით, დავითის დაბრუნების შემდეგ საქართველოში მოსულან დიდი ნოინები თუქალი და ყონჩიბალი, რათა აღწერათ ქვეყანა. დავითი მათ ჰერეთში შეეგება და საქართველოში შემოუძღვა. აქ ფ. გორგიჯანიძე ძალზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე. ამ დროს ნოინებს „იმერეთით ანბავი მოუვიდათ, რომ წამოვიდა ლაშქარნი აფხაზეთისა“ მათთან საბრძოლველად. ეს ცნობა საინტერესოა იმითაც, რომ სხვა ქართული თუ არაქართული წყაროები საერთოდ არაფერს ამბობენ ამ ლაშქრობის შესახებ.

მონღოლი ნოინების გამოჩენა საქართველოში, სავარაუდოა ან 1293 წლის მიწურულს ან 1294 წლის დამდეგს. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ვახტანგის გარდაცვალებიდან მალევე დავით ნარინმა „მცირეთა წელთა შეისვენა“, ხოლო მის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ტახტზე კონსტანტინე ავიდა, რომელსაც დაპირისპირდა უმცროსი ძმა მიქელი. ვახუშტი ბატონიშვილი ნარინის გარდაცვალების თარიღად 1293 წელს ასახელებს. საინტერესოა, რა იყო მიზანი დასავლეთ საქართველოს ჯარების ლაშქრობისა აღმოსავლეთში. ერთი მხრივ, ეს ფაქტი შეიძლება ავხსნათ იმით, რომ მონღოლმა ნოინებმა ისარგებლეს დავით

ნარინის გარდაცვალებით და სურდათ ყაენის უზენაესობა ლიხთ-იმერეთის სამეფოზეც გაევრცელებინათ და აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, დასავლეთ საქართველოც ყაენის დივანში შეეტანათ. მეორე მხრივ, თუკი ამ დროს დავით ნარინს ჯერ კიდევ ცოცხლად მოვიაზრებთ, არ არის გამორიცხული, რომ მას დავითის მეფობა არალეგიტიმურად ეცნო და დაეწყო ბრძოლა მეორე ვაჟის, კონსტანტინეს აღმოსავლეთ საქართველოში გასამეფებლად.

საინტერესო შეფასებას აძლევს ამ ფაქტს თვითონ ავტორი. დასავლეთ საქართველოდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მონღოლი ნოინები სწაფად აყრილან და თრიალეთში გამაგრებულან. ფ. გორგიჯანიძის თქმით ამით, „ღმერთმა დაიხსნა ქვეყანა“.

1295 წლის დამდეგს ურდოში იწყება შეთქმულება ყაენ ქეღათუს წინააღმდეგ. ამ შეთქმულებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა თუქალ ნოინი (რაშიდ ად-დინთან - თუვალ ნოინი). თუქალი ცნობილი სარდლის იას-ბუღას ვაჟი ყოფილა. ჟამთააღმწერელთან იგი პირველად იხსენიება, მაშინ როცა დემეტრე მეფე ურდოში მიდოდა ყაენთან, არღუნმა სწორედ თუქალი შეაგება მეფეს. „ჯამი ათ-თავარიხიდან“ ჩანს, რომ თუქალ ნოინის სადგომი საქართველოს საზღვრებთან მდებარეობდა. 1295 წლის მოვლენებზე საუბრისას რაშიდ ად-დინი ამბობს, რომ შეურაცხყოფილმა ნოინმა, რომელსაც არ დაეთანხმნენ სხვა ნოინები რომ ნავრუზი სიკვდილით დაესაჯათ, დატოვა ბანაკი და წამოვიდა საქართველოში, სადაც იყო მისი სადგომი. ჟამთააღმწერელი უფრო აკონკრეტებს მის ბანაკს და ამბობს, რომ დავითთან მოვიდა თუქალ ნოინის მაცნე და დავითიც ეახლა მას „რომელი დგა მთასა არარატისათა“. ფ. გორგიჯანიძე კი, არარატის ნაცვლად არტაანის მთას ასახელებს.

ფ. გორგიჯანიძის თქმით დავითს შეუტყვია თუქალის შეთქმულების შესახებ და ყაენისთვის უცნობებია. ქეღათუს დავითისთვის უთხოვია სამხედრო დახმარება და ამ უკანასკნელსაც დაუძრავს ქართველთა ჯარი ურდოში, თუმცა თუქალს დაუსწრია და მოუკლავს ყაენი. ასევე ყონჩუბალ ნოინს მოუკლავს მხედართმთავარი აღბუღა და

ალინაყის შვილი ბუღა. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ალინაყის შვილი, „ყურუმჩის ძმა ბუღა მოეკლა თუქალს“.

ამრიგად, 1295 წლის 23 მარტს შეთქმულებმა მოკლეს ქეღათუ და ყაენის ტახტზე დასვეს ჰულაგუ ყაენის ძის თარაღაის ვაჟი ბაიდუ, რომელიც ქართული და არაქართული წყაროების მიხედვით, იყო ნესტორიანელი ქრისტიანი.

აქ გრძელდება ჟამთააღმწერლის თხრობა მას შემდეგ, რაც იგი წყდება დავითის გამეფებითა და რატი სურამელის ოსებთან ბრძოლით. თხულების ამ ნაწილში არსებული ხარვეზისა და მისი გასწორებისთვის საჭიროდ მიგვაჩნია მისი ციტირება:

„ხოლო მოვიდა მწოდებელი ყაენ თუქალისა წინაშე დავით მეფისა. და წარვიდა დავით წინაშე თუქალისა, რომელი დგა მთათა არარატისათა. ვითარ იხილა თუქალ დავით მეფე, პატივითა შეიყუარა. ინება, რომელ ფიცთა მიერ ქმნან ერთობა სიყვარულისა. დაამტკიცეს ერთობა და წარმოვიდა მეფე შინა და მოსცა დმანისი, რომელი აქუნდა ხუტლუბუღას, ძმასა მანგასარისსა.“

თხზულების ეს ნაწილი რომ გაუმართავია მეტყველებს ისიც, რომ თუქალი არასწორად ყაენად იქნა მიჩნეული. კითხვის ნიშანს აჩენს ასევე თუქალის მიერ დავით მეფისათვის დმანისის გადაცემის და მანგასარის უცნაურ ვითარებაში მოხსენიების საკითხი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ დემეტრე II-ის მიერ მისი მეფობის პირველივე წლებში სადუნისთვის იძულებით მიცემული მნიშვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი დმანისი მხოლოდ 1295 წელს დაუბრუნა თუქალ ნოინმა დავით VIII-ს. ეს მოსაზრება ემყარება ჟამთააღმწერლის ზემოხსენებულ ცნობას, მაგრამ, ჩანს რომ ამ ნაწილში თხრობა არასრული, ნაკლული და ბუნდოვანია.

ფ. გორგიჯანიძის მიერ შემონახული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ დმანისი რამდენიმეჯერ გადასულა ხელიდან ხელში. ჯერ კიდევ 1288 წელს ხუტლუბუღამ, თავის დახსნის მიზნით, უვნებლობისათვის დმანისი მეფეს უძღვნა“. მცირე ხნის

შემდეგ, როცა „მოაკლეს პატივნი ჩინქაშან ბუღასა“, ბექა ჯაყელის თხოვნით, არღუნმა ხუტლუ-ბუღას დაუბრუნა დმანისი და თელავი. და ბოლოს, ხუტლუბუღას სიკვდილით დასჯის შემდეგ, 1293 წელს ილხანმა ქეღათუმ მთელი მისი ქონება დავითს უბოძა. ის „მოვიდა დმანისს და არიგებდა საქართველოსა“.

რ. კიკნაძე შენიშნავს, რომ ჟამთააღმწერლის დღეისთვის ცნობილ ტექსტში ორი სხვადასხვა ცნობაა გაერთიანებული. ჟამთააღმწერლის მიხედვით, თუქალმა დავითს მისცა დმანისი, რომელიც ეკუთვნოდა ხუტლუბუღას, მანგასარის ძმას. ფარსადან გორგიჯანიძე კი გვამცნობს „ ... დაამტკიცეს ფიცი ერთობისა. [თუქალმა] თავისი და მოსცა [დავითს], რომელიც ედგა ხუტლუბუღასა ძმასა მანგასარს“. აქ უკვე ყველაფერი ნათელი ხდება. როგორც ჩანს გადამწერებმა არასწორად ამოიკითხეს სიტყვა „დმანისი“, მაშინ როცა პირველწყაროში უნდა ყოფილიყო „და მისი“. ბუნებრივია, დმანისს 1295 წელს ვერ გადასცემდნენ დავითს, რადგან ეს უკანასკნელი ამ ქალაქს 1293 წლიდან, ანუ ხუტლუბუღას გარდაცვალების შემდეგ ფლობდა. გასაგები ხდება ისიც თუ რა კონტექსტშია ნახსენები ხუტლუბუღას ძმა მანგასარი, პირვეწყაროში არა როგორც დმანისის მფლობელად, არამედ ქმრად იყო მოხსენიებული თუქალის დისა, რომელიც მოგვიანებით დავითმა პოლიტიკური კავშირის გასამყარებლად ცოლად შეირთო.

ამ დროს თუქალ ნოინის მოწინააღმდეგეთა ერთი ჯგუფი არღუნ აღას ვაჟის ნავროზის და ალინაყის ძის ყურუმჩის მეთაურობით ეწვივნენ ხორასნის გამგებელს ყაზანს, არღუნის უფროს ვაჟს და ბაიდუს წინააღმდეგ აჯანყებაში მოთავეობა და ტახტი შესთავაზეს. ყაზანიც დათანხმდა შეთავაზებას და გაერთიანებული ძალებით დაიძრნენ ბაიდუს წინააღმდეგ. ბაიდუმ სასწრაფოდ იხმო თუქალ ნოინი და „წარვიდა თუქალცა სისწრაფითა, ვერღარა მოიცადეს მეფე. აქაცა დაიცვა ღმერთმან, რომე არა დახუდა“.

ჟამთააღმწერლის თხზულების ამ ეპიზოდში, ჩანს, რომ დავითი ამ დროს საქართველოში იმყოფება და ვითარების სიმწვავიდან გამომდინარე ვერ მოესწრო მისი გამოძახება ურდოში. აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ ფრაზაზე:

„აქაცა დაიცვა ღმერთმან [დავითი], რომე არა დახუდა“. თხრობის სტილიდან გამომდინარე, რჩება შთაბეჭდილება რომ დავითი მანამდეც თავისი არყოფნის გამო გადარჩენილა ურდოში მიმდინარე დაპირისპირებას და მსგავსად უწინდელისა „აქაცა დაიცვა ღმერთმან“. დავითის უწინდელ „გადარჩენაში“ იგულისხმება ალბათ ის ფაქტი, როცა ქეღათუმ დახმარება სთხოვა დავითს თუქალ ნოინის აჯანყების დროს. როგორც ვიცით, დავითმა ვერ მოასწრო დამხმარე ჯარების გაგზავნა ყაენთან მისი მკვლელობის გამო. ფ. გორგიჯანიძე შენიშნავს, „გაუგზავნეს ელჩი მეფეს დავითს და დაუმადლეს, რომ არ დახვდა ქუღათოს სიკვდილსა. ღმთის წყალობით დაფარული იქმნა მეფე და სპანი მისნი. თუ დასწრებოდენ, ქართველთ საქმე წამხდარი იყო“.

1295 წლის 16 მაისს ყაზანმა და მისმა მომხრეებმა გადაკვეთეს მდ. საფიდ-რუდი და დაიბანაკეს ბაიდუს ჯარების მახლობლად. ომის დაწყებას არცერთი მხარე არ ჩქარობდა. ამასობაში ბაიდუმ შეძლო დიდი ძალების თავმოყრა და ბრძოლაში მარცხისა და ღალატის შიშით ყაზანმა ბანაკი დატოვა. უმეთაუროდ დარჩენილი ნოინები ადვილად დამარცხდნენ და თუქალს ტყვედ ჩაუვარდა ნავროზი. ამ უკანასკნელმა თუქალს პირობა მისცა, რომ გათავისუფლების შემთხვევაში მას ყაზანს ჩაუგდებდა ხელში. იმის გამო, რომ ყაენისთვის ყაზანი უფრო გემრიელი ლუკმა იყო, ვიდრე ნავროზი, გაათავისუფლა იგი.

ამასობაში ყაზანმა ოფიციალურად აღიარა ისლამი და უკვე ისლამის დროშის ქვეშ ბრძოლა გამოუცხადა ყაენს. რამადანის მარხვის დაწყებას იგი შეხვდა, როგორც ახალი მუსლიმი წინამძღოლი, რომელსაც უნდა დაემხო უკანასკნელი წარმართი ყაენი. **დასავლეთისკენ დაძრული ყაზანის ჯარები უფრო ტრიუმფალურ პროცესიას წააგავდა, ვიდრე სამხედრო კამპანიას.**

ყაზანის განახლებულ ბრძოლას ამჯერად შეუერთდნენ სადრ ალ-დინ ზენჯანი, ემირი ჩობანი და ყურუმჩი ალინაყის ძე. ბაიდუ მიატოვა და ყაზანს შეუერთდა ტაჩარ ნოინიც. გზად მიმავალ ყაზანს შეატყობის, რომ ბაიდუ ტყვედ ჩავარნილიყო და თავრიზში

გამოეკეტათ. ყაზანის ბრძანების მიუხედავად, რომ მის გარეშე არ დაესაჯათ ბაიდუ, 4 ოქტომბერს იგი სიკვდილით დასაჯეს.

ბაიდუს სიკვდილის შეტყობისთანავე თუქალი საქართველოში გამოიქცა და ბექა ჯაყელს თავშესაფარი სთხოვა, ხოლო შვილი დავითს გაუგზავნა და მისი თავი შეავედრა. ამასობაში ყაზანი თავრიზს მოვიდა და მოსთხოვა ორივე მმართველს ნოინისა და მისი ვაჟის გადაცემა. ყაზანისაგან უვნებლობის პირობის მიღების შემდეგ გაუგზავნეს თუქალი, თუმცა ამ უკანასკნელს ურდოში ჩასვლა და ყაენის წინაშე წარდგომა არ დასცალდა, რადგან გზად მისი თავი ყაენის ელჩს წაგვარა და მოკლა ყურუმჩიმ, რომელმაც ამით საკუთარი ძმის, ბუღას მკვლელობისთვის სამაგიერო მიუზღო თუქალს. ამასობაში დავითმაც გაუგზავნა ყაზანს თუქალის ვაჟი.

მიუხედავად ყაზანისთვის გაწეული დახმარებისა, დავითი ერიდებოდა ყაენის წინაშე წარდგომას, რადგან ეშინოდა თუქალის მოკავშირეობისთვისა და მოყვრობის გამო ყაზანს მისთვის ბრალი არ დაედო. რაკი, მონღოლური წესის მიხედვით, ბაიდუს მოკვლასთან ერთად «მისთანა მრავალნი ნოინნი» მის მომხრეებად ცნობილნიც დაისაჯნენ, ამიტომ დავითსაც სახიფათო მდგომარეობა შეექმნა იმ კავშირის გამო, რომელიც მას ბაიდუსთვის თავგამოდებულ მომხრე თუქალ ნოინთან ჰქონდა.

თუ არა დავითმა, სხვამ ვინ იცოდა მასზე უკეთ რა ბედი ელოდათ დასჯილი მონღოლი დიდებულის ახლობლებსა თუ მოკავშირეებს. ბედი უკუღმართობით, თვითონ იყო მომსწრე და თვალშემყურე, თუ როგორ დასაჯეს სიკვდილით მისი მამა დემეტრე ბუღა ნოინთან მოკავშირეობის გამო.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, დავითი იმის გამოც ერიდებოდა ყაენთან გამოცხადებას, რომ ურდოში მას გამუსლიმებას მოსთხოვდნენ. მართლაც ყაზანის გაყაენებისთანავე დაიწყო ისლამის დაჩქარებული წესით გავრცელება. საილხნოს ისლამიზაციის პროცესში მემატიანე ხაზს უსვამს ნავროზის განსაკუთრებულ როლზე. „ნავროზ, არღუნ-აღას შვილი, მტერი იყო ყოველთა ქრისტიანეთა, ვისცა ჰგონებდა სჯულისა დატეობასა, დაჰპატიჟებდა და მუსულმანად მოაქცევდა, თვინიერ ცნობისა

ყაზან ყაენისა“. ქრისტიანული თემების რბევა-აწიოკებას ნავროზვე მიაწერს სტეფანოს ორბელიანი.

ახალმა ყაენმა ტახტზე ასვლისთანავე ბრძანება გასცა ყველგან მის საბრძანებელში ქრისტიანეთა ეკლესიები, მონასტრები, ცეცხლთაყვანისმცემელთა საგზებლები და ბუდას მოძღვრების მიმდევართა სამლოცველოები დაენგრიათ, ხოლო ხატები და ქანდაკებები დაელეწათ. თავაშვებული სარწმუნოებრივი დევნა, განადგურება და ცარცვა-გლეჯა დაიწყო ისეთივე სიმკაცრით, როგორც მაჰმადიანობის ბატონობის უსაშინელეს ხანაში იყო ხოლმე.

საქართველოს სოციალ-ეკონკომიკური მდგომარეობა XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე; ყაზანური რეფორმები

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპი ძალზე დაქვეითდა. მონღოლთა გამუდმებულ ლაშქრობებში საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობა, ურდოდან მოვლენილი დამსჯელი ექსპედიციების მიერ საქართველოს ტერიტორიის რბევა, იმიერკავკასიელთა ბარში ჩამოსხდომა და ა.შ. ძირს უთხრიდა ქვეყნის ისედაც შერყეულ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას.[2] გაუმართავი ფისკალური აპარატისა და მონღოლი საფინანსო მოხელეების თავაშვებული ქცევების გამო მოსახლეობა ტოვებდა საცხოვრებელს, რაც მათ გაღატაკებას და ბოგანოდ ქცევას უწყობდა ხელს. საინტერესო ცნობას გვაძლევს რაშიდ ად-დინი საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. ილხანთა მთავარსარდალმა ხუტლუშაჰმა (ჟამთააღმწერელთან - ხუტლუბუღა) 1298 წელს საქართველოდან დაბრუნების შემდეგ საჰიბ დივანს (ფინანსთა უწყების გამგეს) სადრ ად-დინ ზენჯანს უსაყვედურა და ამხილა, რომ მისი ხელქვეითები ამ ქვეყანაში მოსახლეობას აწიოკებდნენ და ყვლეფდნენ. სადრ ად-დინს შეეშინდა, რომ ეს ცნობა ყაენის ყურამდე არ მისულიყო და დასწრება ამჯობინა. მან ყაზანს მოახსენა, რომ „ხუტლუშაჰის მომხრეებმა საქართველო გააჩანაგესო“, რის გამოც ყაენმა ხუტლუშაჰი აითვალწუნა. საბოლოოდ, რაშიდ ად-დინის ჩარევის შედეგად ხუტლუშაჰის ბრალეულობა გამართლდა. მოგვიანებით ყაენმა სადრ ად-დინი სიკვდილით დასაჯა.

[2] ნარკვევები

სახნავ-სათესად ვარგისი მიწების დიდი ნაწილი მონღოლმა ნოინებმა საზაფხულო სადგომებად აქციეს, რაც კატასტროფულად მოქმედებდა ქვეყნის ინტენსიური მეურნეობის განვითარებაზე. მაგ. ცნობილია, რომ მონღოლთა დიდი ჯგუფი მუხრანის მახლობლად იყო დაბანაკებული და სახნავ-სათესად ვარგისი მიწები საძოვრებად ჰქონდათ ქცეული. მონღოლთა მეორე ჯგუფი დაბანაკებული იყო ჯავახეთში.

მიწათმოქმედი მოსახლეობის აყრამ საკუთარი მამულებიდან გამოიწვია სოფლების დაცარიელება, რაც ხელს უწყობდა სახნავ-სათესად ვარგისი მიწების მედროვეებისა თუ მონღოლი დიდმოხელეების გროშებად ხელში ჩაგდებას. გაუკაცრიელებულ, ჰარტახ მიწას მონღოლები გადასახადს მაინც არ უსპობდნენ და იგი უაზრო ტვირთად აწვებოდა მის მფლობელ ფეოდალს, ამიტომ ფეოდალები ცდილობდნენ სწრაფად მოეცილებინათ ასეთი მიწა.

ამის საილუსტრაციოდ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის შეწირულობის სიგელი რკონის მონასტრისადმი, სადაც ნათქვამია, რომ „მ[ათ ჟამთა დია] ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქროი ძუირ[ად იყვის და] სოფელი იეფად“.[3]

- დაწერილი ქაქანასი ქვათახევისადმი

ამ პერიოდის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაძლევს 1292 და 1295 წლებით დათარიღებული წარწერები ქობაირიდან.

სომხური ჰიშატაკარანები

საერთო სოციალური გაჭირვების ფონზე შედარებით მყარად ფეხზე იდგა ეკლესია, რადგან მონღოლური წესით საეკლესიო მიწები გათავისუფლებული იყო ყოველგვარი გამოსაღებისგან. ამის გამო შეჭირვებილი ფეოდალები იწყებენ ეკლესია-მონასტრებისთვის შეწირული მამულების უკუგამოწირვას. ჟამთააღმწერლის მიხედვით, „მთავართა იწყეს ხელით შეხებად საყდართა და მონასტერთა და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა“.[4] ამ პროცესმა დიდი

[3] დოლიძე 2 სამართლის ძეგები 57

[4] ჟამთააღმწერელი

განხეთქილება გამოიწვია ფეოდალებსა და ეკლესიას შორის. ჟამთააღმწერლის თხრობიდან ჩანს, რომ ეკლესიის პრესტიჟი ამ დროისთვის ძალზედ იყო შელახული, რადგან საერთო სიდუხჭირის ფონზე ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ოდინდელ სიმდიდრესა და ძალაუფლებას.

მას შემდეგ, რაც ყაზან ყაენმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, ეკლესიას იმუნიტეტი მოეხსნა და ყოველწლიური გამოსაღები დაეკისრა. სამწუხაროდ, წყაროებში არ ფიქსირდება ეკლესიის მომდევნო ხანების მდგომარეობა, თუმცა ცხადია, რომ ეს პროცესი ძალზე მტკივნეული უნდა ყოფილიყო.

სოფლის მეურნეობასთან დაქვეითებასთან ერთად ძალზე დაკნინდა საქალაქო ცხოვრება. ქვეყნის სამეურნეო განვითარების შეფერხებამ ბუნებრივად გამოიწვია ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის დაცემა. ბევრმა ქალაქმა მონღოლთა ამაოხრებელი რბევის შედეგად შეწყვიტა არსებობა (მაგ. რუსთავი, უფლისციხე, ხუნანი, ხორნაბუჯი და ა.შ.).

მონღოლთა ბატონობის პერიოდში დიდი დაზიანება განიცადა თბილისმა. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მჭიდროდ დასახლებული ყოფილა ხელოსან-მეთუნეთა დიდი კვარტლები არსებულა. ეს მხარე მთლიანად დაიცალა XIII საუკუნის მიწურულს.

ქალაქებში განსაკუთრებით იმატა გლახაკთა ბრბომ, ხოლო სახელმწიფო სალარომ ფულის სიმცირის გამო, როგორც ჩანს მათთვის წინათ დაწესებული ნაათალის (სახელმწიფო შემოსავლის 1/10-ის) გაცემა შეწყვიტა. ალბათ ამის ილუსტრაციას უნდა წარმოადგენდეს ჟამთააღმწერელთან ის ფაქტი, რომ დემეტრე მეფეს ღამით ჩვევად ჰქონდა ქალაქის შემოვლა და გლახაკთათვის მოწყალების გაღება.

ქალაქების დაცემას ხელი შეუწყო ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა უზომო ექსპლოატაციამ, რასაც ეს ფენა ხარკის ამკრეფთაგან, მონღოლ და თვით ადგილობრივ ქალაქის უმაღლესი წრეებისაგან განიცდიდა. ქალაქებიდან

გარბოდნენ არა მხოლოდ დაბალი ფენები, არამედ საშუალო მოხელეებიც (ქალაქის მამასახლისები).

წყაროების მიხედვით დგინდება, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოდან ირანში გლეხების კომლების გადასახლებას და იქ მეურნეობის დარგების აყვავებას. რაშიდ ად-დინი, რომელიც იყო ჯერ ყაზანის და მერე ოლჯაითუს პირველი ვეზირი, იყო უდიდესი პლანტატორი და ფლობდა უზარმაზარ მიწებს იმპერიის სხვადასხვა ადგილებში. ილხანთა პერიოდის სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რაშიდ ად-დინი მიმოწერები მონღოლ მოხელეებთან. წყაროს მიხედვით ირკვევა, რომ რობ-ე რაშიდში (კვარტალი ქალაქ თავრიზში; „რაშიდის მეოთხედი“ - რაშიდ ად-დინი ქალაქის მეოთხედს ფლობდა) მას ჰქონია სახლები, ქარვასლები, სახელოსნოები, სამღებროები, აბანოები და ა.შ., სადაც სხვადასხვა ქვეყნებიდან იძულებით გადმოსახლებული ხელოსნები მუშაობდნენ. ამავე უბანში მან გააშენა ხეხილის ბაღი, რის მოსავლელადაც დაასახლა „მონები“. მისი მიმოწერიდან ირკვევა, რომ აქ ყოფილა „გორჯების სოფელი“, რომელთაც ევალებოდათ ხეხილისა და ბაღ-ვენახების მოვლა-პატრონობა.

საინტერესოა, რომ რაშიდ-ად დინი მიწებს საქართველოშიც ფლობდა და აქ ზაფრანის პლანტაციები ჰქონდა გაშენებული. რაც უფრო საყურადღებოა, არის ის, რომ იგი მიწებს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ დასავლეთ საქართველოშიც ფლობდა. როგორც მისი მიმოწერებიდან ირკვევა მას მიწების ნაწილი ყაენისგან მიუღია სოიურღალის (მემკვიდრეობით მფლობელობაში ნაწყალობელი მიწა) სახით, ნაწილი უყიდია საკუთარი ფულით და ნაწილი გლეხებისგან მიტოვებული ყოფილა, რომელიც მას აღუდგენია და გაუნაშენებია. როგორც კ. ტაბატაძე მიიჩნევს, საქართველოში რაშიდ ად-დინის მიწები ნასყიდი უნდა ყოფილიყო. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთ საქართველოში მონღოლთა ბატონობას ადგილი არ ჰქონია.

დამახასიათებელია მისი სიტყვები, რომლითაც ის თავის ვაჟს, საქართველოს ნაცვალს, ფირ-სულთანს მიმართავს. ფირ სულთანმა არ უნდა დაუშვას, წერს რაშიდ ად-დინი, რომ „თბილისისა და მისი ვილაიეთის მკვიდრებს, მცხოვრებლებს და რაიათებს აშკარა ბოროტება და განუკითხავი ძალადობა მიადგათ... მონღოლთა ამირები თუ სამართლიანობის გზას ერთი ბეწვით გადაუხვევენ პირადი სარგებლობის მიზნით, მყისვე ჩვენ შეგვატყობინოს, რათა აღვკვეთოთ მათი საქციელი“.

მონღოლთა ბატონობის გამო მოიშალა საქართველოზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები. აღმოსავლეთ აზიასთან სავაჭროდ ევროპელები ოქროს ურდოს გავლით ამჯობინებდნენ. ოქროს ურდოდან მოსალოდნელი საფრთხის გამო ჰულაგუიანებმა სავაჭრო-სატანზიტო გზები უფრო სამხრეთით გადაიტანეს, თავრიზის გავლით. ამ მიზეზთა გამო საქართველომ დაკარგა თავისი ეკონომიკური ფუნქცია, რომ ყოფილიყო სატრანზიტო ქვეყანა ევროპასა და აღმოსავლეთს შორის.

ამგვარად მოშლილი მეურნეობა, დაცლილ-გაღარიბებული ქალაქები, მოოხრებული-გაუდაბურებული მხარეები და აყრილი გლეხობა, ნათლად ადასტურებენ საქართველოს ეკონომიკის დაცემას. საქართველოს ბედს იზიარებდა მონღოლთა მიერ დაპყრობილი სხვა ქვეყნებიც. მინიმუმამდე იკლო დაპყრობილი ქვეყნების გადახდისუნარიანობამ.[5] მონღოლთა მფლობელობის გამანადგურებელ შედეგებს ამ პერიოდისათვის დაწვრილებით აღწერს რაშიდ ად-დინი. მისი ერთი ცნობის თანახმად იმ დროისთვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის ვარგისი დამუშავებული მიწების ფართობი 9/10 ჯერ შემცირებულა[6]

ამ კრიტიკულ სიტუაციაში ილხანთა საყაენოს მხსნელად მოევლინა ყაზან ყაენი, რომელმაც სოციალური და ეკონომიკური კუთხით ძირეული რეფორმები გაატარა. მისი მმართველობა იყო ერთგვარი კომპრომისი მომთაბარე-ნომადურ არისტოკრატიასა და ირანულ ზედაფენებს შორის. ამ კომპრომისის დაგვირგვინება იყო მის მიერ ისლამის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. ყაზან ყაენი გამოდიოდა იმ ჯგუფის ინტერესებიდან, რომელიც ცდილობდა განადგურების პირას მიყვანილი

[5] ნარკვევები

[6] (Сборник летописей, III, с. 309).

საწარმოო ძალების აღდგენა-განვითარებას. ამ ტენდენციის მომხრეები მწარმოებელი მოსახლეობის განუზომელი და უსისტემო ყვლეფის წინააღმდეგნი იყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი იყო ზუსტად განესაზღვრათ სოფლის მწარმოებელი ფენების გადასახადებისა და ბეგარის რაოდენობა. [7]

ყაზან ყაენის მეორ გატარებულ რეფორმათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო „ხარაჯის კანონი". ილხანმა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარების შესაფასებლად მოსახლეობისა და მიწების ხელახალი აღწერა ჩაატარა, რათა მოეწესრიგებინა საგადასახადო სისტემა. ამის შემდეგ შეადგენინა დავთრები და გამოსცა კანონი ხარაჯის შესახებ, რის შემდეგაც იგი მოსახლეობას დაუგზავნა. იმისთვის, რომ გლეხი გარკვეული ყოფილიყო თავის მოვალეობებში გადასახადების ზოგადი ნორმები ქვებზე ამოაჭრევინა და მოედნებზე, გზაჯვარედინებზე, სოფლის შესასვლელში და მიზგითების კედელზე დაამაგრებინა.

მიუხედავად ყაზან ყაენის ანტიქრისტიანული პოლიტიკისა მას ჟამთააღმწერელი ახასიათებს, როგორც სამართლიან, ეფექტურ და რეფორმატორ მმართველად. მართლაც ყაზან ყაენის რეფორმებმა კოლაფსისათვის განწირული იმპერიის არსებობა ცოტა ხნით გაახანგრძლივა. მონღოლ ილხანთა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების აპარატი ამ დროისთვის იმდენად იყო ჩამოშლილი, რომ ბოლომდე მისი გამართვა შეუძლებელი იყო.

ილხანთა საყაენო, რომლის ეკონომიკაც წარმატებულ სამხედრო კამპანიებსა და დაპყრობილი მოსახლეობიდან შემოსულ ხარკზე იყო დამყარებული, XIII საუკუნის მიწურულს ჩიხში მოექცა.

ადგილობრივი მმართველებისა თუ ხარკის ამკრეფების თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. მონღოლთა საოკუპაციო ჯარის დგომა დაპყრობილ ქვეყნებში იწვევდა ნატურალური მეურნეობის გაჩანაგებას და ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით

[7] ვ. კიკნაძე

ხიზნობას. შესაბამისად ნაყოფიერი მიწები პარტახდებოდა და ხელში უვარდებოდათ მონღოლ მოხელეებს. მონღოლი მოხელეების უმისამართო ძარცვა-ყვლეფას ეხ

ყაზან ყაენის მეირ გატარებულ რეფორმათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო „ხარაჯის კანონი“. ილხანმა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარების შესაფასებლად მოსახლეობისა და მიწების ხელახალი აღწერა ჩაატარა, რათა მოეწესრიგებინა საგადასახადო სისტემა. ააწერინა და მტკიცედ განსაზღვრა ხარაჯის (გადასახადების) ნიხრი. ამის შემდეგ შეადგენინა დავთრები და გამოსცა კანონი ხარაჯის შესახებ, რის შემდეგაც იგი მოსახლეობას დაუგზავნა. იმისთვის, რომ გლეხი გარკვეული ყოფილიყო თავის მოვალეობებში გადასახადების ზოგადი ნორმები ქვებზე ამოაჭრევინა და მოედნებზე, გზაჯვარედინებზე, სოფლის შესასვლელში და მიზგითების კედელზე დაამაგრებინა.[8]

კანონში გაწერილი იყო ხარაჯის ის ნორმა, რაც გლეხს უნდა გამოეღო. ბრძანების მიხედვით, ხარკი წელიწადში ორჯერ უნდა აკრეფილიყო. ამასთან ილხანმა საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ყოველი ქვეყნის საგადასახადო სამმართველოს უფროსი (ბასკაკი), მოიჯარადრეთა გამგე (მელიქი) და მდივან-მწიგნობარი (ბითექჩი), რომელიც შეეცდებოდა მოსახლეობისგან ზედმეტი აეღო, სიკვდილით დაისჯებოდა.

ყაენმა წესრიგი შეიტანა ე.წ. საიამე მეურნეობაშიც. საიამე ხარკი მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელ მოსახლეობას. სასტიკად აკრძალა გლეხებისთვის ცხენ სახედრების ძალით წართმევა და მოხელეებს სიკვდილითაც კი სჯიდა თუ ამის მსგავს რამეს შეამჩნევდა.[9]

იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა მიწისმოქმედ გლეხთა დაუინტერესებლობას მეურნეობით, ხოლო ამ ნიადაგზე გაქცევასა და მიწების გაუკაცრიელებას, ყაზანმა დააწესა სახელმწიფო გადასახადებში ერთდროული შეღავათები იმათ მიმართ, ვინც ნაოხარ მიწას დაამუშავებდა. გლეხი, რომელიც გაპარტახებულ მიწას მოხნავდა და

[8] ი.პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., 1960, გვ. 58.
[9] გვრიტიშვილი

ყამირს გატეხდა, პირველ წელს ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფლდებოდა. მეორე წელს საგადასახადო ნორმის მესამედი გამოერთმეოდა, მესამე წელს კი - ნახევარი.[10]

ყაზანმა გააუქმა გადასახადების გამოსყიდვის წესი და სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების ჩადგომა გლეხის ოჯახში.[11]

უდიდეს მნიშვნელობას ატარებდა 1303 წელს გამოშვებული კანონი, რომელიც გლეხებს (რაიათებს) მიწაზე ამაგრებდა. კანონის მიხედვით გლეხს თვითნებურად მიწის დატოვება ეკრძალებოდა, ხოლო ფეოდალს გაქცეული გლეხის შეფარება. გაქცეული გლეხი დასაბრუნებლად დაწესდა 30 წლიანი ვადა. ამ კანონმა განამტკიცა და პირველად ოფიციალურად დაადასტურა გლეხების (რაითების) მიმაგრება მიწაზე, ამავე დროს ფეოდალებს აეკრძალათ გლეხებს მოპყრობოდნენ როგორც მონას, მოეკლათ ის და ა.შ. ამ რეფორმასთან ერთად ყაზანის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება იყო დივნის (სახელმწიფოს) მიწების ფართოდ დარიგება მემკვიდრეობითი იკტის სახით მონღოლ სარდლებზე და მთლიან სამხედრო რაზმებზე (რაზმის თითოეული წევრი თავის წილ მიწას ღებულობდა ამ ფონდიდან). იკტადარებმა მიწასთან ერთად მიიღეს მიწაზე მჯდომი გლეხებიც, საიდანაც ისინი რენტას ღებულობდნენ. იმ ვითარებაში, როცა სამხედრო ალაფმა და ხარკმა იკლო, ყაზანმა ამ ღონისძიებებით, ე. ი. მონღოლთა მასობრივი ფეოდალიზაციით მოახერხა მათი დაკმაყოფილება. ამით ყაზანმა ცენტრის როლის გაზრდასაც მიაღწია, რადგან ცენტრთან კავშირი ფეოდალის გამდიდრების წყაროდ იქცეოდა.

მონღოლური უღლის დამძიმებამ და ეკონომიკურმა სიძნელეებმა მოიტანა ცვლილებები სოციალურ მდგომარეობაშიც. ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ

[10] გვრიტიშვილი
[11] ნარკვევები

„აზნაურთა წოდების წიაღიდან დიდი ხელისუფლებით აღჭურვილი პირები გამოეყვნენ, რომელთა ერთ წრედ, ამ ხანაში მთავრებად სახელდებულნი, სხვილი საქვეყნოდ გამრიგენი იქცნენ. მეორე მხრით, აზნაურთაგან სხვა დიდი მოხელეობის მჭირავი ოჯახები და საგვარეულოებიც იმდენად აღზევდნენ, რომ მათ, აზნაურთაგან განსასხვავებლად, წინანდებურად ისევ აზნაურები-კი არ ეწოდებოდათ, არამედ მხოლოდ დიდებულნი.

ყაზან ყაენის მეირ გატარებულ რეფორმათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო „ხარაჯის კანონი“. ილხანმა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად მოსახლეობისა და მიწების ხელახალი აღწერა ჩაატარა, რათა მოეწესრიგებინა საგადასახადო სისტემა. ამის შემდეგ შეადგენინა დავთრები და გამოსცა კანონი ხარაჯის შესახებ, რის შემდეგაც იგი მოსახლეობას დაუგზავნა. იმისთვის, რომ გლეხი გარკვეული ყოფილიყო თავის მოვალეობებში გადასახადების ზოგადი ნორმები ქვებზე ამოაჭრევინა და მოედნებზე, გზაჯვარედინებზე, სოფლის შესასვლელში და მიზგითების კედელზე დაამაგრებინა.

მიუხედავად ყაზან ყაენის ანტიქრისტიანული პოლიტიკისა მას ჟამთააღმწერელი ახასიათებს, როგორც სამართლიან, ეფექტურ და რეფორმატორ მმართველად. მართლაც ყაზან ყაენის რეფორმებმა კოლაფსისათვის განწირული იმპერიის არსებობა ცოტა ხნით გაახანგრძლივა. მონღოლ ილხანთა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების აპარატი ამ დროისთვის იმდენად იყო ჩამოშლილი, რომ ბოლომდე მისი გამართვა შეუძლებელი იყო.

ილხანთა საყაენო, რომლის ეკონომიკაც წარმატებულ სამხედრო კამპანიებსა და დაპყრობილი მოსახლეობიდან შემოსულ ხარკზე იყო დამყარებული, XIII საუკუნის მიწურულს ჩიხში მოექცა.

ადგილობრივი მმართველებისა თუ ხარკის ამკრეფების თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. მონღოლთა საოკუპაციო ჯარის დგომა დაპყრობილ ქვეყნებში იწვევდა ნატურალური მეურნეობის გაჩანაგებას და ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით ხიზნობას. შესაბამისად ნაყოფიერი მიწები პარტახდებოდა და ხელში უვარდებოდათ მონღოლ მოხელეებს. მონღოლი მოხელეების უმისამართო ძარცვა-ყვლეფას ეხ

.

მიუხედავად ყაზან ყაენის ანტიქრისტიანული პოლიტიკისა მას ჟამთააღმწერელი ახასიათებს, როგორც სამართლიან, ეფექტურ და რეფორმატორ მმართველად. მართლაც ყაზან ყაენის რეფორმებმა კოლაფსისათვის განწირული იმპერიის არსებობა ცოტა ხნით გაახანგრძლივა. მონღოლ ილხანთა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების აპარატი ამ დროისთვის იმდენად იყო ჩამოშლილი, რომ ბოლომდე მისი გამართვა შეუძლებელი იყო.

ილხანთა საყაენო, რომლის ეკონომიკაც წარმატებულ სამხედრო კამპანიებსა და დაპყრობილი მოსახლეობიდან შემოსულ ხარკზე იყო დამყარებული, XIII საუკუნის მიწურულს ჩიხში მოექცა.

ადგილობრივი მმართველებისა თუ ხარკის ამკრეფების თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. მონღოლთა საოკუპაციო ჯარის დგომა დაპყრობილ ქვეყნებში იწვევდა ნატურალური მეურნეობის გაჩანაგებას და ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით ხიზნობას. შესაბამისად ნაყოფიერი მიწები პარტახდებოდა და ხელში უვარდებოდათ მონღოლ მოხელეებს. მონღოლი მოხელეების უმისამართო ძარცვა-ყვლეფას ეხ

თუქალ ნოინთან დამოყვრება და ბაიდუ ყაენის ქრისტიანობისადმი სიმპათია, ერთი შეხედვით, მომავლის უკეთეს პერსპექტივას ქმნიდა საქართველოსთვის, თუმცა ბაიდუ ვერ გამოდგა ეფექტური მმართველი. მას დაუპირისპირდა არღუნ ყაენის უფროსი ვაჟი ყაზანი, რომელიც მანამდე ხორასნის გამგებელი იყო. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა ტაჩარ ნოინი, რომელიც უკვე მესამე ყაენის დამხობას აპირებდა. აჯანყებამ საბოლოოდ შედეგი გამოღო და შეთქმულებმა 1295 წლის 4 ოქტომბერს ბაიდუ მოკლეს. ყაენის ტახტი ამჯერად ყაზანმა დაიკავა, რომელმაც ტახტზე ასვლამდე ცოტა ხნით ადრე მიიღო ისლამი.

საილხნოში ისლამის ოფიციალურ რელიგიად აღიარება კიდევ უფრო ართულებდა საქართველოს მდგომარეობას. ეკლესია, რომელიც მანამდე შეუვალობით სარგებლობდა უკვე ყაენის დივანს უნდა დამორჩილებდა და ხარკი ეკისრა.

მიუხედავად ამისა ყაზან

ფარსადან გორგიჯანიძის თხრობიდანვე ჩანს, დავითმა შეიტყო თუქალ ნოინის შთქმულების შესახებ და ყაენს აცნობა. ქეღათუმ დავითს სამხედრო დახმარება სთხოვა, თუმცა ქართველთა ჯარის ურდოში ჩასვლამდე შეთქმულებმა მოკლეს ყაენი და ტახტზე ბაიდუ მოიწვიეს.

ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი ჟამთააღმწერლის თხზულებაში გვიანდელი გადამწერების მიერ არასწორად იქნა გაგებული. დავითისა და თუქალ ნოინის კავშირი გამორიცხულია იმ გარემოებითაც, რომ თუქალი დაპირისპირებული იყო ყაენ ქეღათუსთან და მასვე მიუძღვის წილი მის მკვლელობაში. ამ დროს დავითი ქეღათუს მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი, მით უმეტეს, რომ დავითის პროტეჟეს ტაჩარ ნოინს ძალზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თუქალთან.

ხოლო მოვიდა მწოდებელი თუქალისა წინაშე დავით მეფისა. და წარვიდა დავით
წინაშე თუქალისა, რომელი დგა მთათა არარატისათა. ვითარ იხილა თუქალ დავით მეფე,
პატივითა შეიყუარა. ინება, რომელ ფიცთა მიერ ქმნან ერთობა სიყუარულისა. დაამტკიცეს
ერთობა, და წარმოვიდა მეფე შინა, და მოსცა დმანისი, რომელი აქუნდა ხუტლუბუღას,
ძმასა მანგასარისსა.
42. და ვითარ გარდაÃდა

დავით VIII-ის აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ

„ჟამთააღმწერლის“ თხზულებაში დავით VIII-ის აჯანყებაზე თხრობა იწყება მას შემდეგ, რაც იგი ახსენებს ემირ ნავრუზის სიკვდილით დასჯას. „რომელ დევნა უყო ... ხუტლუშა ნოინმან,მიეწია და მოაკუდინა იგი“. ნავრუზის სიკვდილით დასჯას რაშიდ ად-დინი ათარიღებს 696 წლის 23 შავვალს – (14 აგვისტო, 1297 წ.)[12] ამის შემდეგ თხრობა გადადის დავით მეფის აჯანყების დაყებაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომ ეს აჯანყება დაწყებულა 1297 წლის მიწურულს. ი. ჯავახიშვილი ყაენის მიერ დავითის მოწვევასა და მის განდგომას ათარიღებს 1297 წლის ნოემბრის დასაწყისით.[13] იგივეს იმეორებს ლომთათიძე „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“.[14] ი. ჯავახიშვილი, ალბათ, ამოდიოდა, რაშიდ ად-დინის თხზულებიდან, სადაც ავტორი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხება. ეს მონაკვეთი შემდეგნაირად იკითხება - „საქართველოში ავრცელებდნენ ხმებს სიძნელეების შესახებ. [ყაზან ყაენმა] იქ გაგზავნა ემირ ყუთლუღშაჰი, რათა სამფლობელო წესრიგში მოეყვანა. [ის] მალევე დაბრუნდა უკან და თან წამოიყვანა დავით მეფის ძმა, ვახტანგი და მათ მიიღეს [ყაენის] მოწყალება და უკან დაბრუნდნენ.“

---

[12] რაშიდ ადდინი 274

[13]

[14]

ვ. კიკნაძე თავის მონოგრაფიაში შენიშნავს, რომ ეს თარიღი (1297 წლის 7 ნოემბერი) არა კონფლიქტის დაწყების არამედ მისი კულმინაციის მომენტი იყო, როცა ყაენმა დავითს მეფობა ჩამოართვა და მის ნაცვლად მისი უმცროსი ძმა ვახტანგი გაამეფა[15]. ვახტანგის 1297 წელს, რომ უკვე გამეფებულია მეტყველებს ნუმიზმატიკური მასალებიც, რომელსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა დავითის აჯანყების დაწყების დათარიარება. ამისთვის საჭიროდ მიგვაჩნია დავადგინოთ ის მიზეზები, თუ რატომ აუჯანყდა მეფე ყაენს. „ჟამთააღმწერლის“ თხრობის მიხედვით, ერთადერთ მიზეზად ჩანს დავითის თუქალ ნოინთან მოკავშირეობა იყო. თუქალ ნოინის მკვლელობის შემდეგ, „ჟამთააღმწერლის“ მიხედვით, ყაენს დავითი ურდოში დაუბარებია. ეს უკანასკნელიც მოსალოდნელი სასჯელის შიშით არ ხლებია ყაენს. ამას მოსდევს თხრობა ნავრუზის ანტიქრისტიანული საქმიანობისა და მისი სიკვდილით დასჯის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის დავითის აჯანყებაზე.

თუკი, თუქალ ნოინის მკვლელობის ქვედა ზღვრად 1295 წლის მიწურულს ავიღებთ (რაშიდ-ად დინთან იგი უკანასკნელად 1295 წლის მაისის მოვლენებში ფიგურირებს, როცა ყაენი ჯერ კიდევ ბაიდუა)[16], ეჭვს ბადებს ის საკითხი, თუ რატომ დაიბარა ყაზანმა მეფე ამ „დანაშაულისთვის“ მხოლოდ ორი წლის შედეგ?

„ჟამთააღმწერლის“ მატიანეს თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ნავრუზის ანტიქრისტიანული საქმიანობის შესახებ თხრობა ტექსტში ჩართულია კონტექსტიდან გამომდინარე და ამდენად დავითის აჯანყება შესახებ ტექსტი შუაზეა გახლეჩილი. აქ მხედველობაში ვერ მივიღებთ „ჟამთააღმწერლის“ თხრობის ქრონოლოგიურ მიმდევრობას, რადგან ავტორი ხშირად ცილდება ქრონოლოგიურ ჯაჭვს და მერე ისევ ბრუნდება უკან.

ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით, მოვლენები შემდეგნაირად უნდა დალაგდეს. 1295 წლის რამადანის თვეში (ივლის-აგვისტო) ყაზანი დაიძრა ბაიდუს

---

[15] ვ. კიკნაძე 35

[16] რაშიდ ად დინი 232

წინააღმდეგ.[17] ამავე წლის 5 ოქტომბერს მოკავშირეებისგან მიტოვებული ყაენი თავრიზში მოკლეს. ყაზანი დიდებით შევიდა ქალაქში და დაიწყო ქრისტიანული ტაძრების რბევა. თუქალი, „ვითარ ცნა სიკუდილი ბაიდუ ყაენისა, ივლტოდა და მივიდა სამცხედ“. 17 ოქტომბერს ყაზანმა დატოვა თავრიზი და მუღანის ველზე დაბანაკდა. 3 ნოემბერს იგი მივიდა ყარაბაღში, სადაც მოხდა მისი კურთხევა მუსლიმური წესით. ახალ ყაენის მუსლიმური სახელი - მაჰმუდი და სულთნის ტიტული ებოძა.[18]

ამ ამბებიდან მალევე უნდა ვივარაუდოთ თუქალის მკვლელობა და დავითის ურდოში დაბარება თუქალის შვილის შეფარებისთვის. ამდენად, დავითის აჯანყების დაწყებაც 1295 წლის მიწურულით უნდა დავათარიღოთ და არა 1297 წლით.

„ჟამთააღმწერლის“ მიხედვით, დავითი, რომელსაც, „აქუნდა შიში თათართა“, კახეთ-ჰერეთში მისულა და ადგილობრივ დიდებულებთან გაუმართავს თათბირი ყაენთან წასვლა-არწასვლის საკითხთან დაკავშირებით. თათბირზე დიდებულებს მეფის წასვლა დაუმტკიცებიათ, თუმცა დავითმა „არა ისმინა მათი და შეიქცა გარე, რამეთუ აქუნდა შიში თათართა ყაენის ხილვისა. და მოვიდა მთიულეთს, უკუ-დგა ჟინოვანს. შეკრა სიბა და მცველნი დაუდგინა“.[19]

აქ მემატიანე უცნაურ კონტექსტში იხსენიებს ვინმე ერისთავ შამადავლეს, რომელიც „ყოველთა სამხედრო ზნითა შემკობილი და მოისარი რჩეული“ ყოფილა. ამის შემდეგ ეს პიროვნება თხრობიდან ქრება. ამ უცნაურ გარემოებას ისევ ფ. გორგიჯანიძის თხზულება განმარტავს. ამ უკანასკნელის მიხედვით „სამადავლე“ შაქის ერისთავი ყოფილა, არეშის ციხის პატრონი. მას თავი მეფისადმი ერთგულებით გამოუჩენია, ამიტომაც დავითს აჯანყეების დაწყების შემდეგ ჟინვალის მცველად დაუდგენია. მეფის ერთგულ ერისთავს „ჭიაურელის ძე სამადავლეს“ ივანე ვაჩნაძე ვაჩინ ტალიმანიძესთან ერთად ღამით თავს დაესხმიან და მძინარე მოკლათ, რადგან

---

[17] ბოილე 379

[18] ბოილე 380 381

[19]

„ძველითგან მტერნი იყვნენ სამადავლე და ვაჩნაძე“. ამის შემდეგ ჩანს, რომ მეფეს სასტიკად დაუსჯია შამადავლე ერისთავის მკვლელები.

ეს უკვე აჯანყებას ნიშნავდა, ამიტომაც დავითი სწრაფად ამოქმედდა და დაიწყო მოკავშირეების ძებნა. იგი ცდილობდა გამოეყენებინა ქართველი მეფეების ნაცადი ხერხი და ერთი მტრის დახმარებით მეორე დაემარცხებინა. ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე ილხანთა საყაენოს ამ დროს ჰყავდა ჩრდილოეთით. ჯუჩის ულუსი, იგივე ოქროს ურდო ცდილობდა ილხანებისთვის საძოვრებით მდიდარი აზერბაიჯანი წაერთმია და ამისთვის ჯერ კიდევ ბერქა ყაენმა სისხლისმღვრელი ომი წამოიწყო. დავითმაც თავისი აჯანყება საჭირო მომენტად მიიჩნია და ოქროს ურდოს ყაენთან თოხთასთან (1291-1312) მიავლინა უმცროსი ძმა ვახტანგი. დავითმა თოხთას „უქადა გზა დარიელისა წარმოსვლა, დაჰპატიჯა ყაზან ყაენს ზედან“[20] თუმცა ოქროს ურდოს ყაენი არ იყო მზად ფართომასშტაბიანი ომის საწარმოებლად და ვახტანგი მხოლოდ საჩუქრებითა და მოსაკითხავებით გაისტუმრა უკან.

ილხანისათვის ეს ამბავი მეტად სახიფათო შესაძლებლობის მომასწავლებელი იყო რომ აღმ საქართველოს მეფისა და ოქროს ურდოს ყაანებს შორის პოლიტიკური კავშირის ჩასაშლელად მას ყოველი ღონისძიება არ ეხმარა რათგან საკმარისი იყო დავითს ჩრდილოეთის ულუსისათვის დარიალის კარი გაეხსნა რომ ერანის ილხანის საბრძანებელი დიდს განსაცდელში ჩავარდნილიყო ამიტომ სასწრაფოდ გამოგზავნა ყუთლუღშაჰი დიდძალი ჯარით. იგი მოვიდა თბილისში და მეფეს მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზა. ყაზანი ცდილობდა როგორმე მოეგო დავითის გული და მოლაპარაკების გზით დაეყოლებინა თავისთან ხლებაზე. ამისთვის იგი „აძლევდეს ზავსა და სთხოვდეს ერთგულობასა ... და არმიქცევასა მტერთა კერძო“.

მეფემ შუამავლებად ყუთლუღშაჰთან გაგზავნა კათალიკოსი აბრაჰამი, ბურსელი ივანე და თბილელი ყადი. დავითი ბოლომდე მანც არ ენდო ნოინს და პირადი

[20] გორგიჯანიძე
[21] ჯავახიშვილი

უვნებლობის გარანტიისთვის მძევლები ითხოვა. ყუთლუღშაჰმაც მისცა მას მძევლად საკუთარი ვაჟი „სიბუჩი, ყურუმჩის ძმა - არფა და სხვათა ნოინთა შვილნი“. ამ კონკრეტულ ეპიზოდში კარგად იკვეთება თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა საყაენოსთვის დავითის აჯანყებას, რომ მას მძევლებად წარჩინებული ნოინების შვილები მისცეს. მეფეც კარგად ხვდებოდა, რომ მისი ბრალი მარტო თუქალ ნოინის მოკავშირეობით არ შემოიფარგლებოდა. მას უფრო დიდი დანაშაული მიუძღოდა საყაენოს წინაშე, რადგან ოქროს ურდოს აქეზებდა საილხნოს წინააღმდეგ და მოკავშრეობას სთავაზობდა. ამიტომაც დაუყვავა თავდაპირველად ყაენმა, რადგან შიში ჰქონდა მართლა არ აეტეხა ომი საქართველოს მეფეს ორ მონღოლურ იმპერიას შორის.

შუამავლებმა მეფეს გადასცეს „ბეჭედი ყაენისა და სიმტკიცე უვნებლობისა“ და მხოლოდ ამის შემდეგ ეწვია იგი ყუღლუღშაჰს და აღუთქვა ყაენთან ხლება. ნოინის ქვეყნიდან გასვლისთანავე დავითმა მძევლები უკან გააბრუნა და დაიწყო სამზადისი მომავალი ომისათვის.

ამ მოვლენების შემდეგ ჟამთააღმწერლის თხრობა უფრო ბუნდოვანი ხდება და ფაქტების თანმიმდევრულობა აღრეულია. ამ შემთხვევაში ადგილი უნდა გვქონდეს ტექსტის მექანიკურ გადანაცვლებასთან მოგვიანო ხანის გადამწერების მიერ. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ივანე ბურსელის პიროვნება, რომელიც ტექსტის ერთ ეპიზოდში ყუთლუღშაჰის ბრძანებით მოკლეს, მოგვიანებით ჩანს, რომ კვლავ ცოცხალია და მოლაპარაკებებში იღებს მონაწილეობას. ცოტა ხნის შემდეგ კი მას „ხელმეორედ კლავენ“. ვფიქრობთ, რომ ამ მიზეზის გამო დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრი ვახტანგ III-ის სამჯერ გამეფებასთან დაკავშირებით. რეალურად საქმე უნდა გვქონდეს ერთი და იგივე ამბის სხვადასვა ინტერპრეტაციასთან.

„ჟამთააღმწერლის“ მიხედვით, აჯანყებულ დავითს ყაენმა დაუპირისპირა და თბილისში მეფედ დასვა მისი ძმა ვახტანგი და ნახევარძმა გიორგი. იმ მიზეზის გამო, რომ ავტორი მოვლენების დათარიღებას არ იძლევა ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, რაც

თვალნათლივ აისახა „ძველი ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებზე რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი აღმოჩნდა პირველი რომელმაც შემოგვთავაზა ვახტანგ III-სა და გიორგი V-ის გამეფების თარიღები. იგი გიორგის გამეფებას 1299 წლით, ხოლო ვახტანგის გამეფებას 1302 წლით ათარიღებს.

აქ მოკლედ შევეხოთ ქართველ ისტორიკოსთა მოსაზრებებს აღნიშნული მეფეების ზეობასთან დაკავშირებით. ი. ჯავახიშვილი იზიარებს ვახუშტის დათარიღებას და 1299 და 1302 წლებში მოიაზრებს მათ მეფეებად.[22] ჯ. ოდიშელი ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად 1298/99 წწ. მიიჩნევს.[23] აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გაამახვილა დ. კლდიაშვილმა. იგი ცდილობს გაასწოროს ქრონოლოგიური აღრევები, რომლებიც ჟამთააღმწერელის ცნობებსა და ნუმიზმატიკურ მონაცემებს შორის. მისი აზრით, გიორგი V 1296 წლის ზაფხულში გამეფებულა, ხოლო ვახტანგ III კი, 1298 წლის გაზაფხულზე.[24] დ. ნინიძე თავის მონოგრაფიაში „პროვინციის მეფეები“, ასაბუთებს აზრს, რომ ვახტანგი 1298 წლის დასაწყისში, ხოლო გიორგი 1299 წელს უნდა გამეფებულიყო.[25] ვ. კიკნაძისეული დათარიღების მიხედვით, ვახტანგი 1297 წლის მიწურულს, ხოლო გიორგი 1299 წელს გამეფებულა.

ამ საკითხზე დასკვნების გამოსატანად საჭიროდ მივიჩნევთ პირველწყაროს - ჟამთააღმწერლის თხზულების ამავე ეპოქის სიგელ-გუჯრებთან, რაშიდ ად-დინის თხზულებასთან და ნუმიზმატიკურ მასალებთან ურთიერთშეჯერებას. ფაქტია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის დათარიღება საეჭვოა და საჭიროებს გადასინჯვას. მართალია „ჯამი ათ-თავარიხში“ რაშიდ ად-დინი არ იძლევა ზუსტ მინიშნებას ვახტანგის გამეფებასთან დაკავშირებით, კერძოდ ფრაზაში: „[ვახტანგმა და ყუთლუღშაჰმა] მიიღეს [ყაენის] მოწყალება და უკან დაბრუნდნენ“ არ ჩანს თუ რა სახის წყალობა მოიღო ყაენმა, თუმცა ნუმიზმატიკური მასალები ცხადყოფენ, რომ

[22] ქართველი ერის ისტორია
[23] ოდიშელი პროვინციის მფეებში 32
[24] ოდიშელი პროვინციის მფეებში 32
[25] ნინიძე პროვინიციის მეფეები 32-33

1297 მიწურულს ან 1298 წელს ვახტანგი უკვე მეფეა და საკუთარ მონეტას ჭრის. ამ საკითხს პირველ ყურადღება მიაქცია თ. ლომურმა, რომელმაც დავით VIII-სა და ვახტანგ III-ის მონეტებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა.[26] დღემდე ამ მეფეების რამდენიმე ემისიამ მოაღწია ჩვენამდე, რაც გვეხმარება ქრონოლოგიური საკითხის უკეთ დაზუსტებაში.

დავით VIII სხვადასხვა წლებში ჭრიდა როგორც ვერცხლის, ასევე სპილენძის მონეტებს. დავითის დირჰემების ერთადერთი ამოკითხული თარიღი ჰიჯ. 696 (1296-1297) წელია. მისი აჯანყების შემდეგ მის სახელზე მოჭრილი მონეტების გამოშვება გარკვეული პერიოდით წყდება. ამის შემდეგ, XIV საუკუნის დასაწყისში იგი კვლავ ჭრის სპილენძის მონეტას, რომლის ჩვენამდე მოღწეულ ემისიებს თარიღად 1310 წელი უზის.

თ. ლომოური მიიჩნევდა, რომ აჯანყებისა და მთიულეთში შეხიზვნის შემდეგ დავითი აქ აგრძელებდა სამონეტო საქმეს, რაც მისი მოსაზრებით ჟინვალში ან სტეფანწმინდაში კიდევ ერთი ზარაფხანის არსებობაზე მიუთითებდა.[27]

ვახტანგ III, ისევე როგორც მისი ძმა, ჭრის ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს. ვერცხლის მონეტები ძირითადად ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემის მსგავსია. თ. ლომოური ვახტანგისეულ ვერცხლის მონეტებზე კითხულობს ჰიჯრის 698 (1298/99) და 699 (1299/1300) წლებს.[28] როგორც წესი, ვახტანგ III-ის ვერცხლის მონეტებზე მოჭრის ადგილი არ აღინიშნებოდა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე ეგზემპლარმა წარწერით: „იჭედა თბილისს“.

მოგვიანებით ც. ღვაბერიძემ თ. ლომოურის მიერ ამოკითხული ჰიჯრის 699 წლის მონეტა გადაათარიღა და იგი ჰიჯრის 697 (1297-1298) წელს მოჭრილად მიიჩნია. თავის მოსაზრებას მკვლევარი იმით ამყარებს, რომ 1298 წელს ყაზანის რეფორმის შედეგად თბილისის ზარაფხანამ დაიწყო უნიფიცირებული მონეტების გამოშვება,

---

[26] თ. ლომოური, დავით VII-სა და ვახტანგ III-ის ფულები, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1948, გვ. 71-72

[27]

[28] თ. ლომოური, დავით VII-სა და ვახტანგ III-ის ფულები, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1948, გვ. 75

მაშინ როცა ვახტანგის მონეტა არ შეესაბამებოდა მას სტანდარტებით. ამდენად ვახტანგის არასტანდარტული მონეტების გამოშვება ყაზანის რეფორმების შემდეგ დაუშვებელი იქნებოდა.[29]

ვახტანგ III-ის აღნიშნული ვერცხლის ფულების ანალოგიურია სპილენძის ორი ემისიაც, თუმცა ამ მონეტებზე თარიღი შემორჩენილი არ არის. პირველის ემისია 1297-1304 წლებით უნდა დათარიღდეს (ვახტანგ III 1297 წელს გამეფდა, ყაზან ყაენი 1304 წელს გარდაიცვალა), ხოლო მეორე – 1304-1308 წლებით (ხუდაბენდე მუჰამადი (ოლჯაითუ) ტახტზე 1304 წელს ავიდა, ვახტანგ III 1308 წელს გარდაიცვალა).

ამდენად უეჭველია, რომ ვახტანგ III

იმ ეპიზოდის შემდეგ, როცა ჟამთააღმწერელი ყვება დავითის მიერ ტყვეების დაბრუნების შესახებ თხრობა გრძელდება იმ ამბით, რომ მომდევნო წელს (1297) მას კვლავ დაიბარებენ ურდოში და იგი კვლავაც განზე გადგება. ამჯერად ოქროს ურდოში მეორე ძმას ბაიდუს (ბაადურს) გაგზავნის. ამ ამბით განრისხებული ყაენი დიდძალი ჯარით გზავნის ყუთლუღშაჰს და მეფე კვლავაც კათალიკოსს, თბილისის ყადსა და ივანე ბურსელს მიაგებებს. აქ ნოინი კლავს ივანე ბურსელს და იწყებს აღმოსავლეთ მაღალმთიანეთის მოოხრებას, რის შემდეგაც ჩანს, რომ ამეფებენ მცირეწლოვან გიორგი დემეტრეს ძეს.

გიორგის ვახტანგზე ადრე გამეფებაზე, როგორც ამას ჟამთააღმწერლის დღემდე მოღწეული ნუსხები და ვახუშტი ბატონიშვილი იტყობინებიან, საფუძვლიანი ეჭვი შეიტანა და უარყო ვ. კიკნაძემ. მისი თქმით, გიორგი V-ის ვახტანგ III-ზე ადრე გამეფების საწინააღმდეგოდ მეტყველებს არა მარტო მისი მცირეწლოვანება, არამედ ისიც, რომ ვახტანგმა გამეფების შემდეგ: „დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე“. მართლაც ეჭვს ბადებს ის მოსაზრება, თუ გიორგი 1297

[29] ც. ღვაბერიძე, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით), თბ., „მეცნიერება“, 1986, გვ. 14-15

წელზე ადრე გამეფდა, მაგრამ არა უადრეს 1295 წლისა, სადღა მეფობს იგი, როცა ვიცით, რომ გიორგი მხოლოდ „ტფილისის მეფეა“.[30]

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც გიორგი V-ის გამეფების შესახებ ცნობა შუაზე ყოფს ძირითად ტექსტს და არღვევს ლოგიკურ ჯაჭვს. გიორგის გამეფების შესახებ მოტანილი ცნობების შემდეგ მეორდება იგივე ფაქტები რაც მის გამეფებამდე იყო მოთხრობილი, ოღონდ უფრო ვრცლად.

ჟამთააღმწერლის თხრობა რომ არათანმიმდევრულია ეს პირველად ვახუშტი ბატონიშვილმა შეამჩნია, ამ უზუსტობის გამოსასწორებლად

როგორც ჟამთააღმწერლის თხრობიდან ჩანს, ვახტანგის ოქროს ურდოდან დაბრუნების შემდეგ ძმებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. სამწუხაროდ, კონკრეტულად რა გახდა დაპირისპირების მიზეზი „ქართლის ცხოვრების“ დღემდე მოღწეულმა ნუსხებმა არ შემოგვინახეს. თუმცა ფაქტია, რომ ამ მიზეზით ვახტანგი „ძმისა მისისა დავითისაგან შეპყრობილცა იყო და პატიმრული ციხესა ჟინოვანისასა“. როგორც ჩანს ოქროს ურდოდან მობრუნებული ვახტანგი ყაზანს ხლებია. ამაზე მეტყველებს მისი სიტყვები ივანე ბურსელის მიმართ: „აწე არა წარვალ ურდოსა მტერთა მისთა [დავითისთა] თანა“. ვახტანგი, რომ დავითის განდგომისათვის იყო დაპატიმრებული ჟინვალში ამაზე ცხადყოფს ისიც, რომ ვახტანგის ურდოში წასვლამდე და ყაენისგან მის მეფედ დამტკიცებამდე მომხდარა ძმებს შორის შეთანხმება, სადაც დავითი „კუალად ჰგონებდა გადგომასა [ვახტანგისასა]“ და ბოლომდე არ ენდობოდა მას.

როგორც ჩანს, ვახტანგი შექმნილ სიტუაციაში მეფობას თუ არა საუფლისწულო-სამკვიდრო მამულის მიღებას მაინც ცდილობდა. ივანე ბურსელთან საუბარში ჩანს, რომ ვახტანგი თანახმაა მეფეს შეურიგდეს იმ პირობით თუ დავითი მას „მცირედ სარჩომს“ მისცემს. „მცირე სარჩომში“ ბუნებრივია უნდა ვიგულისხმოთ ის სამემკვიდრეო მამული, რაც ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო და წლების შემდეგ აქცევთ მათ „პროვინციის მეფეებად“. ჟამთააღმწერლის სიტყვებში,

[30] ვ. კიკნაძე 37-38

ვახტანგმა „ვერღარა თავს იდვა უპატიოდ ყოფნა“ უნდა იყოს სწორედ ამ მოვლენის გამოძახილი.

ვახტანგის დატყვევებიდან მალევე დავითმა ყაენთან მეორე ძმა ბაიდუ (ბაადური) გაგზავნა და კვლავ შესთავაზა საილხნოს წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა. ამ შემთხვევაშიც თოხთა ყაენისგან მხოლოდ უხვი დაპირებები და საჩუქრები გაიცა. ყაენის უარი საქართველოს მეფის მიმართ გამოწვეული იყო იმ გართულებებით, რაც ამ პერიოდში შექმნილიყო ოქროს ურდოში. კონკრეტულად, თოხთა ყაენი ემზადებოდა ნოღაისთან საბრძოლველად. ეს უკანასკნელი იყო ჯუჩის შვილთაშვილი და ოქროს ურდოს ყველაზე გავლენიანი ნოინი, რომელიც აკონტროლებდა უზარმაზარ ტერიტორიას მდ. დონიდან დუნაიმდე. 1291 წელს თოხთამ ნოღაის დახმარებით შეძლო ტახტზე ასვლა, თუმცა მალევე ნოღაი განუდგა ყაენს და დაიწყო ოქროს ურდოში სისხლისმღვრელი ბრძოლები. 1297 წელს ნოღაიმ სასტიკად დაამარცხა თოხთა ყაენი, თუმცა მოგვიანებით 1299 წელს დამარცხდა და გაქცეული ნოღაი რუსმა მხედრებმა მოკლეს.[31]

ამასობაში ყაზან ყაენმა კონსპირატორების მეშვეობით შეიტყო დავითის მიერ თოხთა ყაენთან ურთიერთობების შესახებ და სასწრაფოდ გამოგზავნა ჯარი თბილისისკენ.გორგიჯანიძე მონღოლთა ჯარს სათავეში ედგა ნოინი ყურუმჩი ალინაყის ძე, „აღნაჯი ვინმე შინაური მისი“ და შანშე II მხარგრძელი. მათ მოუწოდეს ბექა სამცხის ათაბაგს, გამოეგზავნა გიორგი დემეტრეს ძე, „რომელი ეშვა ასულსა ბექასსა, და მას [ბექას] აღეზარდა“, რათა დავითის საპირისპიროდ თბილისში მეფედ დაესვათ. სამცხის ათაბაგმაც გამოგზავნა გიორგი და იგი თბილისში ტახტზე დასვეს. ქვეყნის უდიდესი ნაწილი კვლავ დავითს ერთგულებდა გიორგის მეფობა ფორმალური იყო, ამიტომაც ეს უკანასკნელი „ტფილისის მეფედ“ იხსენიება.

[31] Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды Т II. Извлечения из персидских сочинений, собранные В. Г. Тизенгаузеном и обработанные А. А. Ромаскевичем и С. Л. Волинымю М.-Л., 1941. с. 70-73

გიორგი V-ის პირველად გამეფების თარიღად 1296 წელი უნდა მივიღოთ. სად იყო ყუღლუშაჰი

გიორგის თბილისში გამეფების შემდეგაც დავითი არ აპირებდა პოზიციების დათმობას. ალბათ ყაენითვის ცხადი შეიქნა, რომ ..... ამიტომ ყაენმა გადაწყვიტა საბოლოოდ გადაეწყვიტა აჯანყებული მეფის ბედი. 1296 წელს ყუთლუღშაჰის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა მონღოლთა სადამსჯელო რაზმები, რომელთაც ააოხრეს სომხეთი და შიდა ქართლი და შევიდნენ მთიულეთში. დავითი თავის ერთგულ პირებთან ერთად ხადას ხეობაში გამაგრდა.

დავითის ერთგულებაზე ძველებურად იდგნენ ქართლის ერისთავი ამადა სურამელი, ამირეჯიბი ჭილა აბაზასძე, „აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი“ და მთიანეთის მოსახლეობა. ხოლო მონღოლთა მხარეს იბრძოდნენ ივანეს ძე შანშე მხარგრძელი, ბაყათარ ოსთა მთავარი გორსა და მუხრანს მდგარ ოსებთან ერთად და ბექა ჯაყელის მიერ წარმოგზავნილი „თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი“.

ამ დროს მეფეს განუდგა და ყუთლუღშაჰს მიუვიდა ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი, რომელიც ჟამთააღმწერლის მიხედვით იყო „აღსავსე ნიჭთა მიერ მისთა, რომელნი მას ჟამსა მიენიჭეს“. საპირისპიროს მეტყველებს „ქსნის ერისთავთა მატიანე“, სადაც შალვა მოხსენიებულია, როგორც მცირეწლოვანი ვახტანგის აღმზრდელად, რომელიც განუხრელად იდგა ამ უკანასკნელის ერთგულებაზე. სავარაუდოდ, მართლაც არსებობდა კავშირი ქსნის ერისთავსა და ვახტანგ უფლისწულს შორის და შალვას განდგომაც დავითის მიერ ვახტანგის დაპატიმრებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

ამის შემდეგ მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალთა და მონღოლთა ჯარები, რომელსაც შალვა ქვენიფლეველი მეგზურობდა, ქსნის ხეობით, ლომისის მთის გავლით გადავიდნენ არაგვის ხეობაში, სადაც ეგულებოდათ აჯანყებული დავითი. ალბათ ასეთი მარშრუტი იმიტომ განახორციელეს, რომ მონღოლებს სურდათ მოულოდნელი იერიში მიეტანათ მეფეზე და ხელთ ეგდოთ იგი. არაგვის ხეობის

შესასვლელში ჟინვალი დავითს მტკიცედ ჰქონდა გამაგრებული, ამიტომაც მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება ამ გზით შეუძლებელი იყო.

არაგვის ხეობაში მონღოლთა შემოსვლის შემდეგ დავითი „შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო“. აქ მოკლედ გვსურს შევეხოთ ამ გეოგრაფიული ობიექტის მნიშვნელობას. ვახუშტი ბატონისშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ ხადას ხეობას შემდეგნაირად ახასიათებს: „არაგუს გაღმა, არს დაბა ხადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და ჲ (60) კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე ... ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი“[32]. ხადას ხეობაში დღესაც მდებარეობს სოფელი წკერე, რომელშიც უწინდელი ციკარე უნდა მოვიაზროთ. ამ დასახლებული პუნქტის და ზოგადად ხადას ხეობის თავდაცვისუნარიანობაზე მიუთითებს ერთი ეპიზოდი „ქსნის ერისთავთა მატიანედან“, სადაც ნათქვამია, რომ „შალვა დადგა ხადას და ესოდენ ძლიერად ჰბრძოდა“, სადაც თითქოს ქსნის ერისთავს აუღია ერთ კვირაში 25 ციხე.

არაგვის ხეობაში შემოსულ სადამსჯელო რაზმებს, ჟამთააღმწერლის მიხედვით, დავითი ხევში გადახიზნული ეგონათ ამიტომაც გადაიარეს ჯვრის უღელტეხილი და გეზი გველეთის ციხისკენ აიღეს. აქ ისინი თავს დაესხნენ სტეფანწმინდას, სადაც ადგილობრივებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მომხვდურებს და დიდი ზიანიც მიაყენეს მათ. როცა მონღოლებმა შეიტყვეს, რომ დავითი ხევში არ იმყოფებოდა ბრძოლა შეწყვიტეს, სტეფანწმინდელებისგან ითხოვეს „საზრდელი მცირე“ და კვლავ არაგვის ხეობაში გადმოვიდნენ.

როგორც ჩანს, ყუთლუღშაჰის ეს რეიდი მხოლოდ აჯანყებული მეფის ხელში ჩაგდებით არ იყო განპირობებული. მისი მთავარი მიზანი კავკასიონის გადმოსასვლელების უსაფრთხოება უნდა ყოფილიყო, რათა არ დაეშვა დავითის მოწვეული ოქროს ურდოს ყაენის კავკასიონის სამხრეთით გადმოსვლა, რაც კატასტროფულ შედეგს მოიტანდა ილხანთა საყაენოსთვის. არ არის გამორიცხული,

[32] ვახუშტი

რომ ყუთლუღშაჰს დარიალის გასამაგრებლად და დასაცავად დიდი კონტიგენტი დაეტოვებინა.

არაგვის ხეობაში გადმოსული მონღოლთა რაზმის ერთი ნაწილი ყუთლუღშაჰმა ხადას ხეობაში შეგზავნა, რათა მეფე ჩაეგდოთ ხელთ. ციკარეში (წკერეში) მდგარმა დავითმა მონღოლთა 500 კაციან რაზმს შეაგება თავისი ერთგული მებრძოლები. ხადელ-ცხავატლებმა გაშლილ ველზე ბრძოლას ნაჩვევი მონღოლები ადვილად დაამარცხეს, დიდი ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს, ხოლო ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. დავითმა კარგად გამოიყენა სტრატეგიული უპირატესობა, რომ მტერი გაშლას და ლაშქრის კონცენტრირებას ვერ ახერხებდა, ამასთან „ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომრად. და ქვეითად იბრძოდეს თათარნი“ და სძლია მათ.

ამის შემდეგ „სპანი მეფისანი გამოვიდეს ხადის თავსა, გორასა რასმე, რომელ არს ციკარეს პირისპირ, და იქმნა ომი ძლიერი“. აქაც გამარჯვება დავითს დარჩა და ყუთლუღშაჰი მიხვდა, რომ „არა ეგების შესვლა ციკარეს“ და იძულებული გახდა უკან დაეხია. ლომისთავის გზით იგი ქართლში გადავიდა და სასტიკად მოაოხრა იგი.

ყაზან ყაენი ხედავდა, რომ გიორგის მეფობა აღმოსავლეთ საქართველოში ფორმალური იყო და ფეოდალების უდიდესი ნაწილი კვლავ დავითს ემორჩილებოდა. ამიტომ მომდევნო, 1297 წლის გაზაფხულზე ყაზანმა კვლავ გამოგზავნა ყუთლუღშაჰი უზარმაზარი ჯარით დავითის ხელში ჩასაგდებად. თბილისს მოსული მონღოლი ემირი ემზადებოდა მთიულეთში შესასვლელად, როცა აჯანყებულ მეფეს ეახლნენ დიდებულები და სთხოვეს ხლებოდა ყაენს და ამით დაეცვა ქვეყანა მონღოლთა ამაოხრებელი თარეშისაგან. დავითიც დაჰყვა მათ ნებას და „დაამტკიცა წარსლვა ურდოსა“. მეფისა და მონღოლი ემირის მოლაპარაკებებში შუამავლობა აქაც ივანე ბურსელმა იკისრა. ყუთლუღშაჰმა დავით აღუთქვა „პირი სიმტკიცისა“ და ხელშეუხებლობის გარანტია.

მეფე კვლავ აჭიანურებდა ყაენთან ხლებას, „რამეთუ შიში აქვნდა თათართა“ და პირი კვლავ მთიულეთისკენ იბრუნა, გადავიდა ხევში და გველეთის ციხეში შეიკეტა. ამ დროს მეფის მომხრე ფეოდალებმა დანებება გადაწყვიტეს და ყუთლუღშაჰს

ეახლნენ. ისიც „კეთილად შეიწყნარებდა, ვინცა მოვიდოდა“. როგორც ჩანს ამადა სურამელი კვლავ დავითის ერთგულებას ინარჩუნებდა, რადგან საქართველოდან გასვლამდე მონღოლებმა სწორედ მისი საგამგეო ტერიტორია დაარბიეს.

ფაქტი, მონღოლებმა არ დაიწყეს ომი მთიულეთში, შემოირიგეს ადგილობრივი ფეოდალები და სწრაფად გავიდნენ საქართველოდან ხსნის ის გარემოება, რომ სწორედ ამ დროს (1297 წლის გაზაფხულზე) ყაენმა ყუთლუღშაჰი გაიწვია ნოვრუზის წინააღმდეგ, რომელიც 14 აგვისტოს სიკვდილით დასაჯეს.[33]

ამასობაში დავითი ქსნის ხეობას შეესია და ორგული შალვა ქვენიფენველის მამულები დაარბია. შალვა „უღონო იქმნა“ და ქართლის ერისთავს, ამადა სურამელს მეფესთან შუამდგომლობა სთხოვა. ჟამთააღმწერლის თქმით, დავითმა აპატია განდგომა.

ამასობაში ჟინვალში ტყვეობაში მყოფი ვახტანგი გაიპარა საპყრობილიდან, ივანე ბურსელს დაუკავშირდა და ძმასთან შერიგებაში შუამავლობა სთხოვა. იგი პირობას დებდა, რომ დავითის საწინააღმდეგოდ ურდოში არ წავიდოდა. მეფეც უძლური აღმოჩნდა ამ სიტუაციაში და მიიღო ეს შემოთავაზება.

დავითი ხვდებოდა, რომ ვახტანგის გაქცევა ტახტის დაკარგვის ფასად შეიძლება დაჯდომოდა, რადგან ეს უკანასკნელი მონღოლებისთვის ტახტის უფრო ხელსაყრელი კადიდატი იქნებოდა, ვიდრე მცირეწლოვანი გიორგი. ვახტანგს, რომ კვლავ გააჩნდა პოლიტიკური ამბიციები ეს ცხადი გახდა მალევე, როცა იგი შაბურის ძის ასულზე დაქორწიდა. დიპლომატიკური წყაროები ადასტურებენ, რომ XIV საუკუნის მიწურულისთვის შაბურისძეთა საგვარეულო არაგვის საერისთავოს განაგებდა. სამწუხაროდ, ამ კონკრეტული ერისთავის ვინაობის დადგენა წყაროების მიხედვით შეუძლებელია. როგორც ჩანს, არაგვის ერისთავი შაბურიძე თავდაპირველად დავით VIII-ის მომხრეთა რიგებში იდგა და მოგვიანებით, სხვა ფეოდალებთან ერთად, იგიც ეახლა ყუთლუღშაჰს. არაგვის საერისთავო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეებზე მეტად დაზარალდა მონღოლთა

[33] რაშიდ ად დინი 270-274

რბევა-თარეშით, ამიტომ, როგორც ჩანს, შაბურისძემ უაზროდ ჩათვალა ბრძოლის გაგრძელება და ტახტის მომავალ პრეტენდენტს დაუკავშირდა. ვახტანგისა და არაგვის ერისთავის დამოყვრება დავითმა სახიფათოდ მიიჩნია და „ჰგონებდა განდგომასა [ვახტანგისა]". ამიტომ აჯანყებული მეფე სწრაფად ამოქმედდა და ყუთლუღშაჰთან სასწრაფოდ გაგზავნა ივანე ბურსელი, რომლის პირითაც დავითმა კვლავ აღუთქვა ყაენთან ხლება და ხელშეუხებლობის გარანტიისთვის მძევლები ითხოვა.

მონღოლი ემირი დათანხმდა დავითის პირობას და ამ უკანასკნელმაც ბაზალეთთან მდგარ თათართა ბანაკში დედოფალი ოლჯათი, აბრაამ კათალიკოსი და ივანე ბურსელი გაგზავნა შუამავლებად. ემირმა დიდი პატივით მიიღო დედოფალი ოლჯათი, როგორც საყაენოს სახლის წევრი (ოლჯათი ყაზანის მამიდა იყო) და „მოსცა პირი სიმტკიცისა და ბეჭედი ყაენისა და ხელის მანდილი, რამეთუ ესე აქვნდა სიმტკიცე ფიცისა მინდობისა". ყუთლუთშაჰმა პირობის თანახმად, დავითს მძევლად მისცა საკუთარი ვაჟი სიბუჩი და ყურუმჩის ძმა არფა, თუმცა ბოლომდე არ ენდო და ოლჯათი თავისთან დაიტოვა, ხოლო სხვები უკან გაისტუმრა.

დავითი კვლავ ცდილობდა მოლაპარაკებების გაჭიანურებას. როგორც ჩანს, იგი დაზამთრებას და მონღოლთა მუღანში წასვლას ელოდა, რათა თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონოდა. ამას ეხმაინება ჟამთააღმწერლის ფრაზა: „[დავითი] ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა".

მეფემ კვლავ გაგზავნა ივანე ბურსელი, აბრაამ კათალიკოსთან და თბილელ ყადთან ერთად მონღოლთა ბანაკში და ყაენთან წასვლის სანაცვლოდ ოლჯათის დაბრუნება მოითხოვა. ყუთლუღშაჰი მიხვდა, რომ დავითი დროს წელავდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ ხლებოდა ყაენს, ამიტომ განრისხებულმა ემირმა მოკლა ივანე ბურსელი.

აქ მოკლედ გვსურს შევეხოთ ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობი ივანე ბურსელის პიროვნებას - პიროვნებას, რომელმაც ბოლომდე უერთგულა მეფეს და მისივე ინტრიგებს შეეწირა. ივანე ბურსელი ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც

სამეცნიერო ლიტერატურაში მისი პიროვნება შეუსწავლელია. „ქართლის ცხოვრების“ გარდა იგი არცერთ წყაროში ფიგურირებს, ამიტომ რთულია ზუსტად განსაზღვრა თუ რა დამოკიდებულება გააჩნდა მას დავით VIII-სთან, რა თანამდებობას ფლობდა ან რომელ საგვარეულოს მიეკუთვნებოდა იგი, თუმცა ფაქტია, რომ იგი მაღალი რანგის სამოხელეო თანამდებობის მფლობელი უნდა ყოფილიყო, რადგან მეფის მთავარი წარმომადგენელი იყო მონღოლებთან.

მისი პიროვნების კვლევისას პირველ რიგში აუცილებელია განვსაზღვროთ ტერმინ - „ბურსელის“ რაობა. ერთადერთი ტოპონიმი, რომელსაც ეს ტერმინი წააგავს, არის ბიზანტიური ქალაქი ბურსა (ბერძ. პრუსა), რომელიც პალეოლოგოსებმა 1326 წელს დაკარგეს ოსმალებთან ბრძოლაში. თუმცა საეჭვოა, რომ ბიზანტიური წარმოშობის პიროვნება საქართველოში სამეფო კარზე მოღვაწეობდეს და მაღალი სამოხელეო თანამდებობა ეჭიროს.

როგორც ჩანს, აქ ადგილი უნდა გვქონდეს გვიანდელი ხანის გადამწერების უნებლიე შეცდომასთან, რომელთაც პირველწყაროში არსებული ტოპონიმი ვერ დაადგინეს, შეცდომად მიიჩნიეს და გაასწორეს მათთვის უფრო ნაცნობი ვარიანტით - „ბურსელით“. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ პირველწყაროში არა ბურსელი, არამედ ბურთელი უნდა ყოფილიყო.

სომხური ისტორიოგრაფიისთვის ამ საგვარეულოს არსებობა უცნობი არაა და ისინი ორბელთა საგვარეულოს გვედით შტოდ არიან მიჩნეულნი. სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორიაში“ „ბურთელი“ ადამიანის სახელის ფორმით გვხვდება.

ორბელები, რომელთაც XII საუკუნეში უდიდესი გავლენა და თანამდებობები გააჩნდათ საქართველოს სამეფო კარზე, ამბოხისა და დემნა ბატონიშვილი გამეფების მცდელობისათვის სასტიკად დაისაჯნენ. ორბელთა ნაწილი ფიზიკურად შეეწირა ამ ამბოხს. გიორგი III-მ კი, მათი მამულები და სამოხელეო თანამდებობები თავის ერთგულ პირებს გადასცა.

ფიზიკურ სასჯელს გადაურჩნენ მხოლოდ აზერბაიჯანის ათაბაგთან დახმარებისთვის გაგზავნილი ლიპარიტ სუმბატის ძე და მისი შვილები, რომელთაგან ივანე თამარის

მეფობაში ფიცით დააბრუნეს საქართველოში, მაგრამ მამისეული ქონებიდან მხოლოდ ორბეთი დაუბრუნეს. თამარის დროსვე დააბრუნეს საქართველოში ლიპარიტის შვილიშვილი, ლიპარიტ ელიგუმის ძე, რომელსაც საგამგეოდ სივნიეთი უბოძეს.

ამ პერიოდში მოხდა ორბელთა გასომხება, რაც გამოწვეული იყო მათი საგამგეო ტერიტორიის თავისებურებებით. დავით VII-ს დროს სუმბატ ლიპარიტის ძემ თავის საგვარეულოს აღუდგინა ძველი პრივილეგიები. სუმბატის გარდაცვალების შემდეგ სივნეითის მმართველი მისი უმცროსი ძმა ტარსაიჭი გახდა. იგი დემეტრე II-მ ათაბაგის პატივში აიყვანა და აღსაზრდელად დავითი და მანოელი მიაბარა. ურდოში დემეტრე მეფის მკვლელობის შემდეგ ტარსაიჭს ათაბაგობა ხუტლუბუღამ წაართვა. მომდევნო 1290 წელს ტარსაიჭი გარდაიცვალა და მისი შტო დაემცრო.

სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში „ბურთელი“ საგვარეულოს რამდენიმე წევრს ქვია: 1. სუმბატ ორბელის ძე (XII ს. II ნახ.) 2. ელიგუმ ორბელის ძე, (გარდ. 1261 წ.), რომელიც ოქროს ურდოს წინააღმდეგ ომში დაიღუპა და 3. ტარსაიჭის ძის ელიგუმის უფროსი ვაჟი (XIV ს.). საინტერესოა, რომ სტეფანოს ორბელიანის საისტორიო ნაშრომის ძველ ქართულ თარგმანში „ბურთელი“ – „ბირთველის“ ფორმითაა შეცვლილი. როგორც ჩანს საქართველოდან გადახვეწამდე ბირთვისის ციხის მფლობელ ორბელებს ბირთველებს უწოდებდნენ და დროთა განმავლობაში იგი საკუთარ სახელად ჩამოყალიბდა. საგამგეო ტერიტორიის მფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინის საკუთარ სახელად ქცევა უცხო არ სხვა ფეოდალურ საგვარეულოებში ყოფილა (მაგ. მხარგრძელი, ლარგველი,

ჩვენთვის საინტერესო ივანე ბურსელი ოქროს ურდოსთან ბრძოლაში გარდაცვლილი ბურთელის ძე უნდა იყოს. სტეფანოს ორბელიანის საისტორიო თხზულებიდან ცნობილია, რომ ტარსაიჭის გარდაცვალების შემდეგ მისი მამული თავისმა ვაჟებმა გადაინაწილეს (სტეფანოს ორბელიანიც ტარსაიჭის ვაჟი იყო), ამდენად მისი საგვარეულო ხაზი დაემცრო. ასევე ცნობილია ტარსაიჭის ძმის ლიპარიტის ვაჟი ივანე (იოანე), თუმცა მისი ივანე ბურსელთან გაიგივება არასწორი

იქნება, რადგან ცნობილია, რომ ეს ივანე „აღზარდა უფალმან სტეფანემ და განჰსწვრთნა წერილით და მოამზადა სამღვდელოთ“. სტეფანოს ორბელიანი თავის ნაშრომს 1300 წლით ასრულებს, ამდენად მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ორბელთა საგვარულოდან გამოსული საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწე ივანე ბურთელი (ბურთელის ძის) პიროვნება, თუმცა როგორც ჩანს იგი განზრახ დუმს...

ჟამთააღმწერლის მიხედვით, უცნობია თუ რა თანამდებობა ეკავა ივანეს სამეფო კარზე, თუმცა, ვფიქრობთ, არ იქნება შეცდომა თუ ვივარაუდებთ, რომ ხუტლუბუღა სადუნის ძის სიკვდილით დასჯის შემდეგ (1293 წ.) დავითს ივანე ბურთელის ძისთვის ეწყალობებინოს ათაბაგის (შესაძლოა ამირსპასალარის) სახელოსთან ერთად.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ ხუტლუბუღას შემდეგ ათაბაგობა შანშე მხარგრძელს ებოძა. მის ათაბაგობას ადასტურებენ ქობაირის წარწერებიც, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვახტანგ III-ის გამეფებამდე მას მიეღო ეს თანამდებობა, რადგან წყაროებიდან ჩანს, რომ იგი მონღოლთა სადამსჯელო რაზმებს მოუძღვება საქართველოში დავითის აჯანყების ჩასახშობად.

ივანე ბურსელის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ყუთლუღშაჰმა დავით აღარ დაუბრუნა ოლჯათი, ტახტის მაძიებელ ვახტანგთან ერთად აიყარა და მუღანის ველზე დაბანაკებულ არღუნ ყაენს ეახლა. ჟამთააღმწერლის ამ ცნობას ავსებს რაშიდ ად-დინის „ჯამი ათ-თავარიხში“ ის ეპიზოდი, როცა ყაენმა წყალობა მოიღო ვახტანგზე და საქართველოში გამოგზავნა. ამდენად 1297 წლის მიწურულს თბილისის ტახტზე ყაზანმა ახალი მეფე დასვა და გიორგის ფორმალური მეფობაც ამით დასრულდა (1296-1297).

მომდევნო 1298 წელს, ჟამთააღმწერლის ცნობით, ქართლის მთიანეთში კვლავ შევიდნენ მონღოლები და ხევში, გველეთის ციხეში თავშეფარებულ დავითს თავს დაესხნენ. დავითმა აქაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია მომხვდურებს და დიდი ზარალის ფასად დაბრუნდნენ ქართლში.

მონღოლთა ამ მარბიელ ლაშქრობას უნდა ასახავდეს „ძეგლი ერისთავთას“ ერთი ეპიზოდი. ზოგადად ეს ნაშრომი ძალზე საინტერესო წყაროს წარმოადგენს აღნიშნული ეპოქის კვლევისას. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის ავტორი დავითს არასწორად ვახტანგის ბიძად მიიჩნევს, რომელმაც, თითქოს, ტახტი წაართვა ძმისწულს. მისივე თხრობით, ვახტანგი ბავშვობიდან შალვას კარზე იზრდებოდა და ბრძანების მიუხედავად თავისი გაზრდილი უფლისწულის არ გადასცა მეფეს. ამაზე განრისხებულმა დავითმა აიკლო ცხრაზმისხევი და ააოხრა ერისთავის მამული, რის შემდეგაც „ მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხვითა სპითა“. ამ დროს ბაზალეთს მდგარი მეფე გადასულა ხევში და გველეთის ციხეს შეხიზვნია, ხოლო შალვა ქვენიფლეველი შესულა ხადას ხეობაში და საშინლად აუოხრებია იგი. აქ ძალზე მნიშვნელოვან ცნობას გვაძლევს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის ავტორი, რომ „მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გველეთით“. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა დაუდო სათავე ალასტანელთა „პროვინციული სამეფოს“ შტოს ჩამოყალიბებას, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

ამდენად, „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, ვახტანგის მონაწილეობა დავითის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ღონისძიებაში დასტურდება.

როგორც ჩანს, დავითი არ აპირებდა დანებებას და კვლავ აგრძელებდა ბრძოლას ტახტისათვის. ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი ისევ მას ემორჩილებოდა. ვახტანგის საგამგეო ტერიტორია შემოიფარგლებოდა მხოლოდ თბილისით, ქვემო ქართლითა და საქართველოს შემადგენლობაში მყოფი სომხური თემებით, „დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე“. ვახტანგის საგამგეოში უნდა მოვიაზროთ ქსნის საერისთავოც.

ჟამთააღმწერელი ვახტანგს დადებითად ახასიათებს, რომ ის იყო „ყოვლითურთ სრულ, სარწმუნოებითა მტკიცე, ეკლესიათა პატივისმდებელ, მშვიდ და მდაბალ, არა მოშურნე, მყუდრო და უშფოთველ“.

ვახტანგ III-მ თავისი მეფობის უდიდესი ნაწილი ურდოში და მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში გაატარა, რაც დავითს თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევდა და „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ - ქართლს“. 1299 წელს მიწურულს ყაზან ყაენმა წამოიწყო ომი ეგვიპტის მამლუქებთან სირიისათვის. ამ ბრძოლაში ყაენს თან ახლდა ვახტანგიც ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქრით. სირიისთვის პირველი ომი (1299-1300) მონღოლებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა მეორე ომი (1300 - 14. XII. 1301) , სადაც ვახტანგი და „ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“ მონაწილეობდნენ. ამ ომმაც ყაენისთვის პოლიტიკური დივიდენდების გარეშე ჩაიარა, რის შემდეგაც ვახტანგი დაბრუნდა საქართველოში.

ამის შემდეგ, ჟამთააღმწერელი გადადის საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და დავით-ვახტანგის დაპირისპირებაზე. ეს ამბები ავტორს სირიაში მონღოლთა მეორე და მესამე ლაშქრობას შორის აქვს მოტანილი, შესაბამისად იგი 1302 წლით უნდა დათარიღდეს.

ჟამთააღმწერლის თხრობით, აღმოსავლეთ საქართველოში გართულებული მდგომარეობით ისარგებლეს ოსებმა ბაყათარის მეთაურობით და ხელი მიჰყვეს ქართლის რბევას. დავითმა ეს დრო შესაფერის მომენტად მიიჩნია ვახტანგის დასამარცხებლად და თბილისის შემოსაერთებლად და მთიელთა (ჟამთ. 15 000) და ყივჩაყთა რაზმებით დაიძრა დედაქალაქისკენ.

ვახტანგ III ტაბახმელაში იმყოფებოდა, როცა დავითის გამოლაშქრების შესახებ შეიტყო, სწრაფად გადავიდა მტკვარზე და მახათას მთაზე დაბანაკებულ დავითს თავს დაესხა.

მონღოლ-მამლუქთა ომები და საქართველო

ქართველები მონღოლების სასარგებლოდ ნატურალური ბეგარის გარდა იხდიდნენ სამხედრო ბეგარასაც, რაც გულისხმობდა შორეულ სამხედრო კამპანიებში მონაწილეობასა თუ მნიშვნელოვანი სტატეგიული პუნქტების დაცვას. ჟამთააღმწერლის მიხედვით, „ცხრასა გლეხსა სრულსა მიწისა მქონებელსა ერთ ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მხედარი, თათართა წარმავალი“. აქედან ვიგებთ, რომ XIII საუკუნის შუა ხანებში ქართულ სახელმწიფოს შეეძლო გამოეყვანა 90 000 მხედარი. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ დაპყრობილი ქვეყნებიდან მონღოლებს, როგორც წესი, ბრძოლისუნარი მამაკაცების 20 % გაჰყავდათ. ანალოგიური ვითარება უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მიმართაც.[34] თუ გავითვალისწინებთ მონღოლთა მიერ წარმოებული ომების სიმრავლეს, ადვილი წარმოსადგენია თუ რამხელა ტვირთად აწვა საქართველოს ყოველწიურად მწარმოებელი მოსახლეობის გადინება, რაც თვალნათლივ აისახებოდა ქვეყნის დემოგრაფიულ თუ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ქართველთა ჯარები სხვადასხვა დროს მონღოლების მხარდამხარ იბრძოდნენ რუმის სასულთნოს, ასასინების სექტის, აბასიანების, ოქროს ურდოს თუ ეგვიპტის მამლუქების წინააღმდეგ. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქართველები მონაწილეობას იღებდნენ ტახტისთვის მაძიებელ უფლისწულთა სისხლისმღვრელ ომებში.

ილხანთა საყაენოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას ეგვიპტესთან ურთიერთობა წარმოადგენდა. ეს ურთიერთობა უმეტესწილად სამხედრო-პოლიტიკურ კონფრონტაციაში გამოიხატებოდა. 1260 წლიდან მოყოლებული ირანის ილხანები მიზნად ისახავდნენ, დაეპყროთ სირია და გაენადგურებინათ მამლუქთა ორგანიზაცია. მონღოლთა არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს სირიაში ფეხის მოკიდება.[35]

1298 წელს ყაზანს აუჯანყდა რუმის მონღოლი გამგებელი სულემიში, რომელსაც ზურგს უმაგრებდა მამლუქთა სასულთნო. 1299 წლის 27 მარტს ემირ ყუღლუღშაჰის

---

[34] ნარკვევები

[35] გოჩა ჯაფარიძე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, 34

მეთაურობით, სისხლში ჩაახშეს სულემიშის ამბოხი და ამ უკანასკნელმა თავი კაიროს შეაფარა. აქედან იგი კილიკიაში დაბრუნდა, სადაც ადგილობრივმა სომეხმა დიდებულებმა შეიპყრეს და ყაენს გაუგზავნეს. მოგვიანებით იგი სასტიკი წამებით მოკლეს. 1299 წელს მამლუქებმა რეიდი მოაწყვეს მარდინის წინააღმდეგ, რომელიც შედიოდა მონღოლთა კონტროლირებად ტერიტორიაში. ეს ყოველივე გახდა მიზეზი ახალი ომის წამოწყებისა.[36]

1299 წლის 7 დეკემბერს ყაზანის მონღოლთა დიდმა არმიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ კილიკიის სომეხთა მეფე ჰეტუმ II-ის, ვახტანგ III-სა და ბექა ჯაყელის მეომრები და რენეგატი მამლუქი ამირების კიფჩაკისა და ბიკთიმურის ჯარები, გადალახა ევფრატი ჯაბარის ციხესთან და შეიჭრა სირიაში.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1299 წლის 22-23 დეკემბერს ჰომსსა და ჰამას შორის ხაზნადარის ველზე (ვადი ალ-ხაზნადარ). მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს მამლუქები, რომელთაც ხელმძღვანელობდა მცირეწლოვანი სულთანი ნასირ ად-დინ მუჰამედი (ჟამთააღმწერელთან - ნასარ მელიქი). მამლუქთაგან ბევრი დაიღუპა, მათ შორის წარმოშობით ქართველი ამირა აკუშ ქურჯი ალ-ჰაჯიბი.

აშკარად გადაჭარბებულია ჟამთააღმწერლის მიერ მოტანილი ცნობა, რომ ყაზან ყაენის „სიმრავლე ლაშქრისა [იყო] ათასამეტი ბევრი“ (130 000). თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებებით ვადი ალ-ხაზნადარის ბრძოლაში მონღოლთა ჯარი, მოკავშირეებითურთ, იყო არაუმეტეს 20 000-სა, ხოლო ეგვიპტელ მამლუქთა ჯარები 20 000 – 30 000 მეომრისგან შედგებოდა. [37] ქართველი მემატიანე ხაზს უსვამს მეფე ვახტანგის განსაკუთრებულ როლზე ბრძოლაში.

სულთანი და გადარჩენილი მამლუქები ეგვიპტეში გაიქცნენ. „ტვიროსელი ტამპლიერის ქრონიკის“ თანახმად, გაქცეულ მამლუქთაგან ზოგმა ზღვას მიაშურა. ნაწილი, 4 ათასი მამლუქი და 4 ამირა, მათ შორის კიდევ ერთი წარმოშობით

---

[36] Boyle 386-387

[37] Amir Mazor, The Rise and fall of a Muslim Regiment: The Mansuriyya in the First Mamluk Sultanate (1279-1341), Bonn, 2015, p. 116

ქართველი მამლუქი - ასანდამურ ქურჯი გაემართა კრაკ დე შევალიესკენ და შემდეგ ჯუბეილისკენ. ალ-აინის მიხედვით, გაქცეულ ეგვიპტელებს დიდი ზიანი მიაყენეს ლიბანის მთებში მცხოვრებმა დრუზებმა.

ჟამთააღმწერლის ცნობით, „უკმობრუნდა ყაზან დევნისაგან და სამ დღე განისუენა და მეოთხესა დღესა დევნა-უყვეს და მიეწივნეს მცირედნი და ამოსწყვიდნეს“. ამასვე ადასტურებენ სპარსელი ისტორიკოსები ვასაფი და რაშიდ ად-დინი და არაბი ისტორიკოსი ან-ნუვაირი, რომლის მიხედვითაც ყაზანს შეეშინდა, რომ მამლუქებს ისინი ხაფანგში არ შეეტყუებინა და ამიტომაც არ დაედევნა მათ. ამის გამო ხელიდან იქნა გაშვებული მოპოვებული უპირატესობა, რომელსაც შეეძლო გადაეწყვიტა მთელი კამპანიის ბედი.[38]

ალ-ხაზნადარის ბრძოლის შემდეგ ყაზანმა გამოყო თავისი ლაშქრიდან ერთი დუმანი, რომელსაც სათავეში ემირი მულაი ჩაუყენა და უბრძანა განეხორციელებინა რეიდი პალესტინის მიმართულებით. თავად ყაზანი კი გაემართა დამასკოსკენ და იქვე დაბანაკდა.

წყაროთა ცნობით, მულაი თავისი ჯარებით თავს დაესხა ღაზას, იორდანეს დაბლობს (ალ-აღვარ) და იერუსალიმს (ბაით ალ-მაკდის), ააოხრა იგი და დიდძალი ტყვე ჩაიგდო ხელთ. აქ საინტერესოა ჟამთააღმწერლის ცნობაც: „მიუწია ლაშქარმან ვიდრე წმინდად ქალაქად იერუსალიმად, სადა-იგი მრავალი სული მოისრა ქრისტიანე, და უმეტეს სპარსნი“.

დასავლურ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, ნამდვილად შევიდა თუ არა მონღოლთა ჯარი იერუსალიმში.

სომეხი ქრონისტის ნერსეს პალიენცი მოგვითხრობს კილიკიის სომეხთა მეფის ჰეთუმის შესვლაზე იერუსალიმში (თარიღი არასწორადაა მითითებული - 1302 წელი 1299/1330-ის ნაცვლად). მისი თქმით, ჰეთუმმა იქ ნახა, რომ ურწმუნოები (მუსლიმები)

[38] გოჩა ჯაფარიძე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, 50; R. Amitai. Mongol Reids into Palestine, 224.

აღარ იყვნენ. მათმა ნაწილმა გაქცევა მოახერხა ან მონღოლებმა ამოჟლიტეს.[39] მეორე სომეხი ქრონისტის ჰეტუმ პატმიჩის ცნობით, სომეხთა მეფე, რომელიც ღაზასთან იყო დაბანაკებული ყაზანმა უკან გაიწვია დამასკოში, ამდენად ამ ცნობის მიხედვით მისი შესვლა იერუსალიმში არ მოიაზრება.

ალექსიძე ზ., სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა ახალი ქართული კოლექციის სინ-50-ის ანდერძ-მინაწერები, თსუ შრომები, 359, 2005.

ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის 1963 6, 42, 97-98

1303 წლის გაზაფხულზე ყაზან ყაენი ისევ შეიჭრა სირიის ტერიტორიაზე. მონღოლთა წინააღმდეგ გამოვიდნენ სირიისა და ეგვიპტის მამლუქი ამირები ასანდამურ ქურჯის მეთაურობით. 702 წლის 11 შა`ბანს (1303 წლის 31 მარტს) ჰამას აღმოსავლეთით, თადმორიდან რაქქასკენ მიმავალ გზაზე მათ დაამარცხეს მონთოლთა 4-ათასიანი ჯარი. წარმოშობით ქართველმა ასანდამურ ქურჯიმ პირველმა შეუტია ბორცვზე დაბანაკებულ მონღოლებს და მის მოკავშირეებს. „ეს იყო დიდებული საათი - წერს ალ-`აინი, მუსლიმებმა დახოცეს დიდძალი ხალხი, ხმლით გაჟლიტეს მათი უმეტესობა, აიყვანეს 180-მდე ტყვე და მოკლეს, ვინც ნახეს დაჭრილი. ეგვიპტის სულთნის წერილში ყაზან ყაენისადმი ნახსენებია, რომ `ალ-ურადთან მამლუქებმა აიყვანეს ქართველი (ასევე სომეხი და სხვა ქრისტიანი) ტყვეებიც, რომელთა შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

[39] Армянские источники о монголах (извлечения из рукописей XIII=XIV вв.), перевод с древнеармянского, предисловие и примечания А. Г. Галстяна, “издательство восточной литературы”, Москва, 1962, с.

ეს იყო პირველი მარცხი ყაზან ყაენის ლაშქრისა სირიის კამპანიაში 1303 წელს. მაგრამ ამ მარცხს ხელი არ შეუშლია მონღოლთა ძირითადი ძალებიათვის, რომელთა რიგებშიც იყო ვახტანგ III, გზა განეგრძოთ სამხრეთით. მათ დაუბრკოლებლად მიაღწიეს დამასკოს 19 აპრილს, მაგრამ 20-22 აპრილს სასტიკი მარცხი განიცადეს მის სამხრეთით, მარჯ ას-სუფართან. თავდაპირველად, მონღოლთა ფრთამ ყუთლუღშაჰის მეთაურობით მძიმე დარტყმა მიაყენა მამლუქთა მარჯვენა ფრთას. მამლუქებმა დიდი დანაკლისი ნახეს და უკუიქცნენ. მაგრამ მამლუქთა არმიის ცენტრმა და მარცხენა ფრთამ, სადაც იბრძოდა ასანდამურ ქურჯი, შეუტიეს ყუთლუღშაჰის ცენტრს და აიძულეს ის წინდაუხედავად ასულიყო მახლობელ ბორცვზე, სადაც მას შეუერთდა ის რაზმი, რომელიც გაქცეულ მარცხენა ფრთის მამლუქებს დაედევნა. ჟამთაათმწერლის ცნობით: „მას დღესა სწორი ძლევა არ იქმნა, და ღამემან განყარნა, და ვითარ უკუდგეს, პოვეს ქედი დიდი თათართა და მას ზედა შემოდგეს ხუტლუბუღა ერითურთ, უსეინ, სივენჯი. გარნა სიბუჩი, ხუტლუბუღა შვილი, მივიდა მახლობლად სულთნისა და დადგა ვაკედ, რომელსა ახლდეს ბექას ლაშქარნი, და ყველასა ცხენი ხელთა ჰყვა“.

ყუთლუღშაჰს სურდა ამ ქედზე გაეტარებინა ღამე. ამით ისარგებლეს მამლუქებმა და ალყაში მოაქციეს ის. ბრძლა მეორე დღეს გაგრძელდა. მონღოლებს, რომელთაც წყურვილი აწუხებდათ, გაუჭირდათ ალყის გარღვევა.

ამ დროს მამლუქებმა საკუთარი სურვილით გახსნეს თავიანთი რიგები. მონღოლებმა წინააღმდეგობის გარეშე გაიარეს ეს დერეფანი და მიაშურეს მდ. ვადი არამს. მაგრამ წინ მოულოდნელობა ელოდათ: ლამიან გზაზე (მამლუქებმა დამბები გახსნეს და იქაურობა დატბორეს) მათ მრავალი ცხენი დაკარგეს. „მოიხელოვნა სულტანმან, რამეთუ ჩამოუშვა წყალი უკანაკერძო თათართა, და მას ღამესა ესეთი ლამი შეიქმნა, ცხენი და კაცი ორნივე უჩინო იქმნიან ლამსა შიგან. და განთენა რა, იხილეს თათართა უკანა კერძო ლამი და წინათ ლაშქრისა სიმრავლე“.

ყუთლუღშაჰი და მასთან ერთად მეფე ვახტანგი სიკვდილს გადაურჩნენ და მონღოლ ნოინებთან ერთად გაქცევით უშველეს თავს. გადარჩენილებმა ჩრდილო-

აღმოსავლეთით მიაღწიეს ადიდებულ ევფრატს და მისი გადალახვისას ბევრი დაიხრჩო.

ყაზან ყაენი მომდევნო წელსაც აპირებდა ახალი ლაშქრობა მოეწყო სირიაზე, მაგრამ 1304 წლის 11 მაისს მისმა გარდაცვალებამ ეს გეგმა ჩაშალა.

ყაზან ყაენის შედეგ ილხანთა სახელმწიფოს სათავეში მისი ძმა ოლჯაითუ (1304-1316 წ.წ.) ჩაუდგა, რომლის მუსლიმური სახელი - სულთანი მუჰამედ ხუდაბანდე იყო. არც ახალმა ყაენმა აიღო ხელი სირიის დაპყრობის გეგმაზე. ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირის ძებნის მიზნით ოლჯაითუ ყაენმა 1304 წელს საფრანგეთში ფილიპე IV ლამაზთან გაგზავნა ორი ელჩობა. მონღოლი ელჩები ეწვივნენ ინგლისის მეფეს ედუარდ II-სა და რომის პაპს კლემენტ V-ს. ორივე მეფე და პაპი სამხედრო დახმარების შესახებ უხვად იძლეოდნენ დაპირებებს, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს აკეთებდნენ. ამიტომ ყაენი იძულებული გახდა ეგვიპტესთან ახალ ომზე ხელი აეღო.

1307 წლის მაისში ოლჯაითუმ წამოიწყო ახალი სამხედრო კამპანია, მაგრამ არა ეგვიპტის, არამედ კასპიის ზღვის სამხრეთით მოსახლე გილანელების წინააღმდეგ. გილანზე თავისი მთაგორიანი ბუნების გათვალისწინებით ჯერ კიდევ არ იყო მონღოლთა გავლენა გავრცელებული. დაწყებული ჰულაგუ ყაენის პერიოდიდან ვიდრე 1307 წლამდე გილანელები დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ოლჯაითუმ ამ ლაშქრობით მიზნად დაისახა სახელის მოხვეჭა და მონღოლთა შელახული სამხედრო რეპუტაციის აღდგენა.[40]

საქართველოდან მან გამოიძახა ვახტანგ III და ბექა ჯაყელი თავიანთი ლაშქრითურთ. ლაშქრობაში მონაწილეობდნენ გორში მსხდომი ოსებიც. მონღოლთა მრავალრიცხოვანი არმია ყაენმა ოთხ ნაწილად გაყო და სხვადასხვა მხრიდან შეუსია მთაგორიან გილანს. ჩობან ნოინი დაიძრა არდევილის მხრიდან, ყუთლუღშაჰი თავისი რაზმით - ხალხალიდან, თოღანი და მუმინი - ყაზვინიდან, ხოლო ოლჯაითუმ გეზი აიღო ლაჰიჯანისკენ.[41]

---

[40] ბოილე 400

[41] ბოილე 400

გილანის ის ნაწილი, რომელიც ჩობანის სამხედრო მოქმედების არედ იყო ქცეული, შესეულ მტერს ნებაყოფლობით დაემორჩილა და მოსალოდნელი იყო, ამ მაგალითისთვის სხვა გილანელებსაც მიებაძათ, რომ არა ყუთლუღშაჰის სურვილი, თავი ესახელებინა და ქვეყანა ძალით. „ხოლო გილანელნი დაღათუ მცირენი იყვნეს, არა შეშინდეს“ და ცხარე ომი გააჩაღეს მონღოლთა წინააღმდეგ. მონღოლთა ერთ რაზმს, რომელიც ყაენის დაქვემდებარებაში შედიოდა წინამძღოლობდა ვახტანგ მეფე. მას სასტიკი ბრძოლის გადატანა მოუხდა გილანელებთან. ბრძოლას ართულებდა გილანის ლანდშაფტიც, რადგან „ქუეითნი გზისა სივიწროვისაგან და ტყისა სიხშირისაგან არა ივლებოდეს, სადაცა მცირე ვაკე იყვის, ლამი იყვის“. ამის გამო ბევრი ქართველი მებრძოლი შეეწირა ამ უმისამართო ბრძოლას. ჟამთააღმწერელი შენიშნავს, რომ ამ ბრძოლაში გაწყდა ქართული აზნაურული ფენის დიდი ნაწილი. ბრძოლაში დაჭრილა ვახტანგ მეფეც.

სასტიკად დამარცხდა ყუთლუღშაჰის ქვედანაყოფიც, რომელშიც შედიოდნენ მესხები ბექა ჯაყელის მეთაურობით. ყუთლუღშაჰის ვაჟის, სიბაუჩის წინამძღოლობით მიმავალ მონღოლთა ჯარს ხალხალის მისადგომებთან გილანელებმა გზა ჩაუხერგეს და სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს. ბრძოლის მიმდინაარეობისათვის თვალის სადევნებლად სიმაღლეზე ასული ყუთლუღშაჰი გილანელთაგან გამოსროლილმა ისარმა მოკლა, რამაც ლაშქრის დეზორგანიზაცია გამოიწვია. სიბაუჩმა თავის მხედრობასთან ერთად სასწრაფოდ დატოვა ბრძოლის ველი, მაგრამ გილანელებმა მის მხედრობას ჩასაფრება მოუწყვეს და ბრინჯის ყანებზე, რომელზეც უნდა გადაევლოთ გაქცეულებს წყალი მიუშვეს. „ესრეთი ლამი შექმნილიყო, რომე ვერცა ცხენი და ვერცა ქვეითი ვერ გაიარდა“. ამით ისარგებლეს გილანელებმა და მონღოლთა და მესხთა რაზმებს ხოცვა დაუწყეს.

ილხანთა ლაშქრის მესამე ჯგუფმა, რომელსაც ჩობან ნოინი მეთაურობდა შედარებით ადვილად გაართვა თავი ამოცანას. მის რაზმებში შედიოდნენ ჯავახეთიდან გამოსული მხედრებიც. ჩობანმა „ვაკესა ადგილსა“ გილანელებს სძლია და გააქცია, თუმცა დადევნება და ხეობაში ღრმად შესვლა ვერ გაბედა.

ასე უსახელოდ და უზარმაზარი ზარალით დასრულდა მონღოლთა ეს უმისამართო ომი. 29 ივნისს ოლჯაითუ აიყარა და უჟანში დაიბანაკა. აქ ლაშქრის მხედართმთავრობა ჩობან ნოინს ჩააბარეს, რომელიც სიკვდილამდე ედგა სათავეში საილხნოს ჯარს.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, ოლჯაითუ ხუდაბანდეს გილანიდან მობრუნების შემდეგ ბრძანება გაუცია ქრისტიანული სალოცავების დარბევის შესახებ. ვახტანგ III-მ როცა შეიტყო მონღოლი ნოინების საქართველოზე წარმოგზავნის შესახებ, ხლებია ყაენს და დაუჩივლია ქრისტიანების დევნის გამო. „ყაენო, მე ვარ მეფე ქართველთა და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი შენ წინაშე არიან, და მე მზა ვარ სიკუდილად სჯულისათვის ქრისეანობისა, და მერმე ესე ყოველნი შენ წინაშე მყოფნი“. როგორც ჩანს, ოლჯაითუ ყაენს არ სურდა კიდევ ერთი ქართველი მეფე გადაემტერებინა და პოზიციები დათმო, „პატივ-სცა მეფესა და სიტყვითა ტკბილითა აღადგინა და შეინანა, და აბრალა, რომელთა აქმნევინეს“.

უკან მობრუნებული ვახტანგ მეფე ნახჭევანის მახლობლად დასნეულდა, „შეედვა სალმობა მუცლისა“ (როგორც ჩანს იგი ტიფის ვირუსით დაავადდა) და აქედან მცირე ხანში გარდაიცვალა. გარდაცვლილი მეფე დაკრძალეს დმანისში. ვახტანგს ორი ვაჟი დარჩა შაბურისძის ქალისგან: დემეტრე და გიორგი. ამათგან პირველს საუფლისწულოდ დმანისი, ხოლო მეორეს სამშვილდე ებოძა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ III-ის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით მიღებული და გააზრებულია 1308 წელი, რომელიც ისტორიოგრაფიაში დაამკვიდრა ვახუშტი ბატონიშვილმა. დ. ნინიძემ თავის მონოგრაფიაში უარყო მოსაზრება, რომ ვახტანგი 1308 წელს უნდა გარდაცვლილიყო და შემოიტანა ახალი თარიღი - 1304 წელი. იგი ამოდის იმ მოსაზრებიდან, როგორც ვახუშტი ბატონიშვილთან აღნიშნულია, რომ ვახტანგმა „გ (3) წელი იმეფა“ (ვახუშტი მის გამეფებას 1301 წლით ათარიღებს). ასევე იმოწმებს „ძეგლი ერისთავთას“ ცნობას, რომლის მიხედვითაც დავითს და ვახტანგს შორის

„შვიდ წელ განგრძელდა ჰომი“ (1297-1304). დ. ნინიძეს მიაჩნია, რომ ძმებს შორის ომის შეწყვეტა ვახტანგის გარდაცვალებაზე მიანიშნებს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არასწორად მიგვაჩნია ნინიძისეული დათარიღების მიღება, რადგან მკვლევარმა არ გაითვალისწინა პირველწყაროს ცნობა ვახტანგის მონაწილეობაზე გილანში ლაშქრობაზე 1307 წელს. ამდენად შეუძლებელია ვახტანგი 1304 წელს გარდაცვლილად მივიჩნიოთ.

თ. ლომოური მიიჩნევდა, რომ დავითის სპილენძის ფულები, რომლებით XIV საუკუნის დასაწყისით თარიღდება მეფეს უნდა მოეჭრა სტეფანწმინდაში ან ჟინვალში. დავითი ვახტანგთან დამარცხების შემდეგ დ. ნინიძეს ჯავახეთში, ალასტანში გადასული ჰგონია და მიაჩნია რომ, აქვე მოჭრა მან თავისი სპილენძის ფულიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დავითს ფულის მოჭრა არც მთიულეთში და არც ჯავახეთში არ დასჭირვებია, რადგან წყაროებიდან ჩანს, რომ დავითი იბრუნებს თბილისზე კონტროლს, სადაც მოჭრიდან კიდეც თავის სახელზე ფულს.

ვფიქრობთ, რომ 1304 წლის ახლო ხანებში დავითს ძველი პრივილეგიები უნდა აღედგინა, მაგრამ არა ვახტანგის გარდაცვალების, არამედ მონღოლებთან გარკვეული შეთანხმების მიღწევის ხარჯზე. ამავე პერიოდში ვფიქრობთ, რომ მას თავისი იურისდიქცია თბილისზეც უნდა გაევრცელებინა. ამ მოსაზრებას ამყარებს 1304 წლით დათარიღებული სომხური სახარების ანდერძ-მინაწერი, გადაწერილი ვინმე ხაჩატურის მიერ. აქ აღნიშნულია, რომ „დაიწერა ეს [წიგნი] სამეფოსა ქალაქ ტფილისში, ცოდვილი და უხმარი მწერლის ხაჩატურ დიაკვნის მიერ ... სომხური წელთაღრიცხვით „ჩწგ“-ს (1304), „თ“ (9) აგვისტოს, სომხებზე ჰეთუმისა და ქართველებზე დავითის მეფობისას. ყაზანის ძმის, თვითმპყრობელ დიდი არღუნის ძის, ხარბანდას მიერ ქვეყნის პყრობის დროს“.

ა. აბდალაძეს მიაჩნია, რომ გამორიცხული იყო, თბილისში მოღვაწე ხაჩატურს ასეთ მარტივ საკითხში შეცდომა მოსვლოდა. ეს მით უმეტეს მაშინ, როცა გადამწერისთვის უცნობი არ ყოფილა ყაზანის გარდაცვალებისა და ახლად გაყაენებული ოლჯაითუს ტახტზე ასვლის ფაქტი.

ამავე მოსაზრების არგუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ ვახტანგი გარდაცვალების შემდეგ დაკრძალეს არა „სამეფოსა სამარხოსა“ მცხეთას, სადაც ტრადიციულად იკრძალებოდნენ ლიხთ-ამერეთის მეფეები, არამედ დმანისში, რომელიც იყო მისი საუფლისწულო ტერიტორია. თანაც მისი გარდაცვალების შემდეგ მეფედ არა მისი ვაჟი დემეტრე, არამედ დავითის ვაჟი გიორგი დასვეს. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ვახტანგ III 1302 წლის მოვლენების შემდეგ საქართველოში აღარ ფიგურირებს, ვიდრე 1307 წლამდე. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ამ პერიოდის განმავლობაში მონღოლთა ურდოში უნდა ყოფილიყო და თბილისზე კონტროლიც ამ ხანებში უნდა დაეკარგა. ვახტანგი ფიგურირებს ვასაფის თხზულების ერთ ეპიზოდში, სადაც ნათქვამია, რომ 1303 წელს ყაზან ყაენის მიერ მოწყობილ წვეულებაზე ფიგურირებდა საქართველოს მეფეც. „ჩვეულებისამებრ, წვეულება სამი დღე გაგრძელდა: მისი უმაღლესობის ემირები, სახელმწიფოს ვეზირები, საქართველოს, რუმის, სომხეთის (კილიკიის სომეხთა სამეფო) ქვეყნის სულთნები, სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილები, რიგრიგობით, თავისი წოდებისდა მიხედვით, მიართმევდნენ [ყაენს] საჩუქრებს“.

ეტყობა უპრიანი ჩანს მაინც ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის, საქართველოში ილხანთა ხელისუფლება მტკიცე არ უნდა ყოფილიყო. ვახტანგ III-ს, რომელსაც გასამეფებლად და ხელისუფლების შესანარჩუნებლად მონღოლთა სამხედრო ძალის დახმარება სჭირდებოდა და რომელიც უმეტესწილად საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა ილხანთა გაუთავებელ ლაშქრობებში მონაწილეობის გამო, ჩვენში, კერძოდ, თბილისში, ყველა არ თვლიდა მას კანონიერ მეფედ.[42]

საბოლოოდ ვფიქრობთ, რომ ი. ჯავახიშვილის შემოთავაზებული დათარიღება ვახტანგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1308 წ.) გასათვალისწინებელი და მისაღებია. ამის დასადასტურებლად საჭიროა მოვიხმოთ „ასწლოვანი მატიანის“ რამდენიმე ეპიზოდი.

[42] აბდალაძე ჰიშატაკ.104

ოლჯაითუ ყაენის მიერ თავრიზში ქრისტიანული ეკლესიების რბევა, ჟამთააღმწერლის თქმით, გამხდარა უფლის წყრომის მიზეზი და ამ წელს დახოცილა ყაენის ოთხი ვაჟი „ბასტამ და მას ზედანი“. აღმოსავლური წყაროების ცნობით, ბასტამის გარდაცვალება 1308 წლით არის დათარიღებული. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მემატიანე ვახტანგის დასნეულებასა და გარდაცვალებაზე.

მეფის გარდაცვალებიდან მალევე ოლჯაითუმ საქართველოში წარმოგზავნა ემირი ჩობანი, რომელიც მივიდა სამცხეში ბექა ჯაყელთან და მოციქულები გაუგზავნა, „რათა ნახოს ყაენი ანუ ჩოფან“. სამცხის ათაბაგმა „არა თავს-იდვა“ ჩობანის ნახვა და თავის ნაცვლად უმცროსი ვაჟი შალვა წარგზავნა. ამის შემდეგ, ჟამთააღმწერლის ცნობით, ჩობანმა ჩავლო სომხითი და დარჩა ქუეყანა ბექასი მშვიდობით“. ურდოში მიმავალ ჩობანს ბექამ გააყოლა გიორგი დემეტრეს ძეც, რომელიც ხანმოკლე მეფობის (1296-1297) შემდეგ კვლავ სამცხეში დააბრუნა პაპამ და აქ იზრდებოდა. „წარავლინა ბექამან ჩოფანს თანა, და მან მიიყვანა ყაენს წინაშე. ხოლო მან პატივითა შეიწყალა და წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა“.

ამ ცნობაში გაურკვეველია თუ რა გახდა მიზეზი ჩობანის ვიზიტისა საქართველოში და ბუნდოვანია ბექა ჯაყელისადმი ყაენის გულისწყრომის მიზეზი. როგორც ჩანს, ჩობანის საქართველოში შემოსვლა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზით იყო განპირობებული, ვიდრე ბექა ჯაყელის ხმობა იყო. ცნობილია, რომ ამ დროს გამწვავდა ურთიერთობა ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის. არაბი ავტორის ალ მანსურ ბეიბარსის ცნობით, 1308 წელს ილხანთა საყარაულო ჯარის ნაწილები შეეჯახნენ ოქროს ურდოს ყაენის თოხთას ჯარებს. ილხანთა ჯარებმა დიდი ზარალით უკან დაიხიეს. მათ დასახმარებლად ოლჯაითუმ ჩობანი გამოგზავნა 10 000 მეომრით. სხვა ავტორების ცნობით, ჩობანმა იმავე წლის 2 აგვისტოს საქართველოს გავლით დარუბანდს მიაღწია და ნოემბრის დასაწყისში საქმე მოაწესრიგა. ამის შემდეგ არის სავარაუდებელი მისი მოსვლა სამცხეში. ალბათ, ამ შემთხვევაში ბექა ჯაყელმა საჭიროდ არ სცნო მესხთა ჯარები დაეხმარებინა ილხანთა ლაშქრისთვის, რამაც ყაენის გულისწყრომა გამოიწვია. ძალზე საინტერესოა ჩობანის ჩრდილოკავკასიურ

რეიდში დავით VIII-ის პოზიცია. როგორც გვახსოვს, ყოველთვის დავითი იჩენდა ინიციატივას ოქროს ურდოსა და საილხნოს შორის ბრძოლის გასაჩაღებლად. ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ მომენტში დავითის მხრიდან ოქროს ურდოს მხარდაჭერა გამორიცხულია, რადგან ყაენი მის ვაჟს აღარ დაუმტკიცებდა მეფობას.

ამ ამბებიდან მალევე, 1309 წლის დასაწყისში ყაენმა დავით VIII-სთან შუამავალი გამოგზავნა და მოსთხოვა მისი ვაჟის, გიორგის ხლება ურდოში, „რათა მეფედ ყოს“. დავითმაც გაგზავნა ვაჟი ოლჯაითუს წინაშე, რომელმაც დაუმტკიცა მეფობა, „უჩინა მოძღურად და საქმისა მოურავად დიდი გიორგი“ და წარმოგზავნა საქართველოში. გიორგი VI-ის მცირეწლოვნობის გამო ქვეყნის საშნაო და საგარეო საქმეებს გიორგი დემეტრეს ძე განაგებდა.

1308 წელს სამცხის მმართველი ბექა ჯაყელი „მტერთა ძლევასა, მშვიდობასა და დაწყნარებასა“ გარდაიცვალა. სამცხე მემკვიდრეობით მის ვაჟს სარგისს ერგო.

ბექას გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, 1311 წელს გარდაიცვალა დავით VIII, “გარჯილი სენთა მწარეთა მიერ“. გარდაცვლილი მეფე დაუკრძალავთ მცხეთაში. დავითის გარდაცვალების თარიღებს შორის ქართულ ისტორიოგრაფიაში ფიგურირებს ძირითადად 1310 და 1311 წლები. ვახუშტი ბატონიშვილისეული დათარიღებით იგი „ჩტი წელსა“ (1310 წ.) გარდაცვლილა. ი. ჯავახიშვილს აზრით, დასნეულებული მეფე 1311 უნდა გარდაცვლილიყო.

აქ გსურს მოიტანოთ ერთი საინტერესო ცნობა, რომელსაც პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის წარწერა გვამცნობს. წარწერა 1311 წლით თარიღდება და გვანცნობს, რომ ეს ხატი მოჭედილა „ქართლის მეფეების“ კონსტანტინესა და დიმიტრის დროს. კონსტანტინეში უეჭველია ლიხთ-იმერეთის მეფე კონსტანტინე უნდა ვიგულისხმოთ. აქ საინტერესოა დიმიტრის პიროვნება. ვ. კიკნაძე ეს დემეტრე გაიგივებული ჰყავს ვახტანგ III-ის უფროს ვაჟთან, დმანისის მფობელ დემეტრესთან. ამ აზრსვე ეთანხმება დ. ნინიძე, თუმცა მას დემეტრე გააზრებული ყავს არა აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ ქვემო ქართლის, დმანისის მისადგომების „პროვინციის მეფედ“.

საინტერესო ვარაუდი გამოთქვა ა. შანიძემ, რომ ეს დემეტრე კონსტანტინე ნარინის ძის ვაჟი უნდა იყოს. სამწუხაროდ, კონსტანტინეს ვაჟის შესახებ სხვა არანაირი დოკუმენტური წყარო არ მოგვეპოვება, რაც არ აძლევს ამ მოსაზრებას საშუალებას უფრო დიდი გასაქანი მიეცეს. არსებული წყაროების საფუძველზე ვიცით, რომ კოსტანტინე უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა და მეფობა ხელში მისმა ძმამ, მიქელმა ჩაიგდო (1327-1329), თუმცა არ არის გამორიცხული კონსტანტინეს მართლაც ჰყოლოდა ვაჟი, რომელიც ამავე დროს მისი თანამოსაყდრე იყო და ეს უკანასკნელი მამის სიცოცხლეში გარდაცვლილიყო.

ვფიქრობთ, რომ მოკრძალებულ დმანისის მფლობელ დემეტრე ვახტანგის ძეს პეტრიწონის მონასტერთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონოდა. თუ წარწერაში „ქართლის მეფეებში“ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეც მოიაზრება, მაშინ ერთ-ერთი აუცილებლად გიორგი უნდა იყოს (გიორგი მცირე ან მისი მურვე გიორგი დემეტრეს ძე). სამწუხაროდ, წყაროთა სიმწირის გამო ამ საკითხზე მეტის თქმის საშუალება არ გვაქვს.

თუკი

1312 წლის ოქტომბრის დამდეგს ოჯლაითუ ხუდაბანდემ ახალი დედაქალაქიდან - სულთანიედან დაძრა ლაშქარი სირიისკენ. ეს გამოდგა უკანასკნელი სამხედრო კონფრონტაცია ილხანებსა და მამლუქებს შორის. ყაენს თან ახლდნენ რენეგატი სირიელი მამლუქები ყარა-სუნყური და აკუშ ალ-აფრამი, რომლებმაც ჩააგონეს ილხანს, რომ სალაშროდ მოსახერხებელი დრო იყო დამდგარი. იბნ ად-დავადარის თქმით ლაშქრობაში მონაწილეობდა ქართველთა დიდძალი ჯარი. ქართლის ცხოვრების ბროსესეულ თარგმანში ვკითხულობთ, რომ ოლჯაითუმ თან წაიყვანა მეფე გიორგი.

მონღოლებმა გაიარეს მავსილი, კარკისიასთან გადალახეს ევფრატი და 23 დეკემბერს დადგნენ რაჰბ აშ-შამის წინ. ჟამთააღმწერლის ცნობით, „ინება ყაენმან ამხედრება ქვეყანასა ზედა შამისა, ციხესა, რომელსა ეწოდება რაბაშანი“. მათი იმედი,

რომ არ-რაჰბა, რომელიც მნიშვნელოვანი საქარავნო სადგური იყო სირიასა და ერაყს შორის, ბრძოლის გარეშე დანებდებოდა, არ გამართლდა და ქალაქმა და მისმა ციტადელმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მონღოლებს. საბოლოოდ ეს ლაშქრობაც წარუმატებელი აღმოჩნდა. 26 იანვარს არ-რაჰბას ალყა მოხსნეს და უკუიქცნენ.

ამ ლაშქრობით საბოლოოდ დასრულდა მონღლებისა და მამლუქების სამხედრო დაპირისპირება. მშვიდობის დამყარებას ხელს უწყობდა ირანის მმართველი კლასის ისლამიზაცია. 1323 წელს სულთან ან-ნასირ მუჰამედთან ყაენმა აბუსაიდმა დადო სამშვიდობო შეთანხმება და საბოლოოდ დასრულდა 61 წლიანი კონფლიქტი.

დაზავებამ დაასრულა ხანგრძლივი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება მონღოლებსა და მამლუქებს შორის. ამ დაპირისპირებაში მამლუქები გამარჯვებულები გამოვიდნენ. ილხანთა სახელმწიფო მალე დაიშალა, ხოლო მამლუქთა სასულთნომ კიდევ 200 წელი იარსება. მშვიდობამ მონღოლებსა და მამლუქებს შორის საქართველოს თავიდან ააცილა მძიმე სამხედრო ბეგარა და უაზრო მსხვერპლი, რამაც ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ განვითარებას კატასტროფული შედეგი მოუტანა.

1314 წელს რუმში განდგომას ჰქონდა ადგილი. ურდოში მყოფ ოლჯაითუს ცნობა მოუვიდა, რომ რუმში და სირიაში ადგილი ჰქონდა ამბოხს, ყველაზე საყურადღებო ამ ცნობაში ის იყო, რომ ყარამანიდების სულთანმა მაჰმუდ ფარვანემ კონია აიღო. ყაენმა სასწაფოდ გაგზავნა ემირი ჩობან სულდური და ამბოხის ჩასახშობად. ჩობანს რუმში თან ახლდა გიორგი დემეტრეს ძეც. „ასწლოვანი მატიანის“ მიხედვით, ჩობანის მოწოდებას თან ხლებაზე ყური არ ათხოვეს და თბილისში შეიკეტნენ ზაალ მალიქი და შანშე და ზაქარია მხარგრძელები. შანშე, რომელიც აქამდე ყველა ომში თან ახლა მონღოლთა ჯარს, ეურჩება და აღარ მიჰყვება ლაშქრობებში. ალბათ, შანშე მხარგრძელი და სხვა ფეოდალებიც ხვდებოდნენ, რომ ყაენს აღარ შესწევდა ძალა, მათი ამ გამოხდომისთვის რაიმეთი ეპასუხა, ამიტომაც არჩიეს განზე გადგომა.

ჩობანი მივიდა ქარაბიუქში (ერზრუმსა და სივასს შორის) და საზამთროდ აქ დაიბანაკა. აქ მას ეწვივნენ და მორჩილება გამოუცხადეს ადგილობრივმა თურქმანმა ბეგებმა, რომელთა შორის იყვნენ ჰამიდოღლუ ფელექედდინ დიუნდარი ულუბორლუდან და ეშრეფოღლუ არარიმიდან. მოგვიანებით მას ეახლნენ ყარაჰისარის მფლობელი საჰიბ ფაჰრედდინი, ბეგები გერმიანიდან, ქუთაჰიადან და მიმდებარე ციხეებიდან, კასტამონუს მმართველი სულეიმან ფაშა კილიკიის სომეხთა მეფე ...

ჩობანი დაუზავდა ამ თურქმან ბეგებს და გაისტუმრა უკან. ყარამანიდებისთვის ცხადი შეიქნა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. 1315 წლის გაზაფხულზე ჩობანი ალყად შემოადგა კონიას. ყარამანიდებმა მოლაპარაკებები გამართეს მონღოლ ნოინთან და სადაც მათ შესთავაზე ჩობანს, რომ ქალაქს ღამით დატოვებდნენ. ჩობანმა მართალია დაადევნა ჯარები ფარვანეს თუმცა ხელში ჩაგდება არ უცდია.

ჩობანის ანატოლიაში ყოფნის დროს მამლუქებმა დაარბიეს მალათია (1315 წ. აპრილი). მონღოლ ემირს არ შეეძლო რაიმეთი ეპასუხა მამლუქებისთვის სანამ ისინი არ გაბრუნდებოდნენ. 1316 წლის ოქტომბერში იგი კვლავ შემოვიდა ანატოლიაში, როგორც ჩანს მამლუქების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მოულოდნელად უკან დაბრუნება მოუწია, რადგან შეიტყო, ყაენის გარდაცვალების (16. XII. 1316) ამბავი.

ოლჯაითუს გარდაცვალების შედეგ ტახტზე მისი 12 წლის შვილი აბუსაიდ ბაღათური (1317-1335) ავიდა. მისი მცირეწლოვანების გამო საილხნოს მთელი ძალაუფლება ჩობან ნოინის ხელში აღმოჩნდა.

ჩობანის ასეთი განდიდებით ისარგებლა გიორგი დემეტრეს ძემ. მან მოიპოვა მონღოლი ემირის ნდობა, რაც მოგვიანებით გამოიყენა საქართველოსთვის საკეთილდღეოდ. არაბი ისტორიკოსი ალ-კალკაშანდი ალ-უმარიზე დაყრდნობით წერს რომ ჩობანს გიორგისთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მისივე თქმით, ჩობანი იყო საქართველოს მეფის „გულწრფელი მეგობარი ... და ყველაზე უანგარო

გულწრფელ მეგობართა შორის მოუხმობდა მას მნიშვნელოვანი საქმეების დროს და სთხოვდა დახმარებას“. [43] ასეთი დამოკიდებულება თვით ჩობანისა და მისი მემკვიდრეებისთვისაც ხელსაყრელი ყოფილა, რადგან მონღოლ დიდმოხელეთა მუდამ ცვალებადი ბედი ხშირად კეთილმოყვარეთა რიცხვზე და ერთგულებაზე იყო დამყარებული.[44]

ქართველ მეფესთან ამგვარი ურთიერთობა ნაკარნახევი იყო საქართველოს დიდი მნიშვნელობით საყაენოსათვის, რაც ამ არაბ ისტორიკოსსაც აქვს აღნიშნული. საქართველოს ლაშქარი ყოველთვის გადამწყვეტ და სანდო ძალას წარმოადგენდა შეთქმულებებისა და აჯანყებების ჩასახშობად, რომელიც ასე გახშირებული იყო მაშინ და ძირს უთხრიდა საყაენოს ძლიერებას.[45]

მონღოლ ნოინთან დაახლოებით ისარგებლა გიორგი V-მ და 1317 წელს ეწვია მას ურდოში. მისი ნახვით „განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი, შვილნი ბექასანი“. 1318 წელს იგი მოვიდა საქართველოში და დაიწყო დამოუკიდებლად მეფობა.

გიორგი ბრწყინვალის მეორედ გამეფების თარიღთან დაკავშირებით გასულ საუკუნის ისტორიოგრაფიაში ფიგურირებდა 1314 და 1318 წლები. ამ უკანასკნელ თარიღს ვახუშტი ბატონიშვილი იძლევა თავის კაპიტალურ ნაშრომში. 1314 წელს რაც შეეხება, იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოვიდა XIX საუკუნის 50-იან წლებში სოფელ დაბის დაზიანებული საამშენებლო წარწერის შესწავლის შედეგად. წარწერის მიხედვით ტაძარი აშენებულა გიორგი დემეტრეს ძის მეფობის მე-19 ინდიკტიონს. წარწერა ამოიკითხა დ. მეღვინეთხუცესიშვილმა, რომელიც იყო მარი ბროსეს თანამგზავრი და ფრანგ მკვლევარს გაუგზავნა, რომელმაც 1851 წელს ეს ცნობა თავის „მოგზაურობის ანგარიშებში“ გამოაქვეყნა. აქ დ. მეღვინეთხუცესიშვილმა ინდიკტიონთან ერთად ამოიკითხა ქორონიკონი „კა“ (21).

43

44 კიკნაძე 59

45 ნარკვევები

ამდენად მ. ბროსემ ამ ცნობის საფუძველზე დაათარიღა გიორგის გამეფება 1314 წლით (ქორონიკონი „კა“ - შეესაბამება 1333 წელს. თუ 1333 წელი გიორგის მეფობის მე-19 ინდიკტიონი იყო მაშინ 1314 წელს უნდა გამეფებულიყო).

ამ დათარიღებას საგანგებოდ შეეხო თავის მონოგრაფიაში ვ. კიკნაძე, რომელმაც საფუძვლიანად დაასაბუთა 1314 წლის შეუსაბამობა. პირველ რიგში ითვალისწინებს იგი იმ ფაქტს, რომ დაბის ეკლესიის წარწერაში საერთოდ არ არის ნახსენები ქორონიკონი და იგი არც არასდროს უნდა ყოფილიყო აქ. XIX ს. 50-იან წლებში არასწორად ამოკითხული წარწერა კრიტიკის გარეშე შემოვიდა ისტორიოგრაფიაში და დაამკვიდრა მცდარი ინფორმაცია.

ამასთან მკვლევარი ვახუშტის დათარიღების უპირატესობის მხარდასაჭერად იშველიებს ვახუშტისვე ცნობას, რომ „ჩუენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძისა მისისა ბაგრატის ქორონიკონი ძუელთა ქორონიკონებთა შინა“. ანუ ბატონიშვილის დათარიღება არ ემყარება ვარაუდს და იგი გამყარებულია სხვა დოკუმენტური წყაროებითაც.

ვფიქრობთ, დაბის ეკლესიის სააღმშენებელო წარწერაში მითითებული მე-19 ინდიკტიონი უნდა აითვლებოდეს მისი პირველი გამეფების, და არა 1318 წლიდან. ამ ვარაუდს ამყარებს გიორგი ბრწყინვალის მიერ გამოცემული სასისხლო სიგელები, სადაც იგი თავისი ინდიკტიონს პირველი გამეფების პერიოდიდან აითვლის.

იმპერიის მთელი რიგი ოლქები მონღოლ ამირებს მიეცათ საგამდებლოდ. ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ვეზირი თაჯ ედ-დინ ალიშაჰი ემირ ჩობანის მხარდაჭერით. მან რაშიდ ად-დინს, სამოცდაათი წლის მოხუცს, რომელსაც უჭირდა სასახლის ინტრიგებთან ბრძლა, წაართვა მართვა-გამგებლობა და შანტაჟით დაასმინა ყაენთან ოლჯაითუ ყაენის მკვლელობის ბრალდებით.

ლიხთ-იმერეთის სამეფო XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე

ერთიანი სახელმწიფოს განცალკევების ტენდენციები დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად XIII საუკუნეზე უფრო ადრე წარმოიშვა. პირველად ეს გამოიხატა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდებული ფეოდალები ინტერესთა შეჯახების შედეგად, რამაც თავი ჯერ კიდევ გიორგი III-ის მეფობაში იჩინა. ვითარება უფრო გამწვავდა თამარის მეფობის დროს, სადაც ჩანს, რომ დასავლურქართული ძალები ხელს უწყობენ გიორგი რუსის ქვეყანაში დაბრუნებას.

ვითარების გამწვავებას ხელი შეუწყო აფხაზთა საკათალიკოსოს სურვილმა მცხეთის ტახტისაგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ამიტომაც არასწორი იქნება ვარაუდი, რომ სახელმწიფოს გათიშულობა დავით ნარინის აჯანყების თანმდევი მოვლენა იყო.

დავით ნარინის აჯანყებისა და მისი დასავლეთ საქართველოში გახიზვნის შემდეგ იწყებს არსებობას ლიხთ-იმერეთის სამეფო. მონღოლთა ბატონობისგან თავდახსნილ დასავლეთ საქართველოში თითქოს განვითარების უკეთესი პერსპექტივები იქმნებოდა, თუმცა მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად სამეზობლოში არსებული არასახარბიელო გეოპოლიტიკური მდგომარეობა უნდა მივიჩნიოთ. მართალია დავით ნარინმა დასავლეთ საქართველოს აარიდა მონღოლთა ხარკის სიმძიმე, თუმცა თავისი აჯანყებით სათავე დაუდო ახალ გართულებებს. მისი სამეფო რენეგატი მონღოლი უფლისწულების (თეგუდარი, ღალღური) თავშესაფრად იქცა, რადგან მონღოლებისთვის, მსგავსად სხვა არაერთი დამპყრობლებისა, დასავლეთ საქართველო თავისი ლანდშაფტის გათვალისწინებით, გადაულახავ ბარიერს წარმოადგენდა. უდიდეს წინააღმდეგობას ქმნიდა მეფის ფეოდალური ოპოზიცია, რომლის წინააღმდეგ დავით ნარინი სასტიკი ზომების მიღებაც უწევს. 70-იან წლებში

კახაბერ რაჭის ერისთავი განდგომისათვის მეფემ გახეიბრებით დასაჯა, ხოლო მისი შთამომავლები კონსტანტინოპოლში გააძევა და რაჭის ერისთავის მამულები სამეფო დომენს შემოუერთა.

პოზიციების გამყარების მიზნით ნარინმა ილხანების მტრებთან - ეგვიპტის მამლიქებთან დაამყარა დიპლომატიური კავშირები. ცნობილია, რომ მას მიმოწერა ჰქონდა სულთან ბაიბარსთან.

ლიხთ-იმერეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ცალკე მიმართულებას წარმოადგენდა ტრაპიზონის იმპერიასთან ურთიერთობა. დავით ნარინის დამოკიდებულება ძველებურადვე ქართული გავლენის აღდგენასა და შენარჩუნებას გულისხმობდა. ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველო სამართლიანად გვევლინება სრულიად საქართველოს წარმომადგენლის როლში, რომლის საგარეო კურსი შემუშავებული იყო არა უცხო ძალის კარნახით, არამედ საქართველოს პოლიტიკური ინტერესით. [46]

საერთაშორისო ვითარების არასახარბიელოდ განვითარებამ თანდათანობით დაასუსტა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის საკეისროზე. რუმის სულთნის დამარცხებამ მონღოლთა წინააღმდეგ აიძულა მისი მოკავშირე ტრაპიზონის იმპერია, რომ მათ წინაშე ხარკი ეკისრათ. საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნაწილიც მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი. ამ მდგომარეობით ისარგებლა ბიზანტიამ და შეეცადა ტრაპიზონის იმპერიაზე თავისი გავლენის გავრცელებას და საქართველოს პოზიციების სრულ მოსპობას.

ტრაპიზონის იმპერიაში საქართველოს ინტერესებს დაუპირისპირდა ბიზანტია, რომელსაც სურდა თავისი ჰეგემონიის გავრცელება კომნენოსთა სახელმწიფოზე. ქართული ორიენტაციის მომხრეთა დასი მნიშვნელოვან შევიწროვებას განიცდიდა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა იმპერატორების მიხეილ VIII-სა (1259-1282) და ანდრონიკე II-ის (1282-1328) დროს. მიხეილ VIII-მ ძალდატანებით მიიწვია ტრაპიზონის კეისარი იოანე II კონსტანტინოპოლში და თავის ქალიშვილზე დააქორწინა. ასეთი ნაბიჯი, ცხადია, ქართულ გავლენას ტრაპიზონის სამეფოში სერიოზულ საფრთხეს უქადდა. მიქაელ პანარეტოსი ამ ამბებამდე ახსენებს პაპადოპულოსის აჯანყებას,

[46] ნარკვევები

სადაც, როგორც ჩანს, კეისარი დატყვევებულა და თავის დახნის შემდეგ ბიზანტიაში გაქცეულა. ამ ცნობის გარდა სხვა არაფერი ვიცით პაპადოპულოსის აჯანყების შესახებ, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ აჯანყების უკან დგას ორი გაბატონებული კლასის დაპირისპირება, რომელთაგან ერთი ავითარებდა ქართულ სახელმწიფოებრივ ტენდენციებს და მეორე ავრცელებდა პრობიზანტიურ ორიენტაციას. ქართული ორენტაციის მარცხს უნდა გამოეწვია დავით ნარინის ლაშქრობა ტრაპიზონზე. მიქაელ პანარეტოსის ცნობით, „6790 (1282) წლის აპრილში მოვიდა იბერიის მეფე დავითი, შემოერტყა ტრაპიზონს“. დავით ნარინმა ქალაქი ვერ აიღო, მაგრამ ტრაპიზონამდე მთელი ტერიტორია დაიკავა.

დასავლურქართული სახელმწიფოს ხელისუფალნი ასეთი შედეგებით არ კმაყოფილდებოდნენ და არსებულ დაპირისპირებაში ახალი პერსონაჟი შემოიყვანეს, იმპერატორის და თეოდორა, „დიდი კომნენოსის უფალ მანუილის პირველი ასულისა, რომელიც იბერიიდან მოყვანილ რუსუდანთან ეყოლა“. 1284 წელს თეოდორა ქართველთა დახმარებით ტრაპიზონის საკეისროში შეიჭრა და ტახტი დაიკავა, თუმცა მალევე ვითარება არასახარბიელოდ შეიცვალა და იოანემ კვლავ შეძლო ძალაუფლების ხელში აღება.

ჟამთააღმწერლის თხრობიდან ვიგებთ, რომ დავით ნარინის პირველი ცოლი იყო თამარი, ამანელას ასული, რომლისგანაც ჰყავდა: ვახტანგი, კონსტანტინე და მიქელი. თამარის გარდაცვალების შემდეგ შეირთო მიხეილ პალეოლოგოსის ასული, რომლისგანაც შეეძინა ალექსანდრე. არსებობს ვერსია, რომ დავით ნარინის შვილი უნდა იყოს მიქაელ პანარეტოსთან მოხსენიებული თეოდორა კომნენოსის დედა და მეუღლე იმპერატორ მანუილისა „რუსუდან იბერიელი”.

მოხუცებულობის პერიოდში, დაახლოებით 1277-78 წლებში დავით ნარინმა თანამოსაყდრედ დასვა თავისი უფროსი ვაჟი ვახტანგი. როგორც ჩანს ნარინს ამ დროისთვის გარკვეული კომპრომისისთვის მიუღწევია მონღოლებთან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ლიხთ-იმერეთის მეფეს მონღოლების სასარგებლოდ ხარკი ეკისრა. როგორც ჩანს მონღოლები შეეგუენ იმ ფაქტს, რომ დასავლეთ

საქართველოს ვერასდროს შეუერთებდნენ ყაენის დივანს, ამიტომაც ისინი დათანხმდნენ ნარინის პასიურ მორჩილებას.

რაშიდ ად დინის პლანტაციები
კირმანეული

დავით ნარინის მონღოლებთან გარკვეული შეთანხმების მიღწევაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ არღუნ ყაენმა 1289 წელს სიკვდილით დასჯილი დემეტრე II-ის ტახტზე მისი ვაჟი ვახტანგი დასვა. ყაენის ეს ნაბიჯი, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, მისაღები აღმოჩნდა როგორც ლიხთ-იმერეთის მეფისთვის, ისე არღუნისთვის. არღუნ ყაენს შორეულ პერსპექტივაში წარმოედგინა, რომ ნარინის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგი გახდებოდა ორივე სამეფოს მმართველი და ყაენისგან დავალებული მეფე დასავლეთ საქართველოსაც დაუმორჩილებდა მას. ამასთან, მას საქართველოში სჭირდებოდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც მისი ერთგული იქნებოდა და მოაწესრიგებდა ქვეყნის ფისკალურ-საგადასახადო სფეროში არსებულ ხარვეზებს. აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალურმა ზედაფენამაც ვახტანგის პოზიცია დაიჭირა და ბოლომდე უერთგულა მას. საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების გაერთიანება, როგორც ჩანს მათ მონღოლთა ბატონობის დასასრულის წინაპირობად მიიჩნიეს.

1292 წელს ვახტანგის მოულოდნელმა გარდაცვალებამ საქართველოს გაერთიანების პერსპექტივა დიდი ხნით გადაავადა და გზა გაუხნა დემეტრე მეფის ვაჟებს ტახტისკენ. ვახტანგის გარდაცვალებიდან მალევე (ვახუშტი ბატონიშვილის დათარიღებით 1293 წელს) მოკვდა დავით ნარინიც, რომელმაც „ვერღარა პოვა ლხინება და შემდგომად მცირეთა წელთა შეისუენა“.

ლიხთ-იმერეთის სამეფოს ტახტი პირმშოობის პრიციპით კონსტანტინეს ერგო. მას მალევე აუჯანყდა უმცროსი ძმა მიქელი, რომელმაც „დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგუეთი. და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო“. როგორც ჩანს მათი კონფლიქტი ხანგრძლივი პერიოდულობით გრძელდებოდა, რადგან, ჟამთააღმწერლის თქმით, „რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან“.

დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე (1293-1327) წყაროთა მონაცემებით, ჩანს ისევ დავითის ნარინის ანტიმონღოლური პოლიტიკის გზას ადგა. ძალზე საინტერესო ცნობას გვაძლევს ფარსადან გორგიჯანიძე თავის საისტორიო ნაშრომში, რაც სხვა არც ერთ წყაროს შემოუნახავს ჩვენამდე. მისი თქმით, ხუტლუბუღა სადუნის ძის სიკვდილით დასჯის შემდეგ (1293 წ. აგვისტო) ყაენმა საქართველოში გამოისტუმრა დავით VIII და დაუმტკიცა „ყოველი საქართველო“, მათ შორის ხუტლუბუღას მამულები. ფ. გორგიჯანიძის თხრობის მიხედვით, დავითის დაბრუნების შემდეგ საქართველოში მოსულან დიდი ნოინები თუქალი და ყონჩიბალი, რათა აღწერათ ქვეყანა. დავითი მათ ჰერეთში შეეგება და საქართველოში შემოუძღვა. ამ დროს ნოინებს „იმერეთით ანბავი მოუვიდათ, რომ წამოვიდა ლაშქარნი აფხაზეთისა“ მათთან საბრძოლველად.

მონღოლი ნოინების გამოჩენა საქართველოში, სავარაუდოა ან 1293 წლის მიწურულს ან 1294 წლის დამდეგს. საინტერესოა, რა იყო მიზანი დასავლეთ საქართველოს ჯარების ლაშქრობისა აღმოსავლეთში?

ერთი მხრივ, ეს ფაქტი შეიძლება ავხსნათ იმით, რომ მონღოლმა ნოინებმა ისარგებლეს დავით ნარინის გარდაცვალებით და სურდათ ყაენის უზენაესობა ლიხთ-იმერეთის სამეფოზეც გაევრცელებინათ და აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, დასავლეთ საქართველოც ყაენის დივანში შეეტანათ. მეორე მხრივ კი, არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ საქართველოს მეფეს დავითის მეფობა არალეგიტიმურად ეცნო და დაეწყო ბრძოლა თბილისის დასაპყრობად. ნიშანდობლივია, რომ ლიხთ-იმერელთა ჯარები აღმოსავლეთ საქართველოში გადადიან მას შემდეგ, რაც ყაენმა დავით VIII-ის თხოვნით სიკვდილით დასაჯა ხუტლუბუღა. ეს უკანასკნელი, რომ ნარინის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და ისინი საერთო პოლიტიკური ინტერესით მოქმედებდნენ ეჭვს არ იწვევს. ამ ფაქტის დაგვირგვინებას ხუტლუბუღას შემწეობით ვახტანგის აღმოსავლეთ საქართველოში გამეფება წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, წყაროთა არქონის გამო ზუსტი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია, თუმცა ფაქტია, რომ დასავლეთ საქართველოს ჯარების დაპირისპირება მონღოლ ნოინებთან და დავით VIII-სთან არ მომხდარა.

როგორც ჩანს კონსტანტინეს ანტიმონღოლური საქმიანობა ამით არ შეწყვეტილა და იგი

რაშიდ ად-დინის „მიმოწერაში“ შემონახულია ამ ფაქტის ამსახველი ერთი საინტერესო ცნობა. აქედან ირკვევა, რომ მას წერილი გაუგზავნია თავისი შვილისთვის ფირ სულთანისთვის, რომელიც ამ დროს „საქართველოს ჰაქიმი“ ყოფილა. იგი თავის შვილს წერს: „ჩემმა ძვირფასმა განუყრელმა შვილმა ფირ სულთანმა ... უწყოდეს, რომ სვებედნიერი სულთან [ყაზან ყაენის] გალაშქრების სადავეები სირიისა და ეგვიპტისკენ არის მიმართული. ხოლო მონღოლ ამირათა ჯამაათი: მენგუ ბუღა, ჰუქაჯი, ყოთლოღშა, ჯიჯაქი ... საქართველოსკენ გამოემართა ელვარე ხმლებითა და სისხლმოწყურებული შუბებით შეიარაღებული ას ოცი ათასი მეომრის თანხლებით, სამსუნის, აფხაზეთისა და ტრაპიზონის მიუვალ მთებში გამაგრებულ ურჩი ბრბოს წესრიგში მოსაყვანად და მათთვის მონობისა და მორჩილების უღლის დასადგმელად“.

ამ ცნობის მიხედვით დგინდება, რომ წერილი გაგზავნილი უნდა იყოს ყაზან ყაენის სირიაზე ლაშქრობამდე. სავარაუდოდ ეს მოხდა პირველი ომის წინ (1299 წ.), რადგან ჩემოთ ჩამოთვლილი ნოინები მონაწილეობას იღებდნენ ამ ლაშქრობაში. აქვე ყურადსაღებია ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ სირიაზე პირველ ლაშქრობაში ყაზან ახლდა 130 000 მოლაშქრე.

როგორც ჩანს, ეს იყო გამოძახილი რუმის გამგებლის სულემიშის აჯანყებისა.

კონსტანტინე მეფის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხს, რამაც თავისთავად განაპირობა მამლუქთა ეგვიპტესთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი XIII საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს მამლუქთა ხელში გადავიდა. სულთან ბაიბარს I-ის დროს ეგვიპტელმა შეიხმა ხადირ აბუ ბაქრ ალ-მიჰრანიმ მოაკვლევინა მონასტრის წინამძღვარი ლუკა მუხაისძე და მონასტერი მეჩეთად გადააკეთეს. ეს საკითხი ქართული და არაბული წყაროების საფუძველზე განიხილია დ. გოჩოლეიშვილმა, რომელმაც ეს ფაქტი 1270-1272 წლებით დაათარიღა.

სხვა ვერსიას გვთავაზობს არაბი ისტორიკოსი ღაზი იბნ ალ-ვასიტი. იგი იუწყება, რომ „იერუსალიმში ჯვრის მონასტრის მახლობლად მცხოვრები ჯგუფი ქრისტიანებისა (ქართველები და სომხები) იყვნენ მონღოლთა ჯაშუშები. ისინი წერდნენ მათ მუსლიმთა ამბების, ეგვიპტის ლაშქრის და ამირების შესახებ ... ამას ისინი იგებდნენ აღდგომის ეკლესიის მომლოცველთაგან. სულთანმა ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ ჯაშუშები და ისინი, ვისთანაც იყვნენ დაკავშირებულნი. მან აგრეთვე ბრძანა, რომ ეს ეკლესია გადაეკეთებინათ მეჩეთად“.

1300 წელს ჯვრის მონასტრის ბერებს, რომლებიც სავარაუდოდ მახლობელ მონასტრებში იყვნენ თავშეფარებულნი მატერიალური დახმარება გაუწია სირიაზე ლაშქრობაში მყოფმა ვახტანგ III-მ, თუმცა არ ჩანს, რომ მას გაეთავისუფლებინოს ჯვრის მონასტერი.

ქართველთა მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გამოხსნის ფაქტთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად ფიგურირებს ორი თარიღი -1305 და 1310 წლები. ეს თარიღები აღებულია არაბი ავტორების თხზულებებიდან.

ალ-მაკრიზის თანახმად, ჰიჯრის 705 წელს (1305/1306) კაიროში ჩასულან ბიზანტიის იმპერატორის და ქართველი მეფის ელჩები „სამეფო საჩუქრითა და წერილით, რომელშიც, იყო შუამდგომლობა, რომ გახსნილიყო იერუსალიმის ჯვრის ეკლესია, რათა ქართველებს იქ ელოცათ. სამაგიეროდ ქართველები აღუთქვამდნენ სულთანს

მორჩილებას და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას. მათი თხოვნა დაკმაყოფილდა - სულთანმა ბრძანა ეკლესიის გახსნა და ელჩები უკან დაბრუნდნენ სათანადო პასუხით“.

ალ-‘აინიც იმეორებს ალ-მაკრიზის ცნობას ქართველთა მიერ ჰიჯრით 705 წელს ჯვრის მონასტრის გამოხსნასთან დაკავშირებით. აქ იგი უმატებს, რომ ქართველებს ამის შემდეგ მიეცათ უფლება ამხედრებული შესულიყვნენ ქალაქში, მაშინ როცა, მანამდე ცხენზე გვერდულად მჯდომნი შედიოდნენ.

იმავე ალ-მაკრიზისა და ალ-‘აინის თზულებებში გვხვდება ცნობა ჰიჯრის 710 წელს (1310/1311) კაიროში ქართველთა ახალი ელჩობის ჩასვლის შესახებ, სადაც ისინი სულთანს ჯვრის მონასტრის გამოხსნას თხოვენ. 710 წლით ათარიღებს ქართველთა ელჩობას ეგვიპტელი კოპტი ქრონისტი მუფადდალ აბი ლ-ფადა’ილი. ორ ელჩობას ადასტურებს ან-ნუვაირიც, რომელიც არაფერს ამბობს პირველი ელჩობის შედეგზე, ხოლო მეორე ელჩობა წარმატებულად მიაჩნია.

აქვე საყურადღებოა ბაიბარს ალ-მანსურის ცნობა, რომელიც ყველა დანარჩენ მემატიანეზე მეტად იყო გათვითცნობიერებული ამ ამბებში და უშუალო მონაწილე იყო ჯვრის მონასტრის გადაცემის საქმეში. მისი თხზულების პირველ ნაწილში გვხვდება ცნობა ქართველთა ჰიჯრით 705 წლის ამბებთან დაკავშირებით, თუმცა გ. ჯაფარიძემ მიაკვლია და გამოაქვეყნა მისი თხზულების მეორე ნაწილის ეპიზოდი, სადაც ბაიბარს ალ-მანსური ქართველთა ჰიჯრით 710 წლის ელჩობას ეხება. ყველა სხვა ცნობისაგან გასხვავებით იგი თავისი ინფორმაციულობით გამოირჩევა.

„მოვიდნენ ქართველი ელჩები კონსტანტინე დავითის ძის, საქართველოსა და თბილისის მფლობელის მხრიდან. მათ სთხოვეს მას [სულთანს] დაბრუნება ჯვრის ეკლესიისა, რომელიც წარსულში ძალით წაართვეს“.

აქდან ვიგებთ, რომ ამ ელჩობის ინიციატორი ლიხთ-იმერეთის მეფე კონსტანტინე ყოფილა. სულთანი ნასირ ად-დინ მუჰამმადი დათანხმდა მონასტრის გადაცემაზე და სანაცვლოდ მოსთხოვა ქართველ მეფეს ეზრუნა მის მიწაზე მცხოვრები მუსლიმების კეთილდღეობისათვის და გადაადგილების თავისუფლებისათვის.

იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში დაცულია ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ჯვრის მონასტერი 710 წლის 8 რამადანს (1311 წლის 29 იანვარს) უკვე ქართველთა ხელში იყო. დოკუმენტის მიხედვით, სულტანი მონასტერში მყოფ ვინმე ბერ სადუნსა და მთელ საძმოს უშიშროების გარანტიას აძლევდა.

გ. ჯაფარიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა ორ ელჩობას, რომელთაგან პირველი საკონსულტაციო ხასიათის იყო, ხოლო მეორე ელჩობამ შედეგი გამოიღო და ქართველებმა დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი. რაც შეეხება პირველ ელჩობას, როგორც ჩანს ისიც კონსტანტინე ნარინის ინიციატივით იყო მოწყობილი, რადგან ალ-მაკრიზის ცნობით, ქართველი ელჩები სულტანს საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღუთქვამდნენ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონსტანტინეს გარდა ამ პერიოდის სხვა ქართველ ხელისუფალს ამის შესაძლებლობა ჰქონოდა.

1305 წლის ელჩობამ, რომელმაც ვერ გადაჭრა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხი, გადაჭრა სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხი -გოლგოთას გადაცემა ქართველებისთვის. 1891-1898 წლებში იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული დოკუმენტურ მასალებში მოიძიება ინფორმაცია, რომელიც თარიღდება 1308 წლის 5 აპრილით. ამ დოკუმენტის თანახმად გოლგოთას სალოცავი მართლმადიდებელ ივერთა საკუთრება ყოფილა. ამდენად ქართველები იყვნენ პირველები, რომელთაც 1244 წლის შემდეგ, მას მერე რაც ჯვაროსნებმა დათმეს იერუსალიმი, მფლობელობაში მიეცათ ეს ადგილი.

ალ-მაკრიზისა და ალ-'აინის თხზულებიდან ვიგებთ, რომ 1316 და 1320 წლებში ქართველი ელჩები კვლავ იმყოფებიან კაიროში. მსგავსად წინა ელჩობებისა უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ელჩობაც კონსტანტინეს მიერ იქნა გაგზავნილი.

კონსტანტინე ნარინის ძეს ახლო ურთიერთობა ჰქონია ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე II ლასკარისთანაც (1282-1328). საყურადღებო ცნობას გვაძლევს გიორგი პახიმარე ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, რომლის ეს ეპიზოდი არ

არის შესული ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკას“ მეშვიდე ტომში და იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოვიდა დასავლური ისტორიგრაფიიდან.

პახიმარეს ცნობის მიხედვით, 1505/1506 წლებში ანდრონიკე II-მ კავშირი შეკრა გენუასთან და, გარდა ამისა, პოეტ მანუელ ფილის მონაწილეობით ელჩები გაუგზავნა საქართველოს მეფეს, რათა ეთხოვა რათა ეთხოვა ჯარი კატალანელთა წინააღმდეგ. ქართველებმა აღუთქვეს დახმარება, ისე რომ არ მოუთხოვიათ რაიმე კომპენსაცია, თავიანთი ხარჯების დაფარვის გარდა, მაგრამ მომდევნო მოლაპარაკებები ჩაიშალა და მხოლოდ მცირედნი ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის მოსაზრება, რომ საქართველოს მეფეში უეჭველად კონსტანტინე ნარინის ძე უნდა ვიგულისხმოთ.

აქ გსურს მოიტანოთ ერთი საინტერესო ცნობა, რომელსაც პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის წარწერა გვამცნობს. წარწერა 1311 წლით თარიღდება და გვანცნობს, რომ ეს ხატი მოჭედილა „ქართლის მეფეების“ კონსტანტინესა და დიმიტრის დროს. კონსტანტინეში უეჭველია ლიხთ-იმერეთის მეფე კონსტანტინე უნდა ვიგულისხმოთ. აქ საინტერესოა დიმიტრის პიროვნება. ვ. კიკნაძე ეს დემეტრე გაიგივებული ჰყავს ვახტანგ III-ის უფროს ვაჟთან, დმანისის მფობელ დემეტრესთან. ამ აზრსვე ეთანხმება დ. ნინიძე, თუმცა მას დემეტრე გააზრებული ყავს არა აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ ქვემო ქართლის, დმანისის მისადგომების „პროვინციის მეფედ“.

საინტერესო ვარაუდი გამოთქვა ა. შანიძემ, რომ ეს დემეტრე კონსტანტინე ნარინის ძის ვაჟი უნდა იყოს. სამწუხაროდ, კონსტანტინეს ვაჟის შესახებ სხვა არანაირი დოკუმენტური წყარო არ მოგვეპოვება, რაც არ აძლევს ამ მოსაზრებას საშუალებას უფრო დიდი გასაქანი მიეცეს. არსებული წყაროების საფუძველზე ვიცით, რომ კოსტანტინე უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა და მეფობა ხელში მისმა ძმამ, მიქელმა ჩაიგდო (1327-1329), თუმცა არ არის გამორიცხული კონსტანტინეს მართლაც ჰყოლოდა ვაჟი, რომელიც ამავე დროს მისი თანამოსაყდრე იყო და ეს უკანასკნელი მამის სიცოცხლეში გარდაცვლილიყო.

ვფიქრობთ, რომ მოკრძალებულ დმანისის მფლობელ დემეტრე ვახტანგის ძეს პეტრიწონის მონასტერთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონოდა. თუ წარწერაში „ქართლის მეფეებში“ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეც მოიაზრება, მაშინ ერთ-ერთი აუცილებლად გიორგი უნდა იყოს (გიორგი მცირე ან მისი მურვე გიორგი დემეტრეს ძე). სამწუხაროდ, წყაროთა სიმწირის გამო ამ საკითხზე მეტის თქმის საშუალება არ გვაქვს.

წარმატებული საგარეო პოლიტიკის მიუხედავად თვითონ ლიხთ-იმერეთის სამეფოში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა კონსტანტინესა და მიქელს შორის და ამ ბრძოლამ კონსტანტინეს გარდაცვალებამდე გასტანა.

1327 წელს „მოკუდა მეფე კონსტანტინეცა... და შემდგომად მისა გამეფდა ძმა მისი მიქელ. ამან იღუაწა კუალად შეერთვებად და დამორჩილებად პირველისაებრ მთავართა და ერისთავთა. არამედ წართმევითა და ცვალებითა ვერღარა შეუძლო. გარნა დაიმორჩილნა კუალად ხარკის მიცემითა და მოლაშკრედ თვისად. და სხუასა ვერღარა რაისა ეწია, რამეთუ მოკვდა წელსა ქრისტესა ჩტკთ (1329 წ.). მიქელის გარდაცვალებით ისარგებლა გიორგი ბრწყინალემ, გადავიდა დასავლეთ საქართველოში და მის ვაჟს ერისთავობა დაუმტკიცა. ეს ნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველო იურიდიულად აღმოსავლეთ საქართველოს დაექვემდებარა. მიქელი ფიგურირებს 1326 წლით დათარიღებულ წყალობის სიგელში მიქელაძეებისადმი. (საქართველოს სიძველენი 2)

სამცხე-საათაბაგო XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე

სამცხის სამთავრო თავისი შედარებით უკეთესი ფიზიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით აშკარად გამოირჩეოდა საქართველოს დანარჩენი ნაწილებისაგან. ხასობამ და ყაენთაგან უშუალო მფარველობა, ხელი შეუწყო ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნებას. ეკონომიკურ სიძლიერესა და მოსახლეობის მომრავლებას მოწმობდა აქ ეკლესია-მონასტრების ინტენსიური მშენებლობა, ახალი სოფლების გაჩენა.

1266 წელს სარგის ჯაყელს აბაღა ყაენმა სამცხე „ხას-ინჯუს“ სტატუსით დაუქვემდებარა. ინჯუს მიწები (ყაენისა და მისი სახლის წევრთა საერთო საკუთრებაში

მყოფი) ამორიცხული იყო „დივნის“ (სახელმწიფოს) მიწების ფონდიდან. ასევე ამორიცხული იყო „დივანთა ფონდიდან“ ხასი მიწები (ყაენის პირად საკუთრებაში მყოფი). ეკონომიკურად ეს ნიშნავდა იმას, რომ „ინჯუ ი ხასად“ შეწყალებული ფეოდალის სამფლობელოში „დივნის“ მოხელენი, ხარკის ამკრეფნი ვერ შევიდოდნენ. თუ გავითვალისწინებთ მონღოლთა ფისკალური აპარატის სიმძიმეს, ადვილი წარმოსადგენია, რა უპირატესი მდგომარეობა უნდა ჰქონოდათ ასეთ სახასო მამულებს.

როგორც ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, სამცხემ მალევე დაკარგა ეს პრივილეგირებული სტატუსი. „შემდეგში რაკი მესხეთის მთავრის პოლიტიკური მდგომარეობა განმტკიცდა, ჯაყელთათვის მათი საბრძანებლის წინანდებურად ხასინჯუდ დარჩენას უკვე მნიშვნელობა და აზრი დაჰკარგვოდა. ალბათ ამით უნდა აუხსნებოდეს, რომ მერმე ამის ხსენება ქრება და მესხეთი ერანის ილხანებს მხოლოდ ყმადნაფიც სამთავროდღა ჩანს“.[47]

ამასვე გულისხმობდა ჟამთააღმწერელი, რომ ბექა ჯაყელი „ხარაჯასა მისცემდა ყაზანსა, და ლაშქართა შეეწეოდა“. ასეთი დამოკიდებულება თავშივე გამორიცხავს ხას-ინჯუს არსებობას.[48] სამცხის ხას-ინჯუს გაუქმება სავარაუდებელია 1279 წლის მოვლენებთან დაკავშირებით. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ „საქმისა რასათვისმე განუდგეს თათართა სარგის და ძე მისი ბექა“.

ბექა ჯაყელის საგამგეო მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. „დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტაშისკარითგან კარნუქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისხევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“.

ჟამთააღმწერლის ამ ცნობაში საინტერესოა, თუ რას უნდა ნიშნავდეს, რომ ბექამ დაიპყრა „უმრავლესი ტაო“ (და არა მთლიანად). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს იმ ფაქტთან, რომ ფანასკერტის საერისთავო არ შედიოდა ბექას

[47] ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, 1941 გვ. 140
[48] გვრიტიშვილი 297

დაქვემდებარებაში. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ცნობილია რომ ამ საერისთავოს თაყა ფანასკერტელი განაგებდა. უცნობია, თუ რა დამოკიდებულებაში იყო იგი სამცხის მთავართან, რადგან წყაროებში არ იკვეთება მისი ბექა ჯაყელთან მისი დაპირისპირების ფაქტი, მაგრამ ცხადია, რომ ფანასკერტელი ერისთავი თავს სამცხის მთავრის თანასწორად მოიაზრებდა. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება 1313 წლით დათარიღებული სომხურ სახარების ანდერძ-მინაწერი, სადაც ნათქვამია, რომ „სომხური ათვლის „ჩკბ“-ს (1313 წელს) სომხებზე ოშინის მეფობისას და უფალ კონსტანტინეს კათალიკოსობისას, ტაოს ქვეყანაში, პარონ თაყას მიერ ქვეყნის ფლობის დროს“ გადაწერილა ეს სახარება ვინმე ჰოვანესის მიერ ტაოს სოფელ შიკბაკში.

რაც შეეხება ჯავახეთში მხოლოდ რამდენიმე სოფლის მფლობელობას მარტივად უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ამ მხარის უდიდესი ნაწილი ისევ თბილისს ემორჩილება და მოგვიანებით ჯავახეთი ალასტანითურთ „პროვინციის მეფეების“ სამფლობელოდ იქცა. ჯავახეთის გარკვეულ ტერიტორიაზე, სადაც საძოვრებით მდიდარი ადგილები იყო მონღოლი ნოინებს იალაღებად ჰქონდათ ქცეული.

სამცხის მთავრები ამ დროისთვის მხოლოდ ფორმალურადღა ინარჩუნებენ სამოხელეო თანამდებობებს. ბექა მანდატურთუხუცესი ნომინალურად აღიარებს აღმოსავლეთ საქართველოს მეფის უზენაესობას და ცდილობს მონღოლი ყაენების კეთილგანწყობა დაიმსახუროს, რათა შეინარჩუნოს პრივილეგირებული მდგომარეობა. ამიტომაც ბექა, როგორც ყაენის სახასო მიწების მფლობელი პიროვნება უგულებელყოფს თბილისის ტახტზე მჯდომი მეფეების მოწვევას და მორჩილების ფორმალური ცერემონიალის აღსასრულებლად საკუთარ ვაჟებს აგზავნის. ილხანთა კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად სამცხის მთავარი აქტიურ მონაწილეობას იღებს მონღოლთა ლაშქრობებში.

დავით ნარინის მიერ ტრაპიზონის იმპერიაში ქართული გავლენის აღდგენის უშედეგო მცდელობის შემდეგ ეს საქმე ბექა ჯაყელმა იკისრა. ტრაპიზონზე თავისი ჰეგემონიისა და პოლიტიკური მეურვეობის კანონიერების ილუზიის შესაქმნელად

ბიზანტიის ხელისუფლებამ განზრახ შეთხზა ჭორი, თითქოს 1297 წელს გარდაცვლილ ტრაპიზონის კეისარს იოანე II-ს თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრის ალექსი II-ის მეურვეობა ბიზანტიის იმპერატორისთვის ეანდერძოს. ბიზანტიის იმპერატორი დაარწმუნა მისმა კარისკაცმა, რომ ტრაპიზონის ახალი კეისრისთვის ცოლად მისი ქალიშვილი შეერთოთ, თუმცა მათ დაასწრო ტრაპიზონი იმპერიაში ქართველთა მომხრე დასმა და ალექსის ბექა ჯაყელის ქალიშვილი შერთეს ცოლად.

ამ ფაქტმა ბიზანტიის იმპერატორის უკმაყოფილება გამოიწვია და ყველანაირად ცდილობდა ჩაეშალა ეს ქორწინება. ამ მიზნით ანდრონიკემ მიმართა კონსტანტინოპოლის პატრიარქს და სინოდს, რომ ეს ქორწინება კანონგარეშედ გამოეცხადებინათ, თუმცა პატრიარქმა ამ შეთავაზებაზე დასტური არ მისცა.

ამდენად, ტრაპიზონის იმპერიაში საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა დასმა გაიმარჯვა. ამავე ხანებში ტრაპიზონი წარმატებით იგერიებს შემოსეულ თურქებს, რაც მესხთა ჯარის დახმარებით უნდა ყოფილიყო მიღწეული. საგულისხმოა, რომ თურქების წინააღმდეგ ამავე პერიოდში წარმატებულ ბრძოლებს აწარმოებს სამცხის მთავარი.

მიქაელ პანარეტოსის ცნობით, იოანე II-ის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე „დაიპყრეს თურქებმა ხალიბია და მოაწყვეს ისეთი თავდასხმა, რომ მთელი მხარე გაპარტახდა“. თურქთა მარბიელი ლაშქრობის შესახებ ვრცლად ყვება ჟამთააღმწერელი. მას ეს ამბავი ვახტანგ III-ის გამეფების შემდეგ აქვს მოთხრობილი, შესაბამისად თურქმანთა მარბიელი ლაშქრის შემოსვლა სამცხეში 1297 წლის მახლობლად უნდა ვიგულისხმოთ.

„საბერძნეთსა მყოფი“ თურქმანთა ეს ჯგუფი აზატ-მოსეს მეთაურობით (ჟამთააღმწერლის მიხედვით მას ჰყავდა 60 000 მეომარი) ბასიანის გავლით ტაოში შემოიჭრა „მოოხრებად ყოვლისა საქართველოსა“. აქ მათ საშინლად ააწიოკეს ადგილობრივი მოსახლეობა. როგორც ჩანს თურქთა ასე ადვილად შემოსვლა ტაოში განპირობებული იყო მოულოდნელობის ეფექტით. მოსახლეობამ ვერ მოასწრო გახიზნვა, ამიტომ მსხვერპლი ძალიან დიდი იყო.

ადგილობრივმა ფეოდალებმა თურქებს მხოლოდ ლოკალური ბრძოლები გაუმართეს. ნიგალისხევსა და მურღულში შესულთა ერთი ჯგუფი აზნაურმა ხერხემლისძეებმა (ხერხეულიძეებმა) ამოხოცეს. ტაოს ერისთავმა თაყა ფანასკერტელმა მცირეოდენი ჯარით თორთომის ციხის მახლობლად ბრძოლა გაუმართა თურქებს და დიდად აზარალა, თუმცა ბრძოლის გაგრძელება ვეღარ გაბედა, „გარნა სიდიდისათვის თურქთასა ქვეყანით მისით ვერ განასხა“.

ამ დროს გამოჩნდა ბექა მესხთა ჯარით, რათა გენერალური ბრძოლა გადაეხადა თურმანთა წინააღმდეგ, მაგრამ ტაოში მოსულმა შეიტყო, რომ ისინი აყრილიყვნენ და საზამთროდ პონტოს მიდამოებში გადასულიყვნენ.

მომდევნო წელს აზატ-მოსეს მეთაურობით თურქები კვლავ შემოიჭრნენ ტაოს საზღვრებში. ამჯერად სამცხის მმართველი მომზადებული დახვდა მათ და 12 000 მეომარი შეაგება. პირველი ბრძოლა ვაშლოვანის მიდამოებში მოხდა, სადაც გამარჯვება მესხთა ჯარს დარჩა. ამის შემდეგ ბექა სპერისა და ბაბერდისკენ (ბაიბურთი) დაიძრა, სადაც დაბანაკებული იყო თურქმანთა ძირითადი ძალები.

მანამდე აზატ-მოსემ თავისი ჯარი ორ ნაწილად გაყო. ერთს სათავეში თვითონ ჩაუდგა და ვაშლოვანის მიმართულებით დაიძრა, ხოლო მეორე ნაწილს უბრძანა მოეოხრებინათ ტაოს სოფლები, რის შემდეგაც ბანას მახლობლად უნდა შეკრებილიყვნენ. ბექამ ეს ამბავი ხელში ჩაგდებულ თურქმანთაგან შეიტყო და მანაც ორად გაყო სამცხის ლაშქარი. ერთი ნაწილი, რომელსაც მისი ვაჟი სარგისი სარდლობდა ვაშლოვანისკენ მიმავალი აზატ-მოსეს შესაგებებლად გაგზავნა ხოლო მეორე ნაწილი თავისი მეთაურობით თურქმანთა ბანაკისკენ დაძრა.

სარგისის ჯარებმა ადვილად დაამარცხეს თურქმანები და მათ დიდი ზარალის ფასად უკან დაიხიეს. ამასობაში ბექა ჭოროხის ხეობაში დაბანაკებულებს დაესხა თავს. მათ ბრძოლის გაგრძელება უაზროდ ჩათვალეს და სპერში შეიკეტნენ. ბექამ ქალაქი პირველივე ბრძოლაში აიღო სპერის ციხეს ალყა შემოარტყა. ამ დროს მასთან მოვიდა სარგისი მესხთა ჯარის ნაწილით, რომელსაც გზად ნორ-ქალაქი აეღო და

ბრძოლაში გაწეული დახმარებისა და მოყვრობის სანაცვლოდ

da WaneTi sruliad mosca berZenTa mefeman, komninosman kir mixail, da asuli
beqasi colad miiyvana

ამ ხანებში ტრაპიზონის სამეფო წარმატებით იგერიებს
უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე ჟამთააღმწერლის ცნობა ალექსისაგან ბექასთვის ჭანეთის გადაცემის შესახებ.

„პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტის წარმოშობა

ეს ტერმინი ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა და დაამკვიდრა ნიკო ბერძენიშვილმა. იგი გამოიყენება იმ ტახტისმაძიებელი უფლისწულებით მიმართ, რომელთაც რომელთაც შეძლეს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში საუფლისწულო მამულების მითვისებით დამოუკიდებლობის მოპოვება და მეფედ თვითაღიარება.

განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქა ქართულ მონარქიაში შიდაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის განსაკუთრებული სიმწვავით აღინიშნა. ფეოდალური პარტიკულარიზმის პირობებში მთელი სიმწვავით დაისვა „ბატონიშვილობის“ საკითხი.[49]

„პროვენიციის მეფეთა“ ფენომენი ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილმა შეამჩნია, რომელიც თავის „კალმასობაში“ შენიშნავდა, რომ „ჯერეთ არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ“. [50] თ. ჟორდანია „ქრონიკებში“ აღნიშნავდა: „საბუთებში მკითხველი იპოვის იმერთა და ამერთა არა ერთს და ორ მეფეებს, რომელნიც სრულიად მოხსენებულნი არ არიან ჩვენს მატიანეში“.[51]

ამ პრობლემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა ყურადღება ს. კაკაბაძემ შეაჩერა. მის ნაშრომებში მოცემული და განხილულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უდავოდ ადასტურებს საქართველოს სამეფოს სხვადასხვა კუთხეებში „პროვინციის მეფეების“ არსებობას. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ამ თემაზე მუშაობდნენ ნ. ბერძენიშვილი, ი. ანთელავა, ნ. ასათიანი, დ. გვრიტიშვილი და ა.შ. „პროვინციის მეფეების“ ფენომენის შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის დ. ნინიძეს, რომელმაც ეს საკითხი მონოგრაფიულად შეისწავლა და სააშკარაოზე გამოიტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის შვილებისა და სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა მფლობელობის თუ უფლებრივი სტატუსი არ იყო ზოგადქართული ფენომენი და იგი მწვავედ იდგა სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებშიც. საფრანგეთში სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებისა და პრინცების მიერ უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლების შედეგად ჩამოყალიბდა აპანაჟების სისტემა.

საფრანგეთისაგან განსხვავებით, სადაც უფლისწულებთან ბრძოლაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, საქართველოში მთელი რიგი სოციალ-

---

[49] 82 113

[50] 128 287

[51] 57 მე8

პოლიტიკური პრობლემების გამო იგი ქვეყნის დეცენტალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორად მოგვევლიანა.

„პროვინციის მეფეთა“ არსებობის წინა პერიოდში საუფლისწულო სამეფო დომენიდან გამოეყოფოდა მხოლოდ მეფის უფროს ვაჟს - ტახტის მემკვიდრეს. XIV საუკუნიდან „საუფლისწულოს“ პარალელურად, ჩნდება ტერმინი „საბატონიშვილო“. თუკი ადრე სამეფო დომენიდან სამფლობელო მხოლოდ უფროს ვაჟს გამოეყოფოდა, ახლა უკვე მეფის დანარჩენ შვილებსაც აქვთ თავისი მკვიდრი მამული. [52] XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე საშინაო და საგარეო ვითარების ურთიერთგადაჯაჭვის შედეგად შექმნილმა სიტუაციამ და საარსებო წყაროების შემცირებამ „ბატონიშვილობის“ საკითხი განსაკუთრებით გაამწვავა. დიდებულები სამეფო ტახტის საწინააღმდეგოდ ემხრობიან მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილებსა თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონებს, რათა თავად ჰქონოდათ „თავისუფლება შლილობათა ამათ შინა“.[53] პროვინციაში გადასული ბაგრატიონები, რომლებიც ბევრი რამით გვანან დიდ მთავრებს, სამეფო საგვარეულოს ჩამომავლობის გამო „მეფის“ ტიტულით იწყებენ მოქმედებას.

ასეთ პირობებში მეფეს არ ჰყოფნის სამეფო მიწების ფონდი, უჭირს ამ მომრავლებულ ბაგრატიონთა სამფლობელოებით დაკმაყოფილება; იგი კი მათი არსებობისათვის აუცილებელი მთავარი წყარო უნდა გამხდარიყო. სამეფო ტახტის მფლობელობის წესის დარღვევა, რა თქმა უნდა, იწვევს იმ ბაგრატიონთა უკმაყოფილებას, რომელთაც ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის მიხედვით სამეფო გვირგვინი ეკუთვნოდათ. თავიანთი ადგილით უკმაყოფილო ტახტდაკარგული ბაგრატიონები იწყებენ ბრძოლას უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი ერთი ნაწილი „პროვინციის მეფობას“ აღწევს.[54]

---

[52] 185 29

[53] 35 556

[54] ნინიძე 19

სიმპტომატურია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაცემულ, იურიდიული ძალის მქონე სიგელ-გუჯრებში მეფესთან ერთად მისი სახლეულის წევრებიც იხსენიებიან.

„ბატონიშვილობის“ საკითხის გამწვავების შედეგად უკმაყოფილო სამეფო ოჯახის წევრი (მეფის ძმა ან უფლისწული), რომელმაც „ვერღარა თავს-იდვა უპატიოდ ყოფნა“, ქვეყნის გარკვეულ პროვინციაში მეფის ნებადაურთველად იწყებენ მფლობელობას, იჩენს არსებობისათვის აუცილებელ საყრდენს ადგილობრივი ფეოდალების სახით, უფრო მეტი უფლებების მინიჭებას პირდება, ვიდრე ამას ისინი ცენტრისგან მიიღებენ.

სხვა შემთხვევაში მეფე თვითონ აძლევს სამეფო ოჯახის წევრს ან ნათესავ ბაგრატიონს რომელიმე ადმინისტრაციულ ან საუფლისწულო მამულს. ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში ფლობამიცემული ბაგრატიონები ცენტრის სახელით იწყებენ თავიანთი საგამგეო ტერიტორიის მართვას და ხელმწიფეებად რიცხავენ თავს.[55]

პირველ „პროვინციის მეფეებად“ ამ პერიოდში ალასტანელი ბატონიშვილები გვევლინებიან. ლაშა-გიორგის უფლისწულობა-ალასტანელობა, მისი „განსაკუთრებული დამოკიდებულება“ ჯავახეთისადმი და „ჯავახთ-უფლობა“, XIII საუკუნის მანძილზე უფლისწულების საქართველოს სამხრეთ რეგიონში მფლობელობა, ალასტანის „მიკროქვეყნის“ ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა და მისი, ჯავახეთის სხვა მიწებისაგან განსხვავებით, მთელი XIII საუკუნის მანძილზე ძველ საუფლისწულო სტატუსში ყოფნა - ეს ყოველივე ქმნის საფუძველს XIV საუკუნეში ალასტანელ ბაგრატიონთა „პროვინციული სამეფო“ შტოს წარმოსაქმნელად.[56]

„ძეგლი ერისთავთას“ ცნობა, რომ ვახტანგმა დავითს დამარცხებისა და გველეთის ციხიდან გამოყვანის შემდეგ უბოძა ჯავახეთი და ალასტანი უნდა მივიჩნიოთ ალასტანელთა „პროვინციული სამეფოს“ წარმოქმნის წინაპირობად. აქ საჭიროდ ვცნობთ მოკლედ მიმოვიხილოთ დავით VIII-ის სახლეულობის ისტორია. დავითის

---

[55] ნინიძე 28-29

[56] დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 78

პირველი ცოლი, ჟამთააღმწერლის ცნობით, იყო ოლჯათი, ვახტანგ II-ის ცოლყოფილი და არღუნ ყაენის და. როგორც ფ. გორგიჯანიძის ცნობამ გვიჩვენა დავითს მეორე ცოლად თუქალ ნოინის და უნდა შეერთო. მესამედ მონღოლების მიერ ოლჯათის „წაგვრის“ შემდეგ დავითმა იქორწინა ამადა სურამელის ასულზე. წყაროთა მიხედვით დგინდება მისი სამი ძის - გიორგის, მელქისედეკისა და ანდრონიკეს შესახებ.

ალასტანელთა საგვარეულო შტოდან ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ცნობილია დავითის ძენი: მელქისედეკი და ანდრონიკე. მელქისედეკ „პროვინციის მეფე“ მოხსენიებულია ჯვრის მონასტრის ერთ აღაპში „მეფეთ-მეფედ“, ხოლო სინას მთის სულთა მატიანეში კი „მეფედ“ იხსენიება. მელქისედეკს, როგორც „მეფეს“, ასახელებს ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა და, რაც ყველაზე საინტერესოა, 1298 წლით დათარიღებული დავით VIII-ის გაცემული სიგელი ჭარმაულ ჭაჭნიაშვილის გრიგოლისადმი. ეს უკანასკნელი ცნობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი გვეხმარება „ალასტანელი მეფეების“, კერძოდ მელქისედეკის „მეფობის“ ათვლის დასათარიღებლად.

დ. ნინიძე მიიჩნევს, რომ მელკისედეკის და, ზოგადად „ალასტანელი მეფეების“ მმართველობა 1302 წლიდან აითვლება. იგი იყენებს, რამ „ძეგლი ერისთავთას“ ცნობას, რომ ვახტანგმა გამეფების შემდეგ დავითს უბოძა ჯავახეთი და ალასტანი, ასკვნის რომ ამ ფაქტს 1302 წელს უნდა ჰქონოდა ადგილი. ეს თარიღი კი ვახუშტი ბატონიშვილის გზით არის დამკვიდრებული ისტორიოგრაფიაში.

„ალასტანელი მეფეების“ მმართველობა მართლაც იმის შემდეგ იწყება, რაც ვახტანგი ადის ტახტზე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამას ადგილი ჰქონდა არა 1302, არამედ 1297 წელს. აქ საჭიროდ ვცნობთ მოვიტანოთ ზემოაღნიშნული სიგელიდან ცნობა, რომ იგი შედგენილი ყოფილა დავითის მეფობის მეხუთე ინდიკტიონს (1298 წელს) და დავითთან ერთად მელკისედეკიც ამტკიცებს მას შემდეგი ტექსტით: „ქ. ჩუენ, მელქისედეკ მეფისაგანცა მტკიცეა ნებითა ღმრთისათა“. სიგელს თან ახლავს ანდრონიკე დავითის ძე და ჟამთააღმწერლისთვის ცნობილი სხვა პირების (აბრაამ

კათალიკოსი, მსახურთუხუცესი და ქართლის ერისთავი ამადა სურამელი, მეაბჯრეთუხუცესი ჭილა აბაზასძე და ამირეჯიბი და ამირახორი ნავროზ აბაზასძე) დამტკიცებანი.

ამდენად ეს ცნობა ეწინააღმდეგება „ალასტანელთა მეფობის“ დასაწყისად 1302 წლით დათარიღებას და იგი 1297/1298 წლით უნდა იქნას შეცვლილი.

ცნობილია ალასტანელი „პროვინციის მეფის“, მელქისედეკის ძმის ანდრონიკეს შესახებაც. იგი მეფედ იწოდება 1348 წლის წითლოსან ქვენიფენეველისადმი ბოძებულ სიგელში, სადაც აღნიშნულია მისი „მეფობის“ მე-9 ინდიკტიონი, ე.ი. ანდრონიკე 1339/1340 წლებში გამეფებულა. მის მეფობას ადასტურებს სინას მთის სულთა მატიანეში მისი მეფედ მოხსენება. ჯვრის მონასტრის აღაპებში იგი „მეფეთ-მეფედ“ იხსენიება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ გიორგი მცირე 1318 წელს გარდაიცვალა, თუმცა არც ერთი წყაროს ცნობა ამაზე არ მიუთითებს. ფაქტია, რომ ამ პერიოდის შემდეგაც იგი ცოცხალია და მოღვაწეობას აგრძელებს. სამწუხაროდ, სხვა გარემოებები უცნობია, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ტახტის დათმობის საკომპენსაციოდ გიორგის ებოძა ალასტანელობა. აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია სინას მთის სულთა მატიანეში დაცულმა ცნობამ, სადაც ანდრონიკესთან და მელქისედეკთან ერთად „ალასტანელი გიორგი დიდიც“ იხსენიება: „ალასტანელი გ˜ი დიდი და მათთა ძეთა გ˜ნსნოს ღ˜ნ; სულსა მეფის მელქისედეგისა და მათთა ძე (sic) გ˜ნსნოს ღ˜ნ; სულსა მეფის ანდრონიკეს და მათთა ძეთა გ˜ნსნოს ღ˜ნ.[57]

ამ ცნობის მიხედვით ჩანს, რომ გიორგი მართალია ალასტანელია, მაგრამ მეფის ტიტულის გარეშე. მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ „მეფობა“ მის უმცროს ვაჟს, გიორგის გადაეცა, თუმცა მისი მცირეწლოვნობის გამო პროვინციას მისი ცოლი თამარი მართავს. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ჰოვჰანავანქის ეკვდერის წარწერა: „წყალობითა ღმრთისათა, ხელმწიფობაში პატრონისა დედოფლისა თამარისა და

[57] ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947 გვ. 242

მისისა სამეფოსა [ვაჟისა] ძისა დიდისა მელქისედეკისა გიორგისა“. ეს წარწერა 1320-1339 წლებს შორის უნდა გაკეთებულიყო რადგან წარწერაში შანშე მხარგრძელი გარდაცვლილი ჩანს, ხოლო 1339 წლიდან ვიცით, რომ ალასტანელი „მეფე“ ანდრონიკეა.

დ. ნინიძე მიიჩნევს, რომ ვახტანგ III-ის ვაჟებსაც გააჩნდათ საუფლისწულო მამულები და ისინიც მართავდნენ თავიანთ „სამეფოს“ „მეფის“ ტიტულით.

ოსთა საკითხი XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ქართლში წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის პირობების ერთ-ერთ არსებით თავისებურებას შეადგენდა ქართველთა და მონღოლთა ბრძოლასთან ოს მთავართა - ფარეჯანისა და ბაყათარის და „გორს მსხდომ ოსთა“ რაზმების ენერგიული თავდასხმების უშუალო შერწყმა.

ფარეჯან-ბაყათარისა და „გორს მსხდომი ოსების“ რაზმების მოქმედება 1290-1320 წლებში საქართველოს ისტორიაში აღიბეჭდა მკვეთრად თავისებურ ეპიზოდად. ოსი მთავრები, მანამდე ძლიერი საქართველოს საიმედო და საპატიო მოკავშირები, აწ მონღოლთა მოკავშირედ და ფეოდალური საქართველოს მეტოქედ გვევლინებიან.

ამ პერიოდის თანადროულ მოვლენებსა და ოს-ქართველთა ურთიერთობებზე განსხვავებულ პოზიციებს ვხვდებით ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი ეხება ოსთა მიერ შიდა ქართლში პირველი კომპაქტური დასახლებების გაჩენა-არგაჩენის საკითხს.

სანამ დასკვნების გამოტანაზე გადავალთ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ

დამაჯერებლად მიგვაჩნია, რომ XIII ს.-ის მიწურულს ქართლში მყოფი ოსების წარმომავლობა ამავე საუკუნის 60-იან წლებში შემოსულ ოსებთან გავაიგივოთ. დავით VII-ის მეფობაში ბერქა ყაენისაგან ლტოლვილი ოსების ერთი დიდი ჯგუფი დარუბანდის გზით გადმოსულა საქართველოში. მეფემ ისინი ჰულაგუ ყაენთან გაგზავნა, რომელმაც მათ „უბოძა ხარაჯა და მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა ... ხოლო მეფემ დასხნა რომელნიმე დმანისსა, და სხუანი ჟინვანს“.

ქართველი ჟამთააღმწერლის ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოში მოსული ოსები მაღალი სოციალური წრის, ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაციით შეკავშირებული თემია, რომელსაც ერთი, მმართველი-დინასტი ჰყავს. წყარო ასახელებს მათ უფროსს - ლიმაჩავს, რომელიც გარდაცვლილი მეთაურის ქვრივია და მას თან ახლავს ორი მცირეწლოვანი მემკვიდრე: უფროსი ფარეჯანი და უმცროსი ბაყათარი.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში ბ. ლომინაძეს გააზრებული აქვს, რომ ოსთა ამ დიდი ტალღის სოციალური შემადგენლობა მიწათმოქმედი საზოგადოება იყო და ჟინვალსა და დმანისში მათი დასხმა განპირობებული იყო ამ რეგიონების სასოფლო-სამეურნეო უპირატესობებით. ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან ჩანს, რომ შემოხიზულ ოსთა სოციალური შემადგენლობა არა მიწათმოქმედი, არამედ მოლაშრე-აზნაურული და მსახურეული ფენა იყო („მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა“). რაც შეეხება ჟინვალსა და დმანისში ოსების დასხმას, ეს ფაქტი იმით უნდა ავხსნათ, რომ ორივე ქალაქი, სამხედრო თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს სტატეგიულ მაგისტრალზე მდებარეობდა და ყაენმაც სწორედ ამ მოლაშქრე-აზნაურულ ფენას მიანდო მათი დაცვა.

ამ ამბების შემდეგ ოსების მოხსენიება ჟამთააღმწერლის თხზულებაში დროებით წყდება და ისინი ამავე საუკუნის 90-იანი წლებიდან კვლავ გამოდიან ასპარეზზე. ოსთა ხელახალი გამოჩენა „ასწლოვან მატიანეში“ მკვლევართა ნაწილს აძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ XIII ს.-ის 90-იან წლებში ოსთა ახალი ტალღები შემვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. აშკარად ტენდენციურია გ. თოგოშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსების გამოჩენა საქართველოს საზღვრებში მათი კომპაქტური დასახლებების გაჩენით და მკვიდრი ბინადრობით ხასიათდებოდა.[58]

---

[58] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობების ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამლევამდე), სტალინირი, 1958, გვ. 172

ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა დავით VIII-ის გამეფების შემდეგ მის ყაენის კარზე ყოფნას, აღნიშნავს საქართველოს მოსახლეობის შემცირებასა და ქვეყნის გაუკაცრიელებას, რასაც მისი გაგებით მოჰყოლია მიგრაციული პროცესი: ქართველი მთიელები ჩამოვიდნენ ბარში, „ხოლო მათ მაგიერ თანდათანობით იმიერკავკასიიდან ოსები გადმოვიდნენ ... საქართველოში ისინი ცარცვა-გლეჯას ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე ქართველთა და ოსთა შორის მტრობა ჩამოვარდა და ერთიმეორეს დაუნდობლად ეპყრობოდნენ“.[59]

არსებითად ამავე აზრისაა ნ. ბერძენიშვილიც. მისი თქმით „სწორედ ამ შფოთიან ხანაში ადგილი აქვს ქართლში, ლიახვის ხეობაში ოსთა ჩამოსახლებას“.[60]

ამ საკითხს თავის დროზე შეეხო ვახტანგ გამრეკელი, რომელმაც არგუმენტირებულად დაასაბუთა XIII საუკუნეში ოსთა ლიახვის ხეობაში დამკვიდრების უსაფუძვლობა.[61] მართლაც, ჟამთააღმწერელთან არსად შეინიშნება, რომ XIII საუკუნის 90-იან წლებში იმიერკავკასიიდან ოსთა დიდი ტალღა გადმოსულიყოს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და ლიახვის ხეობაში გაეჩინოთ კომპაქტური დასახლებები. ვახუშტის აზრიც, ქართლის მთა-ბარში მიგრაციულ პროცესზე მიეკუთვნება არა 1290-1300-იან წლებს, არამედ XVII საუკუნეს. აქ საინტერესო შენიშვნას აკეთებს ვ. გამრეკელი: „მონღოლების ბატონობის ხანაში, სოფლის მეურნეობის კრიზისისა და მონღოლთა ძალმომრეობის პირობებში, ქართლის ბარი კიდეც რომ გაუკაცრიელებულიყო, ვერ იქნებოდა მთიელებისთვის მიმზიდველი. მკვიდრი მოსახლეობაც კი შემოიფანტა და თავისუფლებას მიჩვეულ მთიელს რაღა ჩამოიყვანდა ბარში?“[62]

XIII საუკუნის მეორე ნახევრის ლიახვის ხეობის ეთნიკური სურათის დასახასიათებლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს „ძეგლი ერისთავთა“. საგვარეულო მატიანეში აღნიშნულია, რომ დავითის ვახტანგთან დამარცხების

---

[59] ქართველი ერის ისტორია 240

[60] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 60.

[61] მრავალთავი 5 ვახტანგ გამრეკელი 165-197

[62] მრავალტავი 5 177

შემდეგ შალვა ქვენიფნეველმა „მიჰმართა ჴევთა დვალეთისათა და მოაოჴრნა ყოველნი. და მოუჴდეს შავდვალნი ... მაშინ მოწუნეს და მოაოჴრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვვნეს ყოველნი ჴევნი თრუსოით აჩაბეთამდე“.[63]

როგორც თხრობიდან ჩანს ამ დროს თრუსოს ხეობიდან აჩაბეთამდე მთელი ლიახვის ხეობა დვალების ტომებით იყო დასახლებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთმა კვლევამ უჩვენა დვალთა ტომების ქართველურ ტომებთან მონათესავეობა. [64] „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, ვახტანგს შალვა ერისთავისთვის უბოძებია „თრუსუი, ღუდაჲ, გაგასძენი, მლეთე, არაჴუეთი, ჴანდოჲ, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი ... აწერისჴევი, ბეჴუშე“, რის შემდეგაც ქვენიფნეველს ოსთა მეფის ასული შირდი შეურთავს ცოლად. თუ ვიგულისხმებთ ლიახვის ხეობაში ოსების მოსახლეობას, შალვას ამაოხრებელი ლაშქრობის შემდეგ ბუნებრივია ასეთ საქორწილო შეთანხმებას ადგილი ვერ ექნებოდა. როგორც ჩანს, დვალები ხადელ-ცხავატელებთან და ხევის მოსახლეობასთან ერთად განუხრელად იდგნენ დავითის ერთგულებაზე, რაც იქცა მეფისა და მისი ერთგული ფეოდალის შურისძიების მიზეზად. ამდენად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გათვალისწინებით, შეუძლებლად მიგვაჩნია ამ პერიოდისთვის ლიახვის ხეობასა და მიმდგომ მხარეებში ოსთა კომპაქტური დასახლებების გაჩენა.

---

[63] სამართლის ძეგლები

[64] გვრიტიშვილი

ჯკუმმ

ლიპარიტი ------- ასპი

5 Eligumi (-1251) -- თამთა smbat (1273) --- Рузу-кан ტარსაიჭი

burTeli (1261) ბუგდა 2 ქალიშ უშვილო იშვილა -> სტეფანოსი